

ლიტერატურული გაზეთი

№12 (220) 15 - 28 ივნისი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

II-III

ფრეგენცი
პაივა
ბერიყაშვილის
გამოუქვეყნებელი
ნომანიდან

V

დათო
მალრაძე
ლიბრეტო
და
სხვა
ლექსები

VI-VII

ინა
არჩუაშვილი
დედუკა
ბეძაშური
მოთხრობას
საფუძვლად
უდევს
ნამდვილი
ამბავი

VIII-IX

ტარიელ
ჭანტურია
რაკეტა
და
სხვა
ლექსები

X-XIII

პაატა
ნაცვლიშვილი
ქეკელიძის
თონი
პოეტურ
მიმონაცვლებათა
მიმოხილვა

XV

სახელოვნო

„ლიტერა“

პროზა



კიბი.
 ოცდაცამეტი საფეხური.
 ისე ავდივარ, როგორც ეშაფოტზე.
 უკანასკნელი საფეხურის მიღმა დგას საჯალათე კუნძი. კუნძუზე ალესილი, ფართოპირიანი ნაჯახია და ჯალათიც იქვე დგას — უკანასკნელი ნუთების სვედიანი მემკვიდრე. აი, სადაცაა მოიძრობს ნითელ თავსაბურავს და ვიცი, ჩემი ორეული მომჩერდება.

— ცრემლები საჭირო არ არის! — ეს ბებერი გენერალია, გამოუსწორებელი მონარქისტი, — ჩვენ ყველაფერი გავილი გვაქვს. მობრძანდით, კაპიტანო. თავი გაიხსენეთ, რაბინდრანათი: „მშვენიერი იყო ეს სიცოცხლე, მშვენიერი იყოს სიკვდილიცა!“ და ნუ თრთით!

— მეტი ღიმილი! გაიცინეთ, ჩემო ოფიცერო! ასე კომპოზიციას გამოიფუჭებთ.

— რა დროს ღიმილია, მაესტრო ვოლფგანგ?

— მაშ ზემოთ იერი მაინც მიიღეთ. გაიხსენეთ მეფე ლუი! ამაყი ჩარლზი... ბოლოს და ბოლოს, შოტლანდიელი კუდიანი მოიგონეთ, ბრწყინვალე სტიუარტი!

— დედაფლებზე მეტი პატივისცემით უნდა ილაპარაკოთ, ფონ კიკერინცი!

— თქვენ გკონიათ, რაიმე საამაყო ჰქონდათ? — მაიორი კიბის მოაჯირს დაყრდნობილი აბოლებს, — მოუვით, კაპიტანო, მონარქთა დაცვას. თავი ანებეთ ეშაფოტებს და თვითგვემას, სხვადასხვა მელანქოლიურ ილუზიებს. ეს სანამბელი ხომ თქვენთვის სურვილით აღიმართა? დაივიწყეთ, გასწით საბრძოლველად. გენერალმა ეგ რაბინდრანათი დროულად გაიხსენა, როგორც ბრძანებდა ჭკვიანი ინდოელი: „სიცოცხლე ნიჭად გვენიჭება“... გამახსენეთ, გენერალი!

— „სიცოცხლის შენირვით ვიმსახურებთ სიცოცხლეს!“ — თავორის ციტატას იხსენებს არისტოი, — დიახ. ეს სიცოცხლე კი უკვდავებაა.

— გესმით, კაპიტანო? გასწით ბრძოლის ველზე. თვითონ შექმენით ის ველიც. თუნდაც ისე, როგორც ეს ეშაფოტი მოიგონეთ და ისე მოკვდით, როგორც ავი კატილინა. ა, საზოგადოების აზრი გაინტერესებთ? მაშ როგორც სიდი მოკვდა, შესძლებთ? როგორც მაგისტრი ულრიხ, ანდა მიბოძეთ ხმალი. ისეთ სამსახურს გაგინევთ, როგორც გაუწია ვაჟაკა ბრუტუსს თავისმა მეგობარმა... და იცით, რას გეტყვით, სირცხვილია, როცა ჯარისკაცები თვითმკვლელები ხდებიან!

— ხელი მომეცით! — ეს უკვე ანნაა, უცნაურად გაცნობილი ქალი, რომელიც მიყვარს, — ხელი მომეცით და ნუ გემინია.

— აღარ მემინია, დავიღალე შიშისაგან.

— სად, სად მიდიხარ? — ლეღავს სელექციონერი ბენო, — ხომ გეუბნებოდი ნუ დასდევ ამ ალფონსს, რაიმე მარს გადაეყრები-მეთქი?!

— ალფონსს მე კი არა, შენ დასდევდი. ვინ იყო, მოგონების წერა რომ მოიგონა? ვეზიზღებდი, კიბე ცარიელია. ხმალს ყავარჯენივით ვეყრდნობი და, აჰა, უკანასკნელი საფეხური! ჯალათის კუნძი გაქრა. თვითონ ჯალათი კი თავიდან წელა იხსნის თავსაბურავს. ასეც ვიცოდი — მე ვარ. უფრო სწორად, ნანინასწარმეტყველები ორეული. ოხ, ქალბატონო მარჩიელი, ჰოროსკოპული დედაბერი, მე ხომ გთხოვთ...

— ნუ წუნუნებ! — საზარელი სიცილი გახმიანდა ეთერში. ახლად დავუკვირდი — მარჩიელის სიცილის გაგონებისას რატომღაც ველური თავლის სუნი მცემდა, მზანგავდა, — ეს წვიმაა, — მეუბნება იგი, — მხოლოდ წვიმა.

— მომიახლოვდი! — ხელს მიწვდის ორეული, მგონია სარკის პირდაპირ ვდგავარ, — მოდი და დამშვიდდი. რა გემართება? შემოიღია ნაჯახი დავითო, მერე შენს მაგივრად მოვიყარო მუხლი. გინდა, ეს მოხდეს?

— განა ჩვენ ერთნი არა ვართ?

— არა, — ვპასუხობ საკუთარ თავს, — ჩვენ სარკის საპირისპირო მხარეებზე ვდგავართ — შენ და მე. ახლა სარკე გაქრება. ეს საშინელ ტკივილს მოგვყავნებს, რადგან ერთმანეთში გადავალთ. გინდა, იყო ჩემზე ძლიერი?


— მინდა, — ჩამოხრბობილის სიცილით ვიცინი და მუხლები მეყინება.

— მეც მინდა. ამიტომ ჩვენ ვიქნებით ერთი და ძლიერი!

— მაშინ აღსრულდეს. მე ტკივილის არ

მეშინია, მაგრამ რა იქნა ანა?
 — ანას აქ არაფერი ესაქმება. ჩვენს შორის ახლა მხოლოდ ღმერთია. გრძნობ ტკივილს?
 — არა. ვგრძნობ მხოლოდ სინათლეს, თუმცა ვერ ვხედავ.
 — ეს ის სინათლეა, რომელიც არ არის უთვისტომო. ნუ ცდილობ მის დანახვას. ეს ჯერ ადრეა ჩვენთვის. ნურც ღმერთის დანახვას ცდილობ. იფიქრე ჩემზე. შეგნევს ძალა, შემებრძოლო?
 — არა, მაგრამ მე სხვა გამოსავალიც არა მაქვს. აი, ჩემი ხმალი!
 — მომანოდე!
 — არა!
 — შენ არა ხარ მზად, — ამბობს ორეული, ახლა თითქოს დამცინავია, — მობრძანდით, ქალბატონო!
 საიდანღაც მარჩიელი გამოჩნდა დრკონული კაბით, შავი ვუალით სახეზე. მოდის და ვიცი — არ არის ჩემი მფარველი. ის ახლა ჩემთვის წყველაა.
 — მართალი ხარ, — ჩურჩულებს ქალბატონი, — ეს შენი ძველი ცხოვრების უკანასკნელი ნაბიჯია. აქ მარტო უნდა იყო. აკი გითხარი — შენ არა ხარ ვენერას რჩეული, — მის ხელში გრძელი, ლაპლაპა მახვილი კრთება; მახვილ ორეულს მანვდის და ამბობს, — სამწუხაროდ, შენი ცდომილი მარსის სახლსაც ასცდა. დრომასთან სიკვდილი მარადიული ქიმერაა. პლანეტა

გაკვეთილებს ბრამბილასგან იღებდა ან ბორელისგან. განა საოცარი არ არის, გენერალი?
 — საოცარი არაფერია. მამამისი კორპუსში პირველი მოფარაკავე იყო.
 ორეულის შავი ხიფთანი ნითლდება.
 — ეს კარგიც კია! — ვყვირი, — სისხლი არ დაგემჩნევა, მაგრამ უფრო რომ განითლდეს, უკეთესია. სისხლს სხვანაირი სი



ფრანგული ზაფხულის გამოუჩვენებელი რომანიდან ყვითელი ცდომილის მსახური

გაგიჟდა. ასე დიდი ხნის მწყურვალ მეუღლას ემართება მირაჟული მდინარის დანახვისას. წინ თუნდაც ცეცხლით და გენით გამლხვარი უდაბნოს ქვიშა ედოს, თავდაუზოგავად მიილტვის მისკენ — წყალი ჰგონია. ჰეი, მდინარეებო, დაარწყულეთ მომაკვდავი ქარავანი! დავარწყულდებით — ამბობენ მდინარეები, მაგრამ ჩვენ შორს ვართ. ხოლო მექარავნენი თავართ, ხორმაკით გაჯერებულ ეთერს სვამენ, რომელიც ჩვენს სახეს მხოლოდ ირეკლავს. ასეა შენი პლანეტაც — თვალი გაახილა თუ არა, მზე დაინახა. ახლა მის გარდა ვერაფერს ამჩნევს. მომხიბლავი ვენერა ამაოდ უგებდა საყმო ნოხებს. ნურას უკაცრავად, დიდება სწყურია. გაოგნებული მისსწრავის მზისკენ. წელან უბირნი ინფორმული ბრძენის შეგონებებს გეუბნებოდნენ, დაიმახსოვრე ამ შეგონებათაგან უმთავრესი, რომელიც შენც და შენს მფარველსაც ერთნაირად მოგესადაგებათ: „კურთხეულია ის, ვისი დიდებაც მისივე ჭეშმარიტებას არ აღემატება“. დაიმახსოვრე! შენი მნათობი ანრიანლებულ, მონუსხულ თავუნას ნააგავს, რომელსაც პითონი ხახადაღებული ჩასცივებია და თვალებით უხმობს. პლანეტა შეიშალა. მზე კი მირაჟია, არ არსებობს მისთვის, რადგან მიუახლოვდებო თუ არა, ფერფლად იქცევა. ღმერთო, რა ამაოდ დაუწყებს ცეცხლმოდებულ თითებს კენას, ის გაქრება და შენი სიცოცხლე კოსმოსში მოხეტიალე დერვიშის ბილიკივით გრძელი, მოსაწყენი გახდება. სხვა გზა მაინც არ არის, გადადი მასში! — მიბრძანებს მარჩიელი და გრძელი, დედოფლური თითით ორეულისკენ მანიშნებს, რომელმაც უკვე აღმართა ხმალი.

— ვერ მოგართევს! — ლალატზე ნასწრებული ჯარისკაცივით ვსისინებ, — დაე, შემებრძოლოს. სხვა გამოსავალი არა აქვს!

— კაპიტანო, თქვენ ხომ არასოდეს გიბრძოლიათ. ეს პირველი ორთაბრძოლა იქნება. მერედა ვისთან? ის ხომ გაგანადგურებთ? გადადით მასში. სიცოცხლე ლამაზი თავგადასავლებით აივსება.

— არა. უმაგისოდაც, უთქვენოდაც მივალწევი იმ მზემდე, ქალბატონო მარჩიელი და ჩემი სულელური პლანეტის გარეშეც.

ორეული უკვე თავს იცავს, ჯალათის შავი ხიფთანი თანდათან ფერს კარგავს და ნითლდება.

— ერთი შეხედვით! — ისმის მაიორის გაოცებული ხმა, — კაპიტანი ნამდვილად იმსახურებს ქებას. ისე იბრძვის, თითქოს

ნითლე აქვს. ვიცი, ასიათასჯერ მიბრძოლია.
 — რას ბოდავ? — ბრაზობს მარჩიელი, — რომელ ბრძოლებზე ლაპარაკობ? გონს მოდი, კაპიტანო!
 — არ შემოიღია, აკი ჩემი ცდომილი შემოიღია?..
 მაშინ მარჩიელი ორეულის უკან დადგა, გაშალა ხელები, აფრიალებული კაბის სახელოებით გასაფრენად მომზადებულ, რომელიღაც საზედინეო ფრინველს ჰგავდა. ორეულმა ერთი წამით მიატრიალა თავი. საშინელი ქარი ქროდა. მხოლოდ ერთი წამით და ჩემი ხმალი მის კისერთან, მხარზე დაეშვა. მარჩიელმა საზარლად შეჰკივლა:
 — ეს რა ჩაიღინე?!
 — უფალო! — დაიღრიალა ორეულმა, თავი უკან გადააგდო, ცას შეჰყურებდა და წვიმდა, — უფალო, მოდი ჩვენთან!..
 ხმალს დავცქერი. დარს სისხლის პატარა, დაკლანკილი გველები ჩასდევნენ, ალესილი წვერიდან ბრონეულის მარცვლებივით სწყედებიან და დაცემამდე სკდებიან ჰაერში ნითელ კვირტებად ქცეულნი.
 — მხოლოდ ეს გაკლდა! — მარჩიელის ხმაა, — შენ საკუთარი სისხლი დაღვარე. იცოდე, ეს არ იქნება პირველი! ახლა დაემშვიდობე ბედნიერ ფერიცვალეებს. გარდასახვა დაგვიანებულია. შენ მუდამ ერთადერთი, უმწეო მფარველის მსახურად დარჩები. მას სიგიჟის ფერი აქვს, ყვითელია.
 ჩემი მეტოქე მუხლებზე დაეშვა. ხმალი გამოართვა მარჩიელმა, ზედ დაეყრდნო. ახლა მეომარ ღვთაებას ჰგავდა.
 — გაცხადდი! — ბრძანა და დავინახე, როგორ შედედდა ეთერი ჩემსა და ორეულს შორის, როგორც მინის ბრწყინვალე კედელი.
 — გაცხადდი!
 კედელი დაიბზარა — ქვადახდილი უზარმაზარი სარკე. ბზარების აბლაბუდა გახშირდა. ძლივს ვარჩევ მარჩიელის კალთაზე თავმიყრდნობილი მეომრის სახეს. ბნელდება.
 — მე ეს არ მინდა! — ვყვირი, — რატომ არ მოჩანს მზე?
 — წვიმს, — ყროდ მეპასუხება ქალი, — შენთან მზეს რა უნდა?! მზემდე დიდი გზაა. ის შენთვის არყოფნაა.
 — სადა ხართ? მე ველარ გხედავთ.
 ისეც სიცილი. ველური თავლის სუნი. ღმერთო, ნუთუ ოდესმე გაუცინიათ ასე, და მომაკვდავი ორეულივით სულის წიაღიდან ამომხდია:

— უფალო! უფალო, მოდი ჩემთან, რამეთუ მკვდარი არაა არიან უკვე!..
 სარკე საშინელი ჭახანით დაიბზარა. ვგრძნობ — თითქოს მხრებზე მძიმე, მჭრელი ნამსხვრევები მეცემან. თითქოს სისხლისგან ვიცლები და კედელი მთლიანად ჩამოშავდა. განათდა. აივანზე ჩვენს გარდა არავინ არის. ვგრძნობ საზარელ ტკივილს მხარში, ფილაქანზე სისხლიანი ხმალი აგდია და თავი მისი ბრწყინვალეების ქალბატონ მარჩიელის გამოგზავნილ სავარძელზე მიდევს. მომეჩვენა სავარძლის ოთხი საყრდენიდან ერთ-ერთმა — ლომის თათმა — როგორ გამოინია, სისხლის გუბებში ჭანგები გაისვარა და ისევ გასწორდა. ფილაქანს სისხლიანი ბრწყინვალეების ნაკვალევი დააჩნდა.
 — სიგიჟე მთავრდება, — მივმართავ საკუთარ თავს, — ახლა შურისძიების დროა! მაგრამ ვისია ეს სისხლი? ნუთუ ჩემი?..
 — მოკლეს! მოკლეს! — გაბმული კივილი ისმის. ეს ქალბატონი სუსანაა, დიასახლისი, რომელიც სადილებს ვერ ამზადებს.
 — მიშველეთ, უშველეთ! — ვილაც მედგრად მორბის. ეს სუსანას ქმარია. კიბე ხმაურობს. ტყუპები — ლუდით გატკნული სამსონი და აბესალომი — ერთმანეთს არ აცლიან.
 — არ მიეკაროთ! — ამბობს სამსონი, — ახლა ექსპერტიზაა საჭირო. გახსოვთ, პოლიციის უფროსი რომ მოკლეს? სასწრაფოს არ აკარებდნენ, ფოტოგრაფი ეუბნებოდა, გაიღიმეო, და საწყალი სიცილით მოკვდა.
 ქუჩიდან ბიჭები შემორბიან. მოსდევთ ნაყინის გამყიდველი.
 — ფული, ფული მოიტათ! მანდ სულ ვილაცას კლამენ, კაცო!
 უკან ვილაც ბავშვებიანი ქალი... ბავშვებს ნაირფერი ბუშტები უჭირავთ.
 — დედიკო, ნამდვილი მკვდარია?
 — არ უყუროთ! — დედა ფერს კარგავს, — არ უყუროთ, თორემ მამა მოგიკვდებათ.
 ეტყობა მამა ლომობს და ბავშვებს ფიზიკურად უსწორდება. პატარები შურისმგებლურად დაჭყეტილი თვალებით მაკვირდებიან. ვილაც მანჯღრევს:
 — ე, ბიჭო, გაახილე თვალი! ნუ გაგვიხებთე გული. შვილივით გვეყავხარ... თვალიც დასდგომიათ ქალებს! — აბესალომი.
 — ნუ ეხები, აბესალომი! — ღრიალებს ტყუპისცალი, — ანაბეჭდები დარჩება!
 — მომშორდი, სამსონ, თორემ გაგიხებთე თავი! კონიას დაუძახეთ, კაცო!
 — უყურე! — აღმოფთდა სუსანა, — პირში თუ დაუძახებ ბატონ კონსტანტინეს კონიას, შამფურზე ავაგებს.
 კიბე უარესად ჭრილებს — ეს ვეებერთელა ჩემოდნით დატვირთული ბენედიქტა, ხვწმით მორბის, ღრიალებს:
 — გაეთრიეთ, ნაძირლებო, აქედან! — ხელში აყვავარ, — არ მოკვდე, ბიჭო! — ზღუქუნებს, — რომ მოკვდე, გადავწვავ აქაურობას. ცოლსაც მოვკლავ, ალფონსსაც მოვკლავ, იმ ქალსაც და ყველას თან მოგაყოლებ!
 ბენოს ლაპაღუპით მოსდის ცრემლები.
 — ბენედიქტე, — ვბრიალებ, — შე ავანტურისტო, ასე რამ დაგატერა?
 — შენზე კარგად მაინც გამოვიყურები, — უხარია ბენოს, — ერთი შეგახედა, რას გავხარ! — არ შეგარჩენს არაფერს.
 — ხმალი მომანოდე!
 — ხმალი მიაწოდე, ბიძია აბესალომი, თორემ გაგიტყებე გ თავი! — ცრემლების ყლაპვით ამბობს ბენო.
 — ხმალი ამას და ყანგი და არგადარჩენა, — იწყებება აბესალომი, — ეს გაიყარე, ბიჭო, კისერში?
 — ანაბეჭდები, ანაბეჭდები, აბესალომი, შე ოჯახქორო! დამხვრეტენ... გამოიდიებენ ყველაფერს.
 — სასწრაფოში უნდა დავრეკოთ! — რატომღაც ღიმილით ამბობს ველოსიპედადაკიდებული ჯეელი.
 — პოლიციაშიც! — სუსანა თვალს მარიდებს.
 ბენომ ხალხი გაარღვია. ჩემს კარებს მიანვა, შეალო, მერე ფეხით ისე მიხურა, უკან არ მოუხედავს...
 აბესალომის კივილი ცას მისწვდა: თითი! თითი! თითი! მაგრამ მისთვის არავის სცხელოდა.
 — ეს რაა? — ნაიბუტბუტა დაბნეულმა ბენომ.



თვალი გავახილე. ოთახში თითქოს ბურუსი იდგა. ყველაფერი ქათქათაებდა. სარკეებზე თეთრი ზენურები აეფარებინათ. მაგიდას, სკამებს, კარადას, თავახდელ როიალსაც თეთრი მიტკალი ეფარა. დივანზე ჩვენსკენ ზურგით იჯდა ქალი. თითქოს ეძინა. თეთრი კაბა მოშვებოდა მხრებზე, ხოლო სითეთრეს ღამაზად ამკვეთებდა, საგანგებო დაუდევრობით დავარცხნილი ჭალარა თმა. იატაკზე დადიოდა უამრავი თეთრი მტრედი. მტრედები ისხდნენ ყველგან — ფარდის კარნიზებზე, როიალზე, სარკეებზე, ზენრით შეფუთულ ჭაღზე. ბენომ ნაბიჯი გადადგა თუ არა, ტახტის საზურგის მიღმა ამოყვლეულავდა ფარშევანგის ოქროს გვირგვინიანი თეთრი თავი.

— ეს რაა? — გაიმეორა ბენომ. ქალმა მოიხედა...
— დედა! — ქალი წამოდგა, სახეზე ნაოჭები გაქრნენ, — მე დავბრუნდი, დედა.
— ღმერთო ჩემო, — თქვა ქალმა, — მთელი ცხოვრება ასე გავიდა. ეს სისხლია? — თავს იკლავდა! კრეტინი! სულელი! — გამოცოცხლდა ბენომ, გონს მოეგო. სანამ ტახტზე დამანვენდა, ქათქათა, ოდნავ დაჭმუჭნულ გადასაფარებელზე სისხლის წვეთები გაჩნდა. ერთი, მეორე, მესამე... ყვავილობდნენ თითქოს და, სულ ცოცხლო, მსიამოვნებდა!..

ვენეარ. დედაჩემმა სასთუმალთან დაიროქა, მერე ჭრილობაზე დამადო ხელი. თბილი იყო — შეიძლება ეს სისხლია თბილი?

— დაჩოქება არ ვარგა, — ჩაიბუტბუტა ბენომ, — ახლა ექიმი მოვა.
— ექიმი? — გამოერკვია დედა, — აქ საექიმი არაფერია, — და გამიცინა, — ნუ გვმინია, ეს გულის სისხლი არ არის, — გამიკვირდა — ადრე რომ დაჭრილი ვენახზე, ალბათ კვილით ქვეყანას შესძრავდა.

— მტრედები, — ჩავილაპარაკე, — ფარშევანგი...
დედა წყლიან ჯამში ტილოს წურავს. მერე გამოსწევს ხელს, ტილოს მხარზე მადებს, ტირის, თავს იკავებს:
— საოცარია, როგორ მოახერხე, აქ დაგეკრა?
— ვერ მოახერხე, ხომ ხედავ, — გაცინებას ვცდილობ, ფარდის საკიდზე მტრედები წაეკიდნენ ერთმანეთს. ერთერთ ფრთების ფართხულით გამოეშურა ჩემსკენ, თავითი დამიჯდა. დედაჩემმა ზიზღით აუქნია ხელი.


— რა ამბავია ამდენი მტრედი?
— მამაშენმა მოიყვანა. რომ ვუყურებ, ვმშვიდდები, ამბობს. ბოლო დროს შიში დასჩემდა.
— შიში? დიასპოტეს?
— რა სთქვი? — დედა გაფითრდა.
— არაფერი, ისე ვთქვი.
კარი გაიღო. ბენომ ჩემს სავარძელს მოათრევდა. შემოიტანა, ოთახში დადგა. ათვალიერებდა — თეთრი კედლების ფონზე შავი ხის სავარძელი, ვერცხლისფერი ფრთებით, ღამაზი იყო.

— ეს ჩემი სავარძელია.
— დაკარგული ამისთვის იყავი?
ოთახში აბესალომი შემოიძურნა — ფეხს ითრევდა, იატაკს დაბნეული ათვალიერებდა, მაგრამ ხმა არ გაუღია.
— რა გინდა? — დაუღრინა ბენომ.
ცხვარივით წყნარი ბენედიქტესგან ასეთი აფთარი თუ დადგებოდა, ვინ იფიქრებდა. აბესალომმა რატომღაც დაირცხვინა და სათქმელს თავს ვერ აბამდა.
— ე, ბიჯო, აპატიე, სამსონას! — მოულოდნელად მითხრა.

შემინებული კაცია, ჩვენს დროში ეშინოდა ყველას. ეშინია ახლაც. ჰოდა, სადმე თუ წერილს ან დეპუტატს დაინახავს, ნაუკითხავს არ უშვებს. „დანოსი“ გონია ალბათ, „შიფროკა“. ეჩვენება, ჩემზეაო. კანკალეებს სულ.
— დაბრძანდით, აბესალომ. რაშია საქმე? — დედა არაბუნებრივად მშვიდი იყო და მეშინოდა.
— დიდი მადლობა, შენი ჭირიმე. დასაჯდომად სად მცალკა, ექიმს უნდა დავხვდე. მაგ სკამზე კონვერტი იდო. სამსონს აუღია. ჰოდა, მოვიტანე აგერ.
აბესალომმა კონვერტი მკერდზე დამადო, მერე გატრიალდა, მოკლე-მოკლე, ბერული ნაბიჯებით გაიქცა. დედაჩემმა კონვერტს დახედა და სახე ნაცრისფერი გაუხდა. მომეჩვენა, რომ მისი სახის თაბაშირის ასლს ვუყურებდი, გაქვავებულ ნიღაბს.

„საყვარელ მაქსიმოლიან ნიკოლოზ მონგოლფე თორელს, ფსევდო კაპიტანს!“ — ეწერა კონვერტზე. ოხ, მარჩიელო! ეტყობა, ქალბატონი ავ გასართობებს არ იშლიდა.

— მონგოლფე ვინ არის? — დედაჩემის ძარღვებში იშუთას არც ერთი წვეთი სისხლი არ მოძრაობდა. სუნთქვა შემეკრა.
— ხუმრობაა, — ნაეღულღულღე, — ერთმა ქალმა შემარქვა. ბატონი არის-ტოი, მისი უდიდებულესობის არმიის გენერალი, არტილერისტია ერთი, ირწმუნე-



ბა, რომ საოცრად ვგავარ ვინმე მაქსიმოლიანს. თავის ადიუტანტს. ის მოუტლავთ!

— ნუთუ გენერალი ცოცხალია?
— ცოცხალია.

„დედა, დედაჩემო, — ვფიქრობ, — ეს აუცილებელია. ყველაზე მთავარი და ნამდვილი, და მე არ შემიძლია გითხრა ყველაფერი, რადგან ჩემმა დანყველილმა პლანეტამ გზა დაჰკარგა. არც არასოდეს ჰქონია გზა. მთელი სიცოცხლე ჩემსავით თვლიდა. ახლა საცაა მზეს მიეხლება და მორჩა — საბოლოოდ გაეთავისუფლდები და ჩემს ბედს ვერც ერთი ჰოროსკოპი ვერ მიესადაგება. შემოიღივით თავისუფალი ვიქნები. მანანალა ბრძენი, რომელსაც ხალხი არასოდეს არჩევს შემოიღივანს. ყველას როდი ჰყავს თვითმკვლეელი პლანეტა. ასე რომ იყოს, მთელი დედამინა თავისუფალ პილიგრიმთა ხომალდი იქნებოდა. ეჭვი, სად გასწევდა, ვარსკვლავების მეტი რა არის?“ — ვბოდავ.

ექიმები მოვიდნენ. ცოტა ხანს მანვალეს.
— სათანადო ორგანოებს უნდა შევაცხოვინოთ.

— ეს აუცილებელია?
— რა ვქნა, ქალბატონო, გვავალდებულებენ, — ექიმს ოიდის მძაფრი სუნი ასდის, — კლარა, შრატი გაუკეთეთ და მოვრჩით!
კლარამ მწარედ მიჩხვლიტა — სურვილი ჰქვავდა, რამე გამოეკითხა.
— რა იყო, შვილო? — ვერ მოითმინა ბოლოს, — ჭამთ ხომ ერთმანეთს?
— კლარა, ეგ არ არის შენი საქმე! მორჩი?

— მოვრჩი, — მიუგო კლარამ და განინმატდა, — როგორ არ არის ჩემი საქმე? მოქალაქე ვარ!
— მოქალაქე კლარა, ქვევით ჩაბრძანდით! — უბრძანა ექიმმა და ნატუსტუსებულ კლარას თვალს გააყოლა.
შევატყვე, ტუჩებით იგინებოდა, მერე ხმამაღლა ესლა თქვა, — შემჭამეს ამ მოქალაქეებმა!

მერე თვითონაც წამოდგა, ნასასვლელად მოემზადა, უცებ შემოტრიალდა და ჩუმად გვითხრა:
— ეს დამალეთ. დაინტერესდებიან ამით. სამუხეუმო ნივთი ჩანს, მაგრამ სისხლიანია. საინტერესოა, როგორ მოიხვედრა კისერში. კარგად ბრძანდებოდეთ!
ექიმი ნავიდა. ბენოს ჩემი ხმალი კუთხეში მიეყუდებინა. დედაჩემმა აიღო, მერე ჩემს ფერხითი, ტახტზე ჩამოჯდა და უხმოდ, უცრემლოდ ატირდა. რომელიღაც ქანდაკებას ჰგავდა. ვცდილობდი, გამეხსენებინა რომელს — ვერაფერს გავხდი. შორეული ოთახიდან მკაცრი და მძიმე, ქვისებური ნაბიჯების ხმა გაიშინა. კიბეზე ჩემი ამოსვლა გამახსენდა: პირველი, მეს-

ამე... მეათე... ოცდამეთორმეტე... ახლა იქნება ოცდამეცამეტე! დროა! ოთახის კარი გაიღო.

დიასპოტე!
შეძრწუნებული მომაჩერდა. შეიძლება ქვის ნიღაბს შეძრწუნება დაეტყოს ოდესმე? შეიძლება — თვითონ ვხედავდი. მას ძველი, დაკერებული გიმნასტურა ეცვა, ქამარზე მაუზერის ბუდით. ხელში „ბორჯომის“ ბოთლი ეჭირა.

— მობრძანდა, — კი არ იკითხა, თითქოს თავისთვის თქვა.

— ეგ რა გაცვია? — შიშით შეაცქერდა დედა, — რას გავხარ?
მოსულმა ბოთლი მაგიდაზე დადგა და ჩამოჯდა. მაგიდის თავში გახვეებული იჯდა, გამართული, თითქოს მალალი ფანჯრიდან იყურებო. ფანჯრებზე კი ფარდები იყო. ფარდებს იქით დარაბები. დარაბებს იქით უკვე აღარაფერი. ჯერ ერთი მტრედი დააჯდა მხარზე, ცოტა ხანს აფართხუნა ფრთები, მერე დამშვიდდა. ახლა სხვები გაემართნენ მისკენ — დაასხდნენ მხრებზე, მაგიდაზე დალაგებულ მკვლავებზე, თავზე. შევეცადე არ შემეხედა მისთვის, ვუყურებდი დედას. როგორ დაბერდა, თეთრდებდა... კედელთან კი იდგა აცახცახებული ბენომ — ცდილობდა, თავს მორეოდა. „მე ვერასოდეს გავხდები დიდი, გამოჩენილი ან უბრალოდ წესიერი ადამიანი, რადგან ქვეშაფსია ვარ!“ — სახეზე ეს ყველაფერი ისე ცხადად ეწერა, თითქოს ხმამაღლა წარმოეთქვას. მაშინ ბენომ არ იცოდა, რომ ქვეშაფსია არ იყო. უბრალოდ იმ წყეულ, ერთ ციქვანა პლანეტაზე ჩემს გარდა მისთვისაც გამოენახათ ადგილი.

— ამ სახლში აღარაფერი შეიცვლება! — დედამ მკაცრად სთქვა, უფრო სწორად, დედაჩემში მიტოვებულმა მბრძანებლის ნებამ — საამისოდ ცოტა დრო დარჩა!
ამ ხმამ სიზმრისეული სიტყვები გამახსენა: „შენ ამ სახლის დიასპოტე იქნები!“ და გაფაციცებით დავუწყე შემოსულის ფეხებს თვალიერება ნითელი ნაღების მოსაძებნად. ნაღები არ იყო, ჩვეულებრივი სამხედრო ფეხსაცმელი ეცვა. დედა ხმაღს დაეყრდნო და წამოდგა. ხმალი დრომარი დელოფალივით ეჭირა.

— რა გაცნობა! — ქვის ნიღაბი ალაპარაკდა, ნელა მოტრიალდა ჩვენსკენ და მოულოდნელად ნიღაბი დაიბზარა, მაგიდის შავად გაპრიალებულ ზედაპირზე თაბაშირის ნამცეცხვი გაჩნდა.
— ეს რა ხმალია? — იყვინა უცბად ქამელონმა, — რა ხმალია ეს?
— ჩუმად! — უბრძანა დედამ, ჩემზე ანიშნებდა, — დაჭრილია.
ნიღბის ნაოჭებში ზიზღნარევა ლორწომ გამოჟონა, ტუჩებთან, თვალების ჭრილთან გაქვავდა. ბენომ შიშით აარიდა თვალი, დაფეთებული იყო მისჩერებოდა იატაკზე მოპორიული ფარშევანგს. დიასპოტემ ანგარიშიუცემლად მოიყუდა ბოთლი. წყლის ჭავლები ნიკაპზე გადმოუვიდა, დაეღვარა მუწდირზე.

— საგარძელი, — უაზროდ თქვა, როცა ბოთლი მაგიდაზე დადგა, — კარგა სავარძელია. ვისია?
— ჩემი, — უპასუხა დედამ, — საჩუქარი.
— საჩუქარი, — ჩაიხიხითა დიასპოტემ, — შენ არასოდეს გაკლდა საჩუქრები. დაუკარი! — როიალზე ღრიალით მიუთითა უცებ, — ახლავე დაუკარი!

— რა დავუკრა?
— სულერთია, — ჩაილაპარაკა ნიღაბმა, — ახლა უკვე სულერთია.
ქალი როიალთან დაჯდა, კლავიშებს ხელი გადაუსვა და დაკვრა დაიწყო.
სითეთრე, სითეთრე... ბურუსმა კედლებიდან გამოჟონა. ოთახში ყველაფერმა გაფერმკრთალება დაიწყო. ჰაერი, მტრედების გამჭვივრავლე ბუმბულით აივსო და ბურანში წასულმა ესლა გავიფიქრე: „მე მოვედი, ახლა ჩემი დროა, სანამ გამგზავრებისას დაუკრავენ საყვირები და... აღარ ვარ ორი...“
ბურუსი...

ანტრეპრენიორ ფელიქს სტამბოლსკის მემუარული მემკვიდრეობიდან:

მე უკვე სერიოზულად გადავწყვიტე, გავყიდო ჩემი სასახლე. იმ დანყველილი წინასწარმეტყველების შემდეგ საშინელი სინდისის ქენჯნის გრძობა დამეფულა. უკეთესს არც მოველოდი. უხერხულია მარტოხელა ვიგინდარა (უკაცრავად, მაგრამ თავს ვერ ვერევი) ამხელა სახლში მარტო ცხოვრობდეს. მარტო-მეთქი ვამბობ, რადგან აბსტრაქტული სუბსტანცია — შიში, დიდთავიანი მორევენება, ბატონი მათეს მეცადინეობით საბოლოოდ გადაიკარგა. ყველა მითხრა, იაპონურ რესტორანში მიმტანად მოვანყვეო. ალბათ მომატყუა, რადგან ერთხელ დაავინყდა თავის ნათქვამი, წამოსცდა, საბურთალოს ბაზარში ყოჩივარდებს ჰყიდის, ხალხს ზანგი ჰგონია და თვალის სერიოსთვის კარგ ფასს აძლევინო. ჰო, სახლს აუცილებლად გავყიდი. მაგრამ ფულს რა ვუყო, ვერ მომიფიქრებია. აი, მათემ გადანახული, ნიკოლოზის-დროინდელი თუმნანები გაყიდა. ნახევარი თავისი ძმის სახელზე შეიტანა ბანკში, ნახევარი უპატრონო... მომიტყვეო — უდემამო ბავშვთა სახლს გადასცა. მართალია, სახლის დირექტორი იმ ფულიანად მიიმალა, მაგრამ მათე ხომ არაფერ შუაშია? მე კი არ ვიცი, რა ვქნა. გამომგონებლის ვაჟში მითხრა, ფული აიღეთ და სამომავლოდ წადითო. „ყველაგან ნამყოფი ვარ — ვუთხარი, — ყველაფერი ნანახი მაქვს.“ მაშინო, მკითხა, ფულს რისთვის აგროვებდითო. სიბერეში უზრუნველყოფილი რომ ვყოფილიყავი-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ სისულელე გამოდიოდა — ჩემი დანაზოგი ათამდე ჭირვეული პენსიონერის სიბერეს უზრუნველყოფდა — ამიტომ დავდემდი და მხრები ავიჩრჩე. ბიჭს მეტი არაფერი უთქვამს. წამოსვლისას ეზოში ვეტერანი მათხოვარი დავინახე. სწორედ მაშინ გამიელვა, რომ კარგი იქნებოდა ფული საბრუნოდ მათხოვრებისთვის დამერიგებინა ან სულაც სახლში თავშესაფარი პანსიონი გამეხსნა. ვეტერანს ხელი ვტაცე და შინ წავიყვანე. ერთ ხანს ურჩობდა, მაგრამ ახალ კოსტუმს დავპირდი და დამშვიდდა. კარგად სვა, კარგად ჭამა, მერე სიგარა გააბოლა, თან ბატონ მათეს აგინებდა — ნუ ლაპარაკობ, მეშინიაო. მათე ამირიზა, ვერ მოითმინა და უღრიალა:

— რომელი უფრო საოცარია — შენ რომ გაქვს ლაპარაკის ნიჭი თუ მე?
სამუელმა (მათხოვარს სამუელი ერქვა) ბოთლი ესროლა, გადაბრუნდა და სიგარისადა ჩაიხიხა. სიგარას ძილის დროსაც აბოლებდა. მიწოდდა, წამერტმია, ცეცხლი არ გააჩინოს-მეთქი, მაგრამ ისე მოუჭირა კბილები, ვერაფერს გავხდი.

— ნუ ლაპარაკობო, — ბუზღუნებდა ბატონი მათე, — წარმოგიდგენია, ამას მე მეუბნება?
მათე მართალი იყო — იმ დღეს მაინც — ფილოსოფოსი უზადოდ გამოიყურებოდა. ეს ალბათ ახალი პიჯაკის გამო მომეჩვენა. განსაკუთრებით უხედებოდა პრიალა შავი თილეტი, ცალ ჯიბეზე ღამაზად კონწილალოდ ოქროს ძენკვი, მეორეში მოხდენილად ჩაეჭურთა მარცხენა ხელის ცერა თითი და რალაციტ პროლეტარიატის ამასნინდელ ბელადს წააგავდა.

— სისულელეებს ნუ ფიქრობთ, ფელიქს! — მკაცრად მითხრა მათემ, როდესაც ვუთხარი, თეთრწინეკლებიანი ჰალსტუხილა გაკლიათ-მეთქი, — და იცოდეთ, აქ რომ კიდევ ერთი მათხოვარი დავინახო, ფანჯრიდან ვისვრი. ადამიანთა მიმართ სათნოება შეგიძლიათ სხვანაირადაც გამოამჟღავნოთ.





დასასრული

ცოტა არ იყოს, სამუელ-მათხოვრის შემხედვარეს პანსიონის მონეობის სურვილი გამინელდა.

— აბა, რა ვუყოთ? გარეთ ხომ ვერ გავაგდებთ. იქნებ ადგეზარდა, არც ისეთი მოხუცი ჩანს.

მათე ჩაფიქრდა. მაგისტრის აღზრდა დაგვიანებულიაო, ბუტბუტებდა. მერე — დაგვიანებული კი არა, საერთოდ, ხელი უნდა ავიღოთ ამ სუბიექტზე, დააკვირდით, გამოუსწორებელი არამზადის სიფათი აქვს, უსიამოვნების მეტს ვერაფერს გადავეყრებითო. ლაპარაკისას მათე ყურადღებით ათვალისწინებდა მათხოვრის სახეს. უცებ თითები გაატკაცუნა, ვეტერანს ეცა და თმაში ჩააფრინდა. მეგონა, მათხოვარი ყვირილით აიკლებდა იქაურობას, მაგრამ მე ავეყვირდი (შიშისაგან), რადგან მათემ სკალპით ააძრო სამუელს პარიკი, მერე წარბები, უღვაშებიც ზედ მიაცილა და დაინახე საზარელი, ერთიანად უბალნო, ანატომიური სიფათი, რომელიც სტუდენტ-ანთროპოლოგთა თვალსაჩინოებისათვის გააშთმვლეს.

— ღმერთო, ეს რა არის?

— პარიკი, — მომიგო მათემ, — ეს ვეტერანი კი არა, აფერისტია, შეიძლება სისხლის სამართლის დამნაშავეც, — მერე მძინარეს მოკრიალეულ მელოტზე ჩაუკაკუნა, — აბა, ფეხზე აეთრიე, არამზადავ! — უბრძანა გამოღვიძებულს, — ადექ და გვამცნე, ეს რას ნიშნავს!

სამუელ მათხოვარი პარიკს მიაშტერდა, თავზე მოისვა ხელი და შიშით მოგვარერდა.

— რა არის-მეთქი?! — ყვიროდა მათე, პარიკს ჰაერში აფრიალებდა.

— პარიკია, — ჩაილაპარაკა მათხოვარმა, მზერას გვარიდებდა, — პარიკით სიარული აკრძალულია თუ რა?

— არა, სულაც არ არის აკრძალული, — დაეთანხმა მათე, — მაგრამ არავის უნდა ახავს პარიკიანი მათხოვრები.

— არაფერიც! — შეჰყვირა სამუელმა, — ისინი არსებობენ. აბა, რუსეთში წადით... იქ არამარტო მათხოვრები, ქალებიც კი ატარებენ პარიკს!

— ო, შე მათხოვარო, — დაიწყო მათემ, შემეშინდა კიდევ წყვალს არ მოჰყვეს-მეთქი, მახსოვდა, რა დღეში ჩააგდო ქალბატონი სუსანა. მაგრამ:

— მე მათხოვარი არ ვარ! — მოულოდნელად გამოტყდა მხილებული, — მე უბედური ადამიანი ვარ.

— უბედურებად თუ თქვენს გარეგნულ ღირსებებს მიიჩნევთ, თანახმა ვარ — არასოდეს მინახავს ასეთი მზაკვრული ფიზიონომია.

— მე პოეტი ვარ, — განაცხადა სამუელმა, გამობურცულ თვალებს კარისკენ აცქეცებდა, — დამიბრუნეთ პარიკი. საერთოდ დავიკარგები აქედან.

— ბუნებაში არაფერი იკარგება, — გამაბტრიალისტადა მათე, — თქვენნაირი ნაძირალაც კი.

— მე ნაძირალა არ გახლავართ, არამედ...

— უბედური ადამიანი, — დაასრულა ყვავმა, — ერთი გვიამბეთ, უბედურო, ამ ქალაქში საიდან გამოგვეცხადეთ! აბა, ცოცხლად!

მათე გამომძიებლის აუტანელი ტონით ლაპარაკობდა და სამუელს არაქათს აცლიდა.

— კარგით, — თქვა სამუელმა, — ყველაფერს გვიამბობთ, ოღონდ არ გამთქვათ, თორემ დავიღუპები.

— ამაზე მეტი რაღა უნდა დაიღუპო? — გაოცდა მათე, — სარკემი ჩაიხედე, რას გავხარ!

— მე მისი უდიდებულესობის არმიის ოფიცერი ვარ, — განაცხადა მათხოვარმა.

— რომელი უდიდებულესობის? — თვალები ჭყიტა ყვავმა, — აქ „მისი უდიდებულესობები“ ანაქრონიზმებად ითვლებიან, ჩვენს ქალაქში მხოლოდ მოედნებზე დგანან, ისიც ბრინჯაოში ჩამოსხმულები და ისიც ორიოდე. როგორც ვიცო, მათი ოფიცრები დიდი ხანია, განსანმედეგლში კენესიან, რადგან თავ-თავიანთ უდიდებულესობებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

— თქვენ არ იცით, — თავი გააქნია არალეგალურმა ოფიცრმა, — იყო კიდევ ერთი უდიდებულესობა. მის შესახებ ძალიან ცოტაა იცის. თქვენ იქნებ არც

ურთმეცნი პასცა ბერიშვილის გამოუქვეყნებელი რომანიდან

კვირთაილი ცდომილი მსახური



ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ გსმენიათ?

— როგორ არა, როგორ არა.

— თქვენ ძველი ომები გაქვთ მხედველობაში. ჩვენი ლაშქრობა კი სულ ახლახანს, რამდენიმე წლის წინათ იყო. მე ვიბრძოდი.

მათე პარიკი მაგიდაზე დადო და მოშორებით გადაჯდა.

— არა, — მიუხვდა მათხოვარი, — მე გიჟი არ ვარ. შემიძლია მეფის მისამართიც მოგცეთ. მაგრამ ის ცოცხალი აღარ არის... სანყალი, მწერალი იყო.

— თქვენ პოეტი ოფიცერი იყავით, მეფე მწერალი, გამომცემელი არ გყოლიათ, მიხეილ იურის ძე?

— ვინ არის მიხეილ იურის ძე? მე არ ვარ ეგ მიხეილ იურის ძე. გამომცემელი კი გყავდა, — აქ სამუელი დაიკრუნჩხა და ყვირილით განაგრძო, — სულთამშუთავი, ურჩხული და ავანტურისტი! მექალთანე-შულერი, ამავე დროს კორუმპირებული არამზადა და დუელისტი. სწორედ მის გამო ვიძალუდები და მათხოვრობას შევჩვევი. ის ორდენის დიდი მარშალი იყო, მე კი საჭურველმტვირთველი!

— კორუმპირებული დუელისტი! — ხარხარებდა მათე, — იცით, ფელიქს, ჩვენი მათხოვარი თავშესაქცევი იდიოტია.

სანამ მათე მხიარულობდა, მე გამომგონების ვაჟის ნაამბობს ვისხენებდი.

— რა გვარი ხართ? — ვკითხე სამუელს. გაჩუმდა, შევატყვე, ტყუილის მოფიქრებას ცდილობდა და დავუყვირე, — იცოდეთ, მხოლოდ სიმართლე უნდა მითხრათ!

— რა თქმა უნდა, სიმართლეს გეტყვით, — ნატიტინა მათხოვარმა, — გვარად ყორღანოვი გახლავართ, ეე... კეთილშობილი წარმოშობისა...

— რააო?! — გაანჩხლდა ყვავი, — რა გვარი ვართ?

— ყორღანოვი, — ჩურჩულით გაიმეორა სამუელმა.

— თქვენ მაკაბელოვი ხართ, იუდა და გამცემი!

მათე ჯერ გაოცებით შემომხედა, მერე მაგიდიდან საფერფლე აიტაცა და მაკაბელოვს ესროლა. მაკაბელოვმა საფერფლე აიციდინა, მაგრამ გაშმაგებული მათესთვის ყურადღება არ მიუქცევია, მე მიყურებდა და სისინით მკითხა:

— რომელ პრეცედენტში მსახურობდით? არც ერთი სადროშოდან არ მახსოვხართ. მაგრამ იქნებ აზნაური არა ხართ? რიგითი იყავით, მორჩილი, ასე ვთქვათ?

— გინდათ მეც დამაბეზლოთ? — ვიემბაკე.

— ახლა ვილასთან? — ამოიხრა სამ-

უელმა, — გაირყვნა ხალხი. დღეს მხოლოდ ახალ ჯვაროსნულ ომზელა ლაპარაკობენ. მე კი რესტავრატორებს თანავუგრძნობ, ისინი მიგებენ ხოლმე.

— ოხ, შე შპიონო! — დაიგმინა მათემ.

— არა შპიონო, არამედ მზვერავო, — თვალები დახარა მათხოვარმა.

ეს არ უნდა ექნა, რადგან მათემ შეძახილით — თუნდაც მზვერავო! — მოზრდილი ლარნაკი ესროლა. ლარნაკი ჩინური ფაიფურისა გახლდათ და წკრილით დაიმსხვრა მაკაბელოვის შუბლზე. სამუელი აზლუქუნდა, მორჩილად ნამოკრივად გაბნეული ნამსხვრევები და მაგიდაზე დაანყო. მე შემოიღე მაგისტრზე ვფიქრობდი. გამომგონებულზე, რომელიც ასევე შემოიღმა საჭურველმტვირთველმა გაყიდა:

— ერთი ეს გვიბრძანეთ, მაკაბელოვ, თქვენი მწერალი მეფე რით გარდაიცვალა?

— გულით, — ჩურჩულით თქვა მაკაბელოვმა, — ინფარქტით. პირდაპირ სადილობისას...

— თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ? მაკაბელოვის მიმქრალ სახეზე ზემურმა ნაპერწკალმა იელვა, მართალია წამით, მაგრამ მიგხვდი, სამუელი ამ ფაქტით ამაყობდა.

— რას დადუმებულხარ, მუზმუზელავ? — უღრიალა მათემ, — კალიუმის ციანიდს ხუმრობა არ უყვარს, ხომ?

— ციანიდით დღეს ვინ მოქმედებს? — ზიზლით დაიმანჭა მათხოვარი, — მეფემ ხოხობი მიირთვა, რომელსაც დარიშხანში გამოყვანილი სოკოებით კვებავდნენ. კარგი ხოხობი იყო, ლამაზი, მე კი არაფერი ვიცი. მე მხოლოდ დიდი მარშლის შტაბში ვირიცხებოდი, ბატონო... მე მაგის... ოტოსთან.

— ისიც მოკალით?

— იმას რა მოკლავს?! — შეიცხადა იუდამ და ქირქილს მოჰყვა, — სამაგიეროდ, გამომცემელ-მინისტრობიდან მოხსნეს — ახლა ლოთია, უკაპიკოდ დადის. ამასწინათ ბაზარში ვხახე, ჩიტებს ყიდდა.

— რომ დაენახე, ალბათ თავს ნაგაცლიდა.

— რას ჰქვია, თავს ნამაცლიდა?! — ისევ გაამაყდა სამუელი, — რახან ვამბობ, ვნახე-მეთქი, მამასადამე, პირადად შევხვდი. გასაგებია? და, სხვათა შორის, არა პირველად და მეორედ. დიდი მარშალი სარწმუნოებრივ ნიადაგზე შემირიგდა, შემინდიაო. ჰო, სწორედ ასე მითხრა — შემინდია, შე საცოდავო, — და სამუელი ახითხითდა, — ისიც კი დაამატა, კაპიტანს მოერიდებ, მოგკლავსო. კაპიტანი ეს მაგისტრია, თეთრი ლარნაკის ორდენის

კავალერი. მე კი ავდექი და მის ეზოსთან კიბის ქვეშ დავსახლდი. ყოველდღე თავის ხელით მაძლევდა უზალთუნებს. მაგონი, გააფრინა. ერთხელ მეუბნება — არ გინდა კარუსელზე დაგსვავო... მე და კარუსელი? დიდი მალობა-მეთქი, ვირია...

— აქ მათემ სკამს დასტაცა ხელი.

— საჭირო არ არის, — შევაჩერე მათე, — მაგის სასჯელი წინასწარმეტყველური სავარძელია. იქიდან ვეღარც ადგება.

— რომ ადგეს? თან არავითარი ლუსტრაციის კანონი ამას არ შეეხება...

— მაშინ კისერში თოკს ჩავაბამთ და ქუჩა-ქუჩა ვატარებთ.

— არ მინდა სავარძელი. არც ქუჩა-ქუჩა ტარება მინდა. დათვი ხომ არა ვარ? არ წამოვალ არსად. მე ჩემს დროს ველოდები.

— შენი დრო, — ფრთები აიქნია ყვავმა, — შენი დრო გაფრინდა! მორჩა! მოკვდა! გასაგებია?

— ქალბატონი მარჩიელის ბაღში კი მასწავლეს, რომ დრო არც რჩება, არც კვდება, არამედ ბრუნავს. მამასადამე, ჩემი დრო დაბრუნდება.

მათემ თვალები დააჭყიტა.

— ნაძირალა აზროვნებს, — ნამჩურჩულა მერე, — ეს ორმაგად სამწუხაროა. იმ ბაღში სხვა ვერაფერი გასწავლეს? — უღრიალა სამუელს, — ვერ მოესწრები იმ დროს, რადგან ახლავე მოგსპობ!

— როგორ მომსპობთ? — საზარლად გაეცინა მათხოვარს, — მე ხომ ორი ვარ? ჩემი მოსპობა შეუძლებელია. ქალაქი წონასწორობას დაჰკარგავს, — ამ სიტყვებზე წამოდგა, ნელა შეტრიალდა და ჩვენ მაკაბელოვის კეფის მაგივრად მეორე სახე დავინახეთ, პირველის ზუსტი ასლი, მაგრამ თვალები დაეხუჭა და ეძინა. მაკაბელოვი შემობრუნდა. ეს ისე ჩქარა მოხდა, შეძრწუნებაც ვერ მოვასწარი. მათხოვარი დაღვრემილი ჩამოვდა საწოლზე, თქვა, — ეს სეირის გამო არ მიჩვენებია. უბრალოდ, მინდოდა დამერწმუნებინეთ — თქვენი გარჯა ამაო იქნება. ჩემი მოკვლა თავადაც ვერ მოვახერხებ, თუმცა გულით მინდოდა შურისძიება ამერწმუნებინათ.

— მე განწყევინა, ვარდო? — ქუჩურ-ავდებულად დაეკითხა მათე.

— ყველამ, — ჩაისისინა მაკაბელოვმა, — ყველამ... დამცინოდნენ, თორემ მე რა? განა არ შემეძლო სიკეთე მეკეთებინა. ჩემი არ სჯეროდათ — თავის განივრის გემინიაო. მერე მეც აღარ მჯეროდა ჩემი. განა არ შეიძლება თავის განივრის გარეშე იყო კარგი? ძალიანაც შეიძლება. ის ხომ, ბოლოს და ბოლოს, ერთია, თავი?

— აკი ორი ვარო, ღორის ტყუპო?

— მეორე შორსაა. სხვა ქვეყანაშიაო, მარჩიელმა. მე კი აქაც მინდა, აქაც ძრიელ კარქია.

მათემ მაჯაზე იკბინა.

— ესე იგი, ყველაფერი გინდოდა, არა? — რა, არა მაქვს ამის უფლება? ამის უფლება ყველასა აქვს.

— აჰ, მამასადამე, ყველას? მამასადამე, გმირიც გინდოდა ყოფილიყავი და დიდხანსაც გეცოცხლა, ყვავივით ხომ? — მათემ აშკარად შეტოპა. ამას სამუელ-მათხოვარიც მიხვდა და ავზინიანით გაიცინა:

— განა შენ კი არა ხარ ყვავი? ადამიანით კი ლაპარაკობ. იქნებ მეჩვენებ?

— მე, მე... — დაიბნა მათე — არგუმენტი შეუვალი იყო, — ჩემი ბრალი არ არის, ამ ფრინველს რომ ზედმინეგნით ვგავარ. სამაგიეროდ არავისთვის მილაღატია...


— აქ ბატონ მათეს და ჩემი ძველი შუღლი გამახსენდა, გამახსენდა რა ფანდებს აღარ მიგებდა. ეჰ... მაგრამ ეს ადრე იყო და არც მე ვაკლებდი ხელს.

ეტყობა იგივეს ფიქრობდა მათეც, მორიდებულად გამომხედა (ღმერთო, როგორ იცვლება დროება!) და თვალები დახარა.

— აი, ხომ ხედავთ! — აღფრთოვანდა მათხოვარი, — განა თქვენი სინდისი სუფთაა? თქვენც ორი ხართ, ჩემო ბატონო, ორი. მაგრამ თქვენი ორეული შეიძლება იყოს კეთილი, ჩემი კი ჩემივე განმეორებაა. აი, ეს გახლავთ მთავარი.

— ჩვენში მეორე მოკვდა! — შესძახა მათემ. ისე ლელავდა, ძლივს გავაჩერე, თორემ მთელ ბიოგრაფიას მოყვებოდა, — მოკვდა! გასაგებია? აი, ამ ხელით მივასაკვლავე!

— მე ვერ შევძელი ეს, — გამოტყდა მათხოვარი, — ჩემი თავი ძალიან მიყვარს. მან ეს დაიმსახურა, რადგანაც ენო, იობივით... დიახ...



ლიბრატიო

შემსრულებელს ეკლიანი ხმა და ბიოგრაფია სჭირდება

მე ვწერდი უფრო შენთვის და ჩვენთვის და სამურაი, როგორც მისიმა. არ ვლავატობდი ჩამოშლილ ხერთვისს, როცა მამალი ხმობდა მესამედ.

არ მსურდა თავი მეგრძნო არარად და შემწედ მყავდა უფალი ღმერთი და მივადექი ნავით არარატს, გადარჩენილი შენთვის და ჩვენთვის.

ბრწყინავდა ლექსი სიტყვის კარატი, წყალზე დაირწა უცხო მოტივი, ელოდა ჩემს ნავს მთა არარატის, — ქვეყნად ერთადერთ მოქმედ პორტივით.

ჩვენებურები არკვევდნენ მიზეზს, შანდალში სიტყვა რა მადლით ენთო, ლექსი წინ უსწრებს ევროპულ პრიზებს, ვით Quattrocento-ს სდევს Cinquecento.

აღმოსავლეთში, სადაც დაზია-ნებულა მწყობრი, მიმართეს მეჩეთს, საგამომცემლო ბლანკზე აზია ტუჩებით ტოვებს პომადის ბეჭედს.

რობაი, როგორც ბანგი ჰაშიშის, ჟანგბადის ნაკადს მოჰყვება ჩუმად ...ფრენის ბილეთს და კონტრაქტს ა.შ.შ. მიგზავნის, როგორც სასურველ სტუმარს.

და არ ჩაივლის ეს სრბოლა უქმად, ზღაპარი ფინალს მიანდობს კეთილს, თუ ლექსმა მერეც განაგრძო სუნთქვა, ტაუპის ბოლოს რომ დასვამ წერტილს.

სუნთქვას განაგრძობს ლექსი და ჩუმი იდუმალეობა მიჰყვება ფრაზას, თუ ანდობ სიტყვას საკუთარ დუმისს და მინიშნებს, არ ანდობ რასაც.

მე უფრო ვწერდი შენთვის და ჩვენთვის და ვგრძნობდი ფესვებს, როგორც მისიმა. ვუდარავებდი ჩამოშლილ ხერთვისს, ვიდრე მამალი ხმობდა მესამედ.

...და დარჩა სხვისი მბაძავი სახტად, ჩემს სიტყვას დედის ამაგი ერთის, ...და შესამჩნევი სხვისთვისაც გახდა, რაც ვწერე ჩვენთვის, დიდება ხერთვისს!..

არტიზტი

ფიცარნავს ქუსლით სინჯავს არტისტი, ვით მოციქული წყლის სიმკვრივეს. — მოდი, გადავდებ ამ ფიქრს ზამთრისთვის, სულ რომ არ ვწერდე ერთს და იგივეს.


ან თებერვლისთვის, ანდა მარტისთვის, მართლა მოვიცილი ერთხელ ART-ისთვის, რომ შევხვდე უფალს, როგორც არტისტი, ან მოვკვდე, როგორც ბონაპარტიტი.

— ვაშა კრუპიეს, კარგი კარტისთვის! — დიდება უფალს, ცუდი კარტისთვის! ვილაც თავს წირავს ქრისტეს კვართისთვის, ვილაც კენჭს იყრის ქვეყნის მართვისთვის.

სამყაროს სრბოლა აღვიქვი სცენად, დოლზე რომ უნდა მეცადა ბედი: — გთხოვთ, ეკიპაჟი ასრულებს ფრენას, უსაფრთხოების შეიკრათ ღვედი.

ჩავედი ფსონი, თეთრონი რაში გადააფრინდეს ნაპრალს ქარში რომ, მომწვედება ქაფი მოწყვეტილ ტაშის, — გამადლობთ, არ არის ხურდა საჭირო.

არტისტი მანამ სხვათაშორისობს ვიდრე ფრთას მისცემს მტვრიან ფოლიანტს,



დათო მალრადე

მერე კი ზღვას და წითელ ჰორიზონტს და სივრცეს ფრთებით იგრძნობს თოლია.

და თუ ფინიშთან სულს ვერ მიატანს, ანგელოსებმა თავისთან იხმეს... ფრთხილად გაესინჯავ სცენის იატაკს, როგორც საყვარლის თვალების სიღრმეს.

მაგრამ თუ ქალმა ხსოვნა ინამა, დარჩენილ დღეებს მიმოიქვრივებს... სინჯავს არტისტი ქუსლით ფიცარნავს, ვით მოციქული წყლის სიმკვრივეს.

— მოდი, გადავდებ ამ ფიქრს ზამთრისთვის, ან თებერვლისთვის, ანდა მარტისთვის, მართლა მოვიცილი ერთხელ ART-ისთვის, ART-ისთვის ერთხელ იცლის არტისტი.

მედეა ჰაზოლინის მკვლელობა

არგონავტები როცა მოვიდნენ, ჩემს ქალაქს ერქვა აია-City. ახლა თეთრ სახლში რაზე მორიგდნენ, ამას გავიგებთ მედეას მზითვით... ვერსაიდან რომ ველარ მომიდგნენ, მომიკლეს ჩემი აივნის ჩიტი, გაჩუმებისთვის ფული მომიდგეს და მოთმინების შეუთეს ფითილს.

საკუთარი ეპიგრაფი

ამოფრქვევამდე, ვულკანის ბოლით გაიძენძენა ბერძნული მითი და მერე რისხვა ქართველი ცოლის მოსკდება ღვარად მედეას მზითვით.

მოჩანს მედეა, — მადლის ნაღები... და მასზე წერა ჩემი ბედი, ამიტომ ვყვირი ყელის ძარღვებით: — თავისუფლება ბინძურ მედიას!

მედეამ მისცა საბერძნეთს ქალი, როგორც ათენამ ათენს ოლივი და თუკი მოგვდა ქალღმერთის ალი, მოძებნი სიკვდილს იასონივით.

— ვინ გსურს, რომ იყო: ძმა, ქმარი, მამა, ან იქნებ შვილი, ინატრე მხოლოდ. თუ დაეწაფე მედეას ნამალს, ყველა არჩევანს ერთი აქვს ბოლო.

მიდის მედეა... მისდევს მედეა... კორესპონდენტი კინძავს ნიუსებს, ეს დროც რამდენად საიმედოა?... აგვიანდებათ ინტერვიუზე.

დრო ქალს ჩამორჩა, დრო იწყებს ქომინს, ...თოლია კენკავს სველ პაპიროსებს. მედეას დრომა, ღვთაებრივ დროში მოჩანს კოლხეთის სანაპიროზე.

ესთეტი მხარზე შეიფრენს მუზას. სურს, რომ ქალს ცრემლში მოთხოვოს წილი, აღმერთებს... ვაშლის ნაყოფზე თუმცა ვერ აპატია ადამის კბილი.

სისხლი დაფერავს გარუჯულ სახეს, როგორც ბრინჯაოს ფერავს პატინა და პაზოლინიც მოკლული ნახეს, მედეას მზითვს რომ წაეპოტინა.

...წუხელ ტურისტი პორტში გაღლიტეს, სცემეს, წაართვეს ტყავის საფულე, — რა დაუშლიდათ პორტის თაღლითებს, პოლიციასთან ფული ჩაფლულებს.

...წუხელ უცნობმა თავი ქებული დააკვლევიდა და ნახეს მკვდარი, ტუსად ანგელოსს დაჩირქებული სხეულის საკნის გაუხსნა კარი

ასე მიაგნო ნაგვის სარეცელს, სხეული, როგორც ბილნი გზავნილი, დააგლეჯინა ქუჩის გარენრებს, კოლიზეუმში ქრისტიანივით.

ლამის ფარანი თითქოს ჩაღენეს, ჩაღენეს თითქოს ღამის ფარანი. თავი შეაკლა ქუჩის გარენრებს, რომ მომკვდარიყო, როგორც „არავინ“.

წუხდა, რომ რხევას მერყევ ვალუტის უდგენს ლონდონის ბირჟა აზიას. — მამ გაიმარჯვა, მივცეთ სალუტი, მთელს პლანეტაზე ბურჟუაზიამ!

კეთილდღეობა, თავის კანტურის კონსტიტუციის არის ფორმატი, არ განაბაჟეს პოეტ არტურის ტვირთი, მოსული მთვრალი ხომალდით.

ხან ნაზი რხევა მინდორში პეპლის, ნიავს რომ აძლევს ქარიშხლის ძალას, ასე აღზარდა სხეულში მსხვერპლი და კუნძზე კისრით მიუგდო ჯალათს.

და უპირობოს გასცემდა ვექსელს, მშვენიერების მუდმივი საშვით, ნაგავსაყურელზე ეძებდა ლექსებს, როგორც მესამე სამყაროს ბავშვი.

განსანმენდელის ცეცხლი აშიში-ნებული ერთხელ მისცა ა.შ.შ-მ, ჰაშიში... ფხვნილი... ქუჩა საშიში დასაბრუნებლად დედის საშოში,

რომელსაც მოწყდა, თუმცადა თავი ჭიპლარის ყულფში გაჩრილი დარჩა და არგონავტის მოადგა ნავით კოლხეთს, მარქსისტი, ქცეული ხარჭად.

— ო, უკაცრავად, ქართულ სამყაროს წყლებში მოცურდა მოდერნი ტივით, არც ქალს შეხედა, როგორც ბარბაროსს, ერთი რიგითი არგონავტივით.

სისხლმა დაფერა გამხდარი სახე, როგორც ბრინჯაოს ფერავს პატინა... და პაზოლინი მოკლული ნახეს, მედეას მზითვს რომ წაეპოტინა.

ჩამს მკითხველს

თუ გამოტოვე თბილისის ხედი, — გამთენიისას რომ აკრთობს ლილა, როდესაც ნისლში გალუმულ მტრედის ფრთიდან მოწვეთავს ნოტიო დილა.

არ შეგეხება ამურის ალი, თუ არ გაბედე, თუ არ გარისკე, თუ არ გაგეცა მოწყალე თვალი ქუჩის ბოლოში ჩამომჯდარისკენ.

და თუ გამოგრჩა, ამურის რუკას რომ სისხლი ახლავს ახლაც და ადრეც... ხან წინ მიგიძღვი, ხან მოგდევ უკან, გამოტოვებულს ავკენკავ კადრებს.

და ალბათ ხვდები, რამდენი კიდევ, გამორჩენილი იცვლება კადრი, მაგრამ მე ჩვენი ინტიმის კიდევ მომდევნო სტროფში ღვთაებრივს ვადრი:

— თუ გამოტოვე, „ზამთარის“ ხვეულს, რომ შეუძლია დანამვა თვალის, გამოგიგზავნი ჩემს ახალ რვეულს, რომ ცაში უფლის არ წამყვეს ვალი.



— ბამარჯობა! — თქვა კლასში შესულმა დედუკამ. უფროსი მაგიდაზე დადო, სკამი გამოსწია და მოწყვეტილ დაჯდა. დილიდან დალილობას გრძობდა. უფრო კი, რაღაცნაირად მოშვებულიყო, ძალია გამოსცლოდა. თითქოს გულიც უცნაურად მოსდუნებოდა და მის ნაცვლად ახლა მთელი სხეული უფეთქავდა. ყოველი წლის ბოლოს ჰპირდებოდა თავს, სექტემბრიდან სადამრიგებლოს აღარ ავიყვან, დღემი სამი-ოთხი გაკვეთილი, დამრიგებლობა და სკოლის დირექტორობა ერთად უკვე ძალიან ბევრიაო. ერმონას-თვისაც რამდენჯერ უთქვამს, ამ წელმაც ჩაიაროს და კატეგორიულ უარს ვიტყვი დამრიგებლობაზეო, მაგრამ დადგებოდა თუ არა ახალი სასწავლო წელი, დედუკას დაპირება ავიწყდებოდა. ერმონა დედუკას საუკეთესო მეგობარი, მისი რაიონელი, კურსელი და სკოლის საქმეთა მმართველი იყო. მასთან სიტყვის გატეხის არ რცხვენოდა დედუკას — რა ვქნა, ვერ ვუღალატებ ბავშვებს, შუა გზაში ვერ მივატოვებ, თანაც, დამრიგებლობა საუკეთესო საშუალებაა მათთან საურთიერთოდაც და სამუშაოდაცო — იმართლებდა ხოლმე თავს მეგობართან.



ინა არჩუაშვილი

დედუკა ბექაური

მოთხრობას საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი

ვუძღვნი ერმონა (ირმა) ფილაურს

დვილი შიში, უფრო კი, მთელ სხეულში — აი, ამ დალილობასავით, ახლა რომ ლამის მოცელოს და ნააქციოს, ერთი თუ მოდუნდა და დანებდა.

ერთგული მოსწავლეები, როგორც შეეძლოთ, სიყვარულით, კარგი სწავლითა და, რაც მთავარია, „საიდუმლოს“ შენახვით უფასებდნენ დამრიგებელს მათი ასაკისთვის სულზე მოსწრებულ, ჰაერით სავსე და თითქმის საკრალურ ურთიერთობას; ისინი უფრო ალღოთი გრძობდნენ, ვიდრე აცნობიერებდნენ, რომ ძალიან გაუმართლათ, დედუკა ბექაურის კლასში რომ მოხვდნენ; რომ ისინი იმ ერთგული და იღბლიანი საბჭოთა ახალგაზრდების რიცხვში იყვნენ, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, სრულიად ახლებურად შეეხედათ გარედან კარგად შენობიერებული მოვლენების, ფაქტების, ადამიანების ცხოვრებისა და საკუთარი, 16-17 წლის თავებისთვისაც; რომ, დედუკა მასწავლებლის არსებობა მათთვის ხელმოკრედ, სულ სხვა სივრცეში, და არა „ნიეთელ“ ქვეყანაში დაბადება და თვალის ახევა იყო. სხვაგვარად ისინი დიდხანს, ან საერთოდ, ვერასდროს დაინახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების სამარცხვინო და სასტიკ სახეს.

დედუკა მასწავლებელი რომ არა, ალბათ ვერასოდეს შეიტყობდნენ დიდი ქართველი მეცნიერისა და მკვლევრის, პავლე ინგოროყვას „სულელად“ გამოცხადების ფაქტს, უნიჭიერესი, სულ ახალგაზრდა მხატვრის, პეტრე ოცხელის, სანდრო ახმეტელისა და სხვათა დახვედრის, მხატვარ დავით კაკაბაძის სიღარიბეში სულის ამოხდომის, პაოლი იაშვილის, როგორც ვითომ „იდეოლოგიური მავნებლისა“ და „ხალხის მტრებთან“ ურთიერთობის გამო თვითმკვლელობამდე მიყვანის, ტიცთან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკოლო მინიშვილისა და კიდევ სხვაც ბევრი მოკლეული და სამუდამო გადასახლებლისთვის განწირული განსხვავებული და მოაზროვნე საუკეთესო ქართველი ხელოვანების ამბებს. დედუკა მასწავლებლისგან გაიგეს ასევე არაერთი რუსი მწერლის ცხოვრებისა და მათი ნიგნების ტრაგიკული ისტორიების შესახებაც. თუნდაც ის, თუ როგორ გადაურჩა გაქრობას მიხეილ ბულგაკოვის რომანი „ოსტატი და მარგარიტა“, როგორ ათქმევინა საბჭოთა ხელისუფლებამ უარი 1958 წელს ბორის პასტერნაკს ყველა მწერლისთვის საოცნებო ნობელის პრემიაზე რომანისთვის „ექიმი ჟივაგო“; გაიცნეს ასევე უცხოელი მწერლები — მარსელ პრუსტი, ჯორჯ ორუელი, ფრანც კაფკა და სხვა ავტორებიც, რომელთა შესახებაც ზოგჯერ დედუკა მასწავლებელი საშუალოზე დაბალი და მოგუდული ხმით, თან კი ბედნიერი და სახეგაბრწყინებელი ლაპარაკობდა და ახალგაზრდებს სთხოვდა: „ჩანერა ან გინდათ, არ ჩაინეროთ. ეცადეთ, ზეპირად დაიმახ-

სოვროთ — ჯორჯ ორუელი, „1984“, მისივე „ცხოველების ფერმა“...

დედუკა ბექაურის მოსწავლეებს ყურმოკერით ისიც სმენოდათ, რომ მათი მასწავლებელი კიროვის ბაღში აკრძალული ნიგნების საყიდლად დადიოდა, მერე კი ხშირად თავადაც პირველად გაგონილ და ნაკითხულ ავტორებსა და ნაწარმოებებზე აღფრთოვანებული უყვებოდა მათ. ზოგჯერ საიდუმლო „ნაკითხვებს“ ის სახლშიც ანუბოდა. „იცოდეთ, რომ არასდროს იქნება დაგვიანებული არც ერთი ნიგნის ნაკითხვა. როცა შეძლებთ, რომელ ასაკშიც მიგიწვდებთ ხელი, მაშინ ნაკითხეთ. თუ გინდათ რომ იაზროვნოთ, თუ გინდათ რომ იდეოლოგიურმა მანქანამ თქვენი თავისუფლებისკენ სწრაფვა არ ჩაქლას, უნდა იკითხოთ. ჯერჯერობით თქვენ სხვა არაფერი შეგიძლიათ!“ — ეს იყო ის, რასაც დედუკა მასწავლებელი თავის მოსწავლეებს სთხოვდა, ამ ღირებულების სწავლება მიანდა მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობადაც.

წინა გაკვეთილზე დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის“ შესახებ ჩაანვეთა მოსწავლეებს და ზარიც დაირეკა. ხშირად ასე განგებ იქცეოდა დედუკა — საინტერესო თემაზე გაკვეთილი დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ნამოინყებდა საუბარს, მხოლოდ ორ-სამ ციტატას, ნაწარმოების ან ავტორის გვარ-სახელს იტყოდა და ინტერესს გაუღვივებდა ბავშვებს. ამჯერად, დიდი იმედი ჰქონდა, რომ პოემა ყველას თუ არა, ნახევარ კლასს მაინც ექნებოდა სახლში; ვისაც არ ექნებოდა, ერთმანეთისგან, მეზობლისგან ან ნათესავისგან ითხოვდნენ და ბოლომდე თუ არ ნაკითხავდნენ, თვალს მაინც გადაავლებდნენ. ან, ვინ იცის, იქნებ ნაკითხათ კიდევ?..

— „ქაცვია მწყემსზე“ საუბარს არ გავაგრძელებთ, მას? — შეაგებეს ბავშვებმაც აელვარებული თვალელები.

— სიამოვნებით, მაგრამ პოემა თუ ნაკითხა ვინმემ თავიდან ბოლომდე? — პასუხად თავადაც კითხვა დასვა დედუკამ და გამომცდელი ღიმილით გადახედა მოსწავლეებს.

— როგორ არა, მას, — გამოეპასუხა მერხზე იდაყვებით დაყრდნობილი წონოლა ბიჭი, კლასში ერთ-ერთი გამორჩეული და გონიერი მოსწავლე გუჯა მოლაშვილი ციტატით, „მზიარული ზაფხულიდან“, — ადგა, ნავიდა, მუნ მალვით კაცი, სადაც შერქმოდათ ქალ-ყმათა ქაცვი, მან გათიბა მოლი, მათი დასანოლი მუნ განამზადა... გუჯას ნაკითხულს თანაკლასელების ფხუკუნნი და რუბლიკები მოჰყვა. მერე მომცრო ტანის ენაკვიმატი და „ყოვლისმცოდნე“ ნუკრი სისხარულიძე ნამოხტა სკამიდან გურული სისხარტით:

— ის გოგო ჩემზედ გახდა ორსული, რა

დრო შეიქმნა შობად მოსული მე ვიმეგ; სახელად მათ დასაძახელად მარქვეს „ქაცვია“...

ნუკრი ერთი წლის წინ გადმოვიდა ოზურგეთიდან დედუკას სკოლაში. გასაოცრად ცინცხალი გონება ჰქონდა. რომელი საგნის ოლიმპიადამიც არ უნდა მიეღო მონაწილეობა, ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა უკან. თან, გურული სისხარტით და მოუსვენრობით, მამიას აგონებდა ეს ბიჭი დედუკას და მაშინვე გამორჩეულად შეუყვარდა. ციტატის თქმისას ნუკრი საწყლად მოიხარა მხრებში, გლახაკი და ყარობის გამომეტყველება რომ მიეღო. ბავშვები ახარბარდნენ. დედუკაც აპყვით სიცილში. თავისი სილალით დანარჩენი მოსწავლეების გამოწვევასაც ცდილობდა. უფრო გოგონებს უნდოდა რომ ეაქტიურათ, სიმორცხვე დაეძლიათ და ნაწარმოებიდან მათთვის სასურველი სტრიქონები წაეკითხათ. მაგრამ გოგონები მხოლოდ ხელეებს იფარებდნენ აღმურავარდნილ ლოყებზე და უხერხული ღიმილით იმშუშნებოდნენ. დედუკა აღარ ჩასცივებია ბავშვებს, ეს არ იყო მისი სწავლების მეთოდი. ცოტა ხანს კიდევ შეიცადა და, როგორც იცოდა ხოლმე, რბილი, ხავრდოვანი ხმით დაინყო საუბარი.

— არაფერია, ბავშვებო, აქ დასარცხვენი და საუხერხული. ეს ლიტერატურაა, ნამდვილი ლიტერატურა. ის კი, რაზეც თქვენ ანცობთ, ნითლდებით და უხერხულობთ, ზოგადადაც და ავტორის მიერაც, სუფთა და ბუნებრივ გრძობად არის მიჩნეული. ჩემი მხრიდან კი დავძენ, რომ სწორედ ბუნებრიობა განსაზღვრავს ადამიანის სულისა და სხეულის სიჯანსაღეს, დანარჩენ სამყაროსთან, უპირველესად კი საკუთარ თავთან ჰარმონიულ თანაცხოვრებას. ახლა თავად პოემის შესახებ: „ქაცვია მწყემსი“ ბუკოლიკური პოეზიის ნიმუშია, რომელიც პოეზიის ისეთი ჟანრია, სადაც სოფლური, მწყემსური ცხოვრებაა გაიდელეული. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამ ჟანრის არაერთი ნიმუში მოიპოვება, მაგრამ, მოდი, ჩვენ ჯერჯერობით ჩვენსაზე, და, მე ვიტყვოდი, გენიალურზე, ვისაუბროთ... პირადად მე, გიორგი ლეონიძეს ვეთანხმები იმაში, რომ პოემას მან ქართული ყოფა-ცხოვრების ამსახველი და ქართულ-ხალხური იუმორით შეზავებული „ხორცის და სიყვარულის ჰიმნი“ უწოდა, ხოლო გიორგი ნატროშვილისა და, ნაწილობრივ, კორნელი კეკელიძის მოსაზრებებზე, რომ „მზიარულ ზაფხულში“ ასახული ყოფა და წესჩვეულებები „სცილდება“ „ქართულ სიამდვილეს და ჩვეულებებს“, მინდა, დამოუკიდებლად იფიქროთ და მომავალ შემოქმედებით გაკვეთილზე ფურცელზე გადატანილი თქვენი ნაზრევი ერთად ნაკითხით კლასში. ვნახოთ, რა არგუმენტებით დაუპირისპირდებით ან დაეთანხმებით სახელოვან მეცნიერებს.

ბოლო ფრაზა რომ დაასრულა, დედუკამ ღრმად ამოისუნთქა და ისე გამოფიტულად იგრძნო თავი, მიხვდა, თუ ერთი წუთითაც დააგვიანებდა და სკამზე არ დაჯდებოდა, აქვე ბავშვების თვალწინ, სამარცხვინოდ გადავადებოდა.

— აუ, მას, უკვე მორჩით? ჯერ ზარი ხომ არ დაირეკა, — აბუზუნდა უკანა მერხზე მარტო მჯდომი ზაზა მანჯავიძე და თანაკლასელებმაც მაშინვე აუბეს მზარი, — კიდევ გველაპარაკეთ რა, მას, ცოტა კიდევ, რა, მას!..

— დაირეკება ახლავე, — მასწავლებლის თითქმის ათი და დირექტორის ხუთწლიანი სტაჟის წყალობით გამოშუშებული მუშემცდარი ალღოთი, საათზე დაუხედავად, სუსტი ხმით გაეპასუხა დედუკა ბავშვებს, — და, ნათქვამი დასრულებული არ ჰქონდა, რომ ზარი დაირეკა.

მოსწავლეები ხმაურით გაიკრიფნენ კლასიდან. დედუკა ერთხანს გარინდებული იჯდა. მერე, როგორც იქნა, ნამოდგომა აიძულა თავს, ფანჯარა გამოაღო, ხელოვნურად დაეყრდნო მისთვის ორჯერ მაღალ რაფას და მზერა დაახლოებით ორას მეტრში მდგარ თავის ახალაშენებული კორპუსის ნაცრისფერ კედელს გაუშტერა. „რატომ აშენებენ ასეთი რუხ კორპუსებს, რატომ არ ლებავენ ყვითლად, ცისფრად, ვარდისფრად? კიდევ კარგი, ბინაში მაინც არ მეჭრება ვინმე და შემძლია ისეთი გან-

წყობა და ფერები მქონდეს, როგორც მინდა — გაიფიქრა დედუკამ და თითქოს ოდნავ უკეთაც იგრძნო თავი. შინ ყოფნა ინატრა. უნდოდა, უკვე თავის ოროთახიან მყუდრო ბინაში ყოფილიყო მწვანე დივანზე მიწოლილი და მამია ნაკაშიძეზე ფიქრს მისცემოდა, თავის ქაცვია მწყემსზე, იმ კაცზე, ვისაც სკოლის გარდა მთელი მისი ცხოვრება ეძღვნებოდა.

ოცნებაში წასულმა დედუკამ მოულოდნელად გულთან მტკივნეული ჩხვლეტა იგრძნო და ხმამაღლა შეჰყვირა:

— რამდენი ხანია, ამ დღეში ვარ და თავს ყურადღებას არ ვაქცევ...

და ნელი ნაბიჯით კარისკენ წავიდა. სამასწავლებლოში ჩასულს კოლეგებმა კატაბალახას წვეთები დააღვინეს. მერე თავის პატარა კაბინეტში შევიდა და დიდხანს იჯდა სავარძელში გაუნძრევლად — უღონო და გამოცარიელებული. მამიაც კი ველარ მოიახლოვა ფიქრით. მხოლოდ, როგორც ასეთ დროს დროს ხდებოდა ხოლმე, ახლაც თავისით ამოუტივტივდა გონებაში განწყობის შესაფერისი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან“:


თუ სანუთრომან დამამხოს,
ყოველთა დამამხოხებლმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად,
ვერ დამიტროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა
და ვერცა მისანდობელმან, —
მუნ შემინყალოს თქვენმანვე
გულმან მონყალე-მღმობელმან...

სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო. დედუკას ისე ჰქონდა პოემა შესისხლბორცებული, რომ ნებისმიერ ცხოვრებისეულ სასიხარულო თუ მტკივნეულ მოვლენას მისი ტვინი, ავტომატურად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, „ვეფხისტყაოსნის“ ციტატებით გაეპასუხებოდა ხოლმე. ამიტომაც შეარქვეს სკოლაში ნესტან-დარეჯანი. თავის ზედმეტსახელს დედუკამ პირველად დერეფანში მოჰკრა ყური და სახეზე ატკრეცილმა და ნასიამოვნებმა, მაგრამ, თან გაკვირვებულმაც, გაიფიქრა, საიდან უნდა სცოდნოდათ ბავშვებს, რომ სწორედ ასე ეძახდა მისი იელისფერთმიანი ბიჭი? უფრო სწორად, მთლად ასე არა — მისთვის დედუკა ხან ნესტან-დარეჯანი იყო, ხან თინათინი, ზოგჯერ კი, ფატმანიც — მაგრამ მაინც უცნაურად მოეჩვენა ასეთი დამთხვევა.

იმ დღეს, უკვე ბინდებოდა, დედუკა და ერმონა სკოლის შენობიდან რომ გამოვიდნენ. ერმონამ ბინამდე მიაცილა მეგობარი და სთხოვა, რაც შეიძლება მალე სწვენებოდა ექიმს.

სკოლაში მუდამ ენერგიული, სიცოცხლით სავსე და საქმიანი დირექტორი, სახლში უმწეო, უსუსურ და მარტოსულ ქალად გადაიქცეოდა ხოლმე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექიმოდა დედუკას, ლამაზიც კარგ ხასიათზე მყოფს თავისი ხორბლისფერი და ოდნავ დაჭოროფილი სახის წყალბოთით, ზოგჯერ, სულაც, გოგოს იერიც კი ჰქონდა. ბავშვობიდან მოყოლებული, ერთსა და იმავე ვარცხნილობას ატარებდა, თმასაც მუდამ თავის ბუნებრივ, წითურ ფრად იღებდა, შუბლზე კი მოკლედ იჭრიდა და უკან შალის ნაჭრებით იკრავდა, რომელზეც საკუთარი ხელით ფარდაგის ორნამენტებს — შიბას, ქისტაურას ან კევრას ამოაქსოვდა ხოლმე. სტუდენტობისას ჯვრიან ორნამენტებს გახამებული თეთრი პერანგის მაჯებზე და გულსა და საყელოზეც იმაგრებდა. არ აქცევდა ყურადღებას, მოდური იყო თუ არა ტალავარის სტილში შეკერილი მისი სამოსი. მთავარია, თვითონ გრძნობდა თავს ლაღად.

ზაფხულში სადიაცოს მსგავს თხელი ნაჭრის კაბას ატარებდა, ამოქარგული გულისპირითა და კალთებზე მიკერებული ჯვრიანი არშიებით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი გვერდებზე შეხსნილ, მაღალწელიან და მოკლესახელიან ნაქსოვ ან შალის ქოქლოს, ან უფრო გრძელსახელიან, ფაფანავის მაგვარ შემოსაცემელს შემოიცვამდა ხოლმე — გათანამედროვებულს, ქალაქის ქუჩებისა და უნივერსიტეტის აუდიტორიებისთვის უცხო და შესაშურად ლამაზს. ბაჭყალებს მარტო სახლში იცვამდა, გარეთ კი დაბალქუსლიან, ტყავის შესაკრავიან ფეხსაცმელებს მშ-



ვენივრად უხამებდა ვერცხლის სამკაულებითა და მონეტებით დამშვენებულ ხან შინდისფერ, ხან მწვანე, ხანაც შავ და ფერადი ნაკუნებით განწყობილ კაბებს. სათაურათი და მანდილითაც მხოლოდ შინ, მეგობრების თხოვნით თუ შეიბურავდა თავს, და, აი, მამინ, ნამდვილ ხევსურის ქალად გადაიქცეოდა ხოლმე.

ასე გამონწყობილი და დამშვენებული ნახა ერთხელ მასთან სახლში სტუმრად მისულმა კურსელი გოგოს ბიძაშვილმა, ნატანბელმა მამია ნაკაშიძემ. გადარეული გურული ოხუნჯი ბიჭი დაამუნჯა დედუკას უცხო სილამაზე, ენა წაართვა. დედუკას ბავშვური ხელით ვენებიანად განწელილი გარმონი და სიმღერა კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა მისთვის და იმ საღამოს მომავალი მათემატიკოსი შეყვარებული დაბრუნდა სახლში. არც ხევსური გოგო დარჩენილა მამიას მიმართ გულგრილი — მისმა გულმაც იმავე საღამოდან დაიწყო უცნაური, სასიამოვნო ფართხალი. სულ რაღაც ნახევარ წელიწადში კი, ყოველდღიური შეხვედრებისა და სახლში სტუმრობების შემდეგ, მამიამ დედუკას ცოლობა სთხოვა.

დედასთან ყოველთვის მორიდებული და ხათრიანი ბიჭი პირველად არ დაემორჩილა მთელ ოზურგეთში თავისი შეუვალობით ცნობილ პროვიზორ დედას, ცირა კალანდაძეს. ამჯერად ველარ დაიყოლია ამაყმა ქვრივმა შეყვარებულმა შვილი და მამიამაც საოცნებო გოგო ცოლად შეირთო. მოკრძალებული ნიშნობა და ქორწილი ერთად გადაიხადეს. ძირითადად დედუკას ნათესავები იყვნენ — დედამისი მზექალი და თიანეთის ბიძაშვილები და შინაშენი. მამია დედუკასაც ადრე გარდაეცვალა. მამიას მხრიდან მხოლოდ მისი და — ნელი — მოვიდა და რამდენიმე მეგობარი. პრინციპულმა დედამთილმა ქორწილის დღეს დაიქადა, სანამ ცოცხალი იყო, ახლოს არ გაიკარებდა „სხვა ქვეყანაში“ მისი ოჯახის და შვილის დასალუპავად დაბადებულ მშობელს ტანის, ძვალწვრივ და წითურთმიან ხევსურ გოგოს, და შეასრულა კიდევ ნათქვამი. საოცნებო რძალი მას სულ სხვანაირი წარმოედგენა — თეთრი, მაღალი და, აუცილებლად, ექიმი.

მამინც ბედნიერი წყვილი იყო. მათ სიყვარულს ვერაფერი უშლიდა ხელს — ვერც გარეუბანში ნაქირავები უბრალო ბინა, ვერც უბრალო სამოსი, ვერც, უმეტესად, მწირი სტუდენტური სადილ-ვახშამი და სტიპენდიების ამარა ცხოვრება. მაგრამ, ყოველთვის ასე არ იყო: ზოგჯერ დახვედობდნენ დიდუბის სადგურში ავტობუსით მზექალის გამოგზავნილ სანოვავით სავსე ჩანთას, იქვე ჩასხდებოდნენ ტრამვაიში და ერთმანეთის ყურებით და უმიზეზო სიცილით აჰყევიდნენ სახლამდე, მათი აზრით, შეყვარებული წყვილისთვის ზედგამოჭრილ, ძალზე რომანტიკულ ტრანსპორტს. სახლში მისულები ამოალაგებდნენ საქმელს — დედუკა ლამაზად აქნიდა მრგვალად მოხარშულ, ყვითლად გაბრდვლილებულ დედალს, დაჭრიდა მზექალის გამოცხვარ ქაღებებს, თავისი გამოზრდილი ძროხის, პირთეთრას, რძით ამოყვანილ ნოყიერ ყველს; თუ მასალა ჰქონდა, მამიას საყვარელ ვაშლის ნამცხვარსაც გამოაცხობდა „ბურჟუიკაში“ და მამიას მარტო პამიდვრის სანებელილარჩებოდა თავის გემოზე, ცხარედ, გურულად შესაზავებელი. მერე კი ასეთ სუფრასთან მარტო დაჯდომა დაენანებოდა და ეპატოჟებოდნენ მეგობრებს, კარის

მეზობლებს, ხანდახან სრულიად უცხო ადამიანებსაც კი. ეს გულლიობა, ეს უშურველობა და ხალასი მასპინძლობა, მათ სიყვარულს კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა და ამტკიცებდა.

ზოგჯერ კი შეყვარებულ ცოლ-ქმარს მარტო თავიანთი თავი კმაროდა სადილადაც და ვახშმადაც. არავინ უნდოდათ გარდა ერთმანეთისა. ჩაიკეტებოდნენ სახლში და ალერსთან ერთად, კიდევ ერთი გასართობით იქცევდნენ თავს.

„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებით „შესიტყვება- გაბაასება“ — ასე შეარქვეს თამაშს, რომელიც აუცილებლად ხევსურულ მელოდიაზე უნდა წაეღლინათ. თამაში, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ტრფიალმა, დედუკამ მოიგონა — ფილოლოგი და მომღერალიც ხომ ის იყო! თუმცა მალე მამია ისე გაინაწავა პოემის ცოდნასა და სიმღერაში, რომ ხანდახან დედუკას სჯობნიდა კიდევ. დედუკაც ამაყობდა იმით, რომ მამიას ლამის დააზეპირებინა „ვეფხისტყაოსანი“. ოღონდ, ის კი არასოდეს უთქვამს მისთვის, რომ ბავშვობაში, ძილის წინ, სწორედ ასე, ხევსურულ მელოდიაზე წაღლინებით უკითხავდა პოემიდან ზოგჯერ მთელ თავებს მისი წერა-კითხვის უცოდინარი ბებიდა ელისაბედი და „ვეფხისტყაოსნის“ ასეთი სიყვარულიც მან ჩაუნერგა. როცა ფული შემოეღეოდათ და მამია წერვიულობას იწყებდა, დედუკა თავისი ცხოვრების მეგზურს თვალბში თვალბს ჩაანათებდა და ტკბილი ხმით წაუშლიერებდა:

ბედითი ბნედა, სიკვდილი
რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენე
საქმენი საგმირონია!

მამიაც, იყო თუ არა განწყობაზე, ღიმილით მიუგურგურებდა საყვარელ ცოლს პასუხს და ვნებიან კოცნასაც არ დააყვედრიდა:

აჰა, მკვდარი გამაცოცხლე,
ამას იქით აღარ ვბნედე,
რასაცაღა სამსახურსა, ვტყუევი,
თულა ვერიდები...

ორივეს უყვარდა ია-ენძელებით იისფრად და თეთრ-ცისფრად მოჩითულ თუ ვეფხისტყაისფერი სიყვითლითა და მჭახე წითლით დაფერილ ტყეში ყოფნა. ამიტომ თვეში ერთხელ მაინც, დედუკა და მამია თიანეთში მიდიოდნენ. განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე მიუწვედათ გული რაიონისკენ. მძლოლს საბადურებთან გააჩერებდნენ ავტობუსს. ჯერ ფეხით გაივლიდნენ ტყეში, მერე მისხდებოდნენ რომელიმე ხის ძირში, წინა საღამოს დედუკას გამოცხვარ ღვეზელებს ან ქადას შეჭამდნენ და გამოვიდოდნენ ისევე გზის პირზე, მომდევნო ავტობუსს რომ გამოეცოდნენ. ჩავიდოდნენ ხალისიანზე, დედუკას ისედაც უთქმელ დედას სიხარულისგან კიდევ უფრო დაამუნჯებდნენ და კვირა საღამოს თბილისში დაბრუნდებოდნენ.

რამდენჯერმე, როცა დედუკას არ სცალოდა, ან, მამინ, ორსულად რომ იყო და ავტობუსით ჯაყჯაყი არ შეიძლებოდა, მამიამ აუცილებელი საქმეები მოიმიზეზა სახლიდან გასასვლელად, მარტო გაჰყვა თიანეთის ავტობუსს, შუა ტყეში ჩამოსულმა მგზავრების გაოცებული მზერა გაიყოლა და საღამოს თავის ხელით დაკრფილი ყვავილები მოართვა დედუკას. ზოგიერთი კაცივით ჯიბეში ან ჩანთაში არასდროს ჩაწყუნავდა ყვავილებს, თვალს არ მოაფარებდა. თუ ვინმე ცნობისმოყვარე ჰკითხავდა, ვისთან მიგაქვსო, იმასაც გაზადრული სახით უპასუხებდა, რომ საყვარელ ცოლთან მიჰქონდა. ყვავილებს, აუცილებლად, პატარა ბარათსაც დაურთავდა, რომელზეც ორივესთვის საყვარელ რომელიმე სტროფს დაწერდა „ვეფხისტყაოსნიდან“. თუნდაც, ამა:

მეძნელებოდა სიმორე მისი,
ბროლ-ბადახმ-მინისა.
მე გამიახლდა სოფელი,
მქონდა სიმრავლე ლხინისა;
ჩემად ჩნდა იგი სინათლე
ეთერთ მზედ ნაჩინისა,
ან მიკვირს, მისი გამყრელი
გული მც კლდისა ტინისა!

დედუკაც არ დააყოვნებდა თავისი იელისფერთმიანი მიჯნურისთვის პასუხის „კეკლუც-სიტყვად, არ დუხჭირად“ დაბრუნებას:

მომორგება საყვარლისა
მას შეჰქმნოდა მისად ლაზოდ,
ცრემლსა ვითა მარგალიტსა
ჰყრის ვარდისა დასანაზოდ.

ერთხელ, ახალშეუღლებულები რომ იყვნენ, თავი ზედმეტად მოიგიჟიანეს. მამიამ თიანეთიდან ჩამოვიდნენ. იქაური ხელისგულისოფნა გვირილებით და ივრისპირებზე გაზრდილი მინდვრის ყვავილებით აავსეს სახლი. დაისვენეს, მსუბუქად წაიხემეს და საჭმელს კახეთიდან მამიას მეგობრის გამოგზავნილი რქანთელიც მიაყოფეს. შეეფაკლათ ლოყები, გათამამდნენ. სიყვარულით იყვნენ სავსეები და კიდევაც სწყუროდათ ალერსი. დაწოლისას მამიამ გაუბედა და სთხოვა — ლამის სანათურს ნუ ჩააქრობ, შიშველს მინდა შეგხედო ხევსურის ქალო. დედუკამ, ვითომ იწყინა ნათქვამი, ვითომ გაუბრაზდა საყვარელს... არ მელოდო, უთხრა და ფარდაჩამოგარებული პატარა საძინებელი ოთახიდან გაქრა. სწრაფად გაიძრო სამოსი, გაშლილ თმებზე გვირგვინად გვირილები შემოიწინა, წელზე ხევსურული ვერცხლის ქამარი შემოირტყა, შიშველ ტანზე ქოქლო შემოიცვა და რამდენიმე წუთში ალივით აესვეტა საწოლთან ბედნიერებისგან ენაჩაფარდნილი ბიჭს. მიხვდა მამია, რომ იმ წუთებში მის წინ ნამდვილი თინათინი იდგა და დრო იყო, თვითონაც ეავთანდილა. თითქმის, ან ზუსტად, ისე ხდებოდა ყველაფერი, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. იდგა დედუკა-თინათინი:

გაძრცივლსა ტანსა ემოსნეს
ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი,
ფასისა თქმად საჭირონი,
ჰშვენოდეს შავნი წამწამნი,
გულისა გასაგმირონი,
და მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს
გრძლად თმანი არ-უხშირონი.

მერე კი, როდესაც თვალი დარწყულდა და სხეულის დრწყულების ჯერი დადგა, მამიამ თავისკენ ნაზად მოიზიდა საყვარელი, მკვრივი, გრილი სხეული დაუკოცნა და, პასუხად:

ქალმა მისცა მარგალიტი,
სრულ-ქმნა მისი სანადელი,
ღმერთმა ჰქნას და გაუსრულდეს
ლხინი ესე აწინდელი!..

მამიასთან გატარებული სხვაც ბევრი ასეთი დღეები და ღამეები ახსოვდა დედუკას, მაგრამ ეს საღამო მაინც განსაკუთრებული იყო...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გავლენიანი ნათესავების დახმარებით, ცირა კალანდაძემ შვილი მშობლიურ სოფელში გაანაწილეს მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, დედუკა კი თბილისში დარჩა საცხოვრებლად და სამუშაოდაც. პირველ წელს მამია ხშირად ჩადიოდა დედაქალაქში და შაბათ-კვირას, ზოგჯერ პარასკევ საღამოსაც, დედუკასთან ერთად ატარებდა. დედუკაც საათებს და წუთებს თივნიდა, მოუთმენლად ელოდა კვირის დასასრულს, რომ მონატრებულ ქმარს ჩახუტებოდა. თითქოს სიმორემ კიდევ უფრო გააძლიერა მათი სიყვარული. აღარ იცოდა დედუკამ, რით გაეხარებინა შორი გზიდან მომავალი სატრფო. დღისით ტკბილ სიტყვას და მამიას საყვარელ საქმეებს — დაკეპილი ხორცის ხინკალს, ყველის კვერებს ან ვაშლის ნამცხვარს ახვედრებდა თავის იელისფერთმიან ბიჭს, ღამით კი, თამამი და დაუღალავი ხვევნა-კოცნით არ აძინებდა. მამიაც ცდილობდა, დროებითი მარტოობა იოლად გადაეტანინებინა საყვარელი ქალისთვის და ყველა ჩამოსვლაზე ძვირფასი თუ არა, რაიმე სიმბოლური საჩუქარი ან ყვავილები მაინც ეჩუქებინა დედუკასთვის.



რაკეტა

მიჰქრის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი რაკეტა! არ მაქვს იმედი, მეც დავბრუნდე ერთხელ აქეთაც...

რატომ გონია ნეტა ამ ხალხს ფრენის სტატუსი მაინც და მაინც იმ ყმანვილი ბრძენის — ტატოსი...

ხომ ჩავიარეთ პლანეტები — დედამინები... ჩვენ რომ გვეგონა, ვერ მივწვდებით — თურმე მივწვდებით...

! — როცა კითხულობ კაი ლექსს ანდა უყურებ კაი ფილმს, სად არის, შე კაი კაცო, ამაზე კაი კაიფი!

! (თუნდ ერთი წალიღინება უკვდავ მარია კალასის მეტია, ვინემ ათასი შედევერი ძვირფას გალასი! — საოცრებაა მუსიკა, სიმღერა — წმინდა, ხალასი...

*** სიკვდილი მალე მოვაო — სიკვდილი მალამოაო! — ბევრმა ცოცხალმა არ იცის — სიკვდილი მალამოაო!

სულ სხვა რამეა სიკვდილი — სამოთხის გასაღებია! ბევრს ეშინია ჭკვიან კაცს!

*** მიმოვა დრომ დრო და მიტირა ყოფა — დროს, ჩემი რომ იყო, ხელიდან მაცლის!



ტარიელ ჭანტურია

ნეტავი ვიცოდე, ცოტასაც მადროვებს? მომცემს დროს ცოტას და ცოტასაც მაცლის? დროს დაკვირვებისარ?

ფისუნია კატაო...

როგორც სიცოცხლე ჩვენი — ისე სიცოცხლეც კატის ყოველდღე, ყოველ წუთში და ყოველ წამში გადის...

ამინდის ბიუროს განსაზღვრა

მართლა კარგი დარებია, დიდებული დარებია, ასეთ დიდებულ დარებში რაც ჩვენ დრო გვიტარებია!

*** ემატება წელი შენს ოთხმოცდახუთ წელს? — შენც უნდა დაელოდო იმ სიკვდილის ცელს!

!?! — ფუჰ, სიბერე! მე წინათ ისე კაათ მეძინა! შემეძლო, მტრებისათვის გამომეყო მეც ენა!

*** გაზაფხულს და ზაფხულს და შემოდგომას — სამ თარიღს — გადავწყვიტე, დღეიდან გამოვაკლო ზამთარი!

*** ...მე რა დამავიწყებს დედაჩემის საკანს... მე რა დამავიწყებს მამაჩემის საკანს...

...ხელს შევაგლებ მამის დანატოვარ ნაგანს... მაგრამ... ვერ ვღალატობ დედის... მამის... საკანს...

დაწყებითი სერკანტინი

უბაღ ციკლიდან: ლექსპერიმენტი

ერთს მივუმატოთ ერთი — უდრის, ცხადია, ორს! ცხენს მივუწვინოთ ვირი — ხანდახან უდრის ჯორს!

კაცს მივუმატოთ დაღლა — უდრის რატომღაც ძილს... ძირს სიკვდილიც და ძილიც! ძირს! ძირს! ძირს!



ანდერძი ანას

ვენაცვალე შენს გენიალურ გენს ნიგნს გიტოვებ უამრავს პოს პაუნდს და ტვენს თავს არ მოაკვლევინებ სანამლავს და დენს აირიდებ იოლად ათასნაირ სენს გამოუტან სუყველა ჯალათს განაჩენს გენყინება რაც ბაბუს ათასისგან წყენს გააქროლებ მანქანას გააჭენებ ცხენს გამოაფენ ნახატებს სარეცხსაც გაფენ გაიხარებ ათასჯერ ასჯერ მოიწყენ არ მიბაძავ არავის შენ იქნები შენ გაამრავლებ ვიცი შენც ჩვენს დიდებულ გენს გენაცვალე ანანო გენაცვალე გენ...

იდოტური ლექსიკონია, მის პატრონს კიდევ ლექსი გონია...

ჩაი ადულდა. ლექსი დაობდა. ზის მგოსანი და სვამს აბდაუბდას...

უგებს რეალი სიურეალისტს! გაგიკვირდება: მილიონით ორს! სვამს პრეზიდენტი რეზიდენციებს და ფხალს აყოლებს შემწვარ მონიტორს.

დგას, ირტყამს თავში ასკეტი ას კეტს და გადის გარეთ და გარეთ გადის... რომეოს უყვარს ხორთუმის წნილი, მზის ნახარში და სუნამო კატის.

ოდინდელი დინდელი ადანდალი დანდალი გავგიჟდები: საიდან ეს მესამე დუნდული.

სექსი ნელი ზაქსთან სექსი სექსაფონის თანხლებით.

ბრეტონ — ბრედ ონ! ფრიდონი და ცხენი მისი — თინათინი!

დღიურებიდან

...იმ პირველი წუთიდან უკანასკნელ წუთამდე მთელი ჩემი ცხოვრება ეს ტკივილი სუ დამდევს! — როგორც უნდა ვიყო — ვიდგე, ვიჯდე, ვინვე... — არ ვიცი, იმ უცხო დარდს რა ჯანდაბა იწვევს! ეს სმა მაინც შემეძლოს ანდა თუნდაც წევა — — — ...ალარ ვიცი, ვინ ვარ! სად... ვდგავარ... ვზივარ... ვწევარ... ...ხაჭაპურით, ღვინით, ხიზილალით, თართით ვერ იცვლება დარდი — უმიზეზო დარდი... (...ალბათ ისევ ნარდი... ალბათ ისევ კარტი...).

*** „...თავი გაითავისწინა...“ რუსთაველი

ვზივართ მე და ჩემი მე — თავი გავითავისწინე! ისე, ისე მომინდი — ვერაფრით ვერ დავიძინე... ვერაფრით ვერ ვიმღერე, ვერაფრით ვერ გავიცინე. რა მინდოდა... ან თავი რისთვის გავითავისწინე...

ვთქვი რალაცა! თქვა მანაც! გაიცინა! გავიცინე! ვერ დავწყნარდი ვერაფრით, ვერ იქნა, ვერ დავიძინეთ... სოკრატე და პლატონი... პლატონი და ავიცენა... ვერ დავწყნარდი ვერაფრით, ვერაფრით ვერ დავიძინე...

ეს პირველად არ ხდება — ასე იყო ამასწინათ... შევიკეტე მაშინაც — თავი გავითავისწინე...

მეც მივლია შორი გზები — სად არა ვარ მე ნათრევი, და სადაც არ უნდა ვიყო — ყველგან სულ შენ მენატრები... ფხიზელი ვარ — მენატრები... ნასვამი ვარ — მენატრები, ვარ შენთან თუ არ ვარ შენთან, შენი არსებობით ვთვრები... ხარ ჩემთან თუ არ ხარ ჩემთან — ჩემთანა ხარ! შენთანა ვარ... ერთადა ვართ მინაზე და ბოლოს ცაშიც ერთად ავალთ...

რთულია, ძვირფასო, სიცოცხლის საკითხი — ვის როდის სად როდის რამდენი სურდა! — ასი! ან ოთხმოცი! სამოცი! ორმოცი... სიცოცხლეს — უცნობ ბრძენს — ბლომად აქვს ხურდა...

ჩვენ ვინ გვეკითხება, როდის და რამდენი! — ვის როგორ უნდოდა! ვის როგორ სურდა... ზოგის — ვთქვათ, ასოცი! ზოგის — ოთხმოცდარვა... მაგრამ სიცოცხლესაც ხომა აქვს ხურდა! სად, როდის, რამდენი — ვის როგორ სურდა... სიცოცხლეს — ბრძენ ბანკირს — ხომა აქვს ხურდა... სიცოცხლე! ჩვენ ამას ვინ შეგვეკითხება — ვის, როდის, ვის რატომ, რამდენი სურდა! ვთქვათ, ასი! ოთხმოცი! სამოცდათხუთმეტი! ...სიცოცხლეს — რთულ ბანკირს, ბლომად აქვს ხურდა...

მიდის საქმე ისე კარგად, უფრო სწორედ — ისე ცუდად — არ გამოდის, ეს ოხერი — მინა — ქალამნად, ცა — ქუდად! მიდის საქმე ისე ცუდად, უფრო სწორედ — ისე კარგად — რაც გვეჭირდება — ვერ ვშოულობთ, რაც ნამოვნი გვექონდა — ვკარგავთ! საბოლოო ძილზე ფიქრში ლამის ვიქცეთ ძილის გუდად... ...მიდის საქმე ისე კარგად... უფრო სწორედ — ისე ცუდად...

— ერთი რამ მიყვარს ქარის — ხან არის, ხან — არ არის! ზერელედ დახურულის — გაღება იცის კარის! ნარდს თუ თამაშობ, იქნებ შაშად გიქციოს ჩარი! საჭირო რომ არ არის, უცებ დარეკავს ზარი! ოთხმოცდახუთი წლისას — ისევ მიბერავს ქარი! — მერედა, ცუდი არის? რა, მოსაწყენი არის? ქრის და ქრის, ქრის და ქრის და კაბებს მალა წევს ქარი!

ცხოვრება მიტომაც არ არის ადვილი, რომ არსად არასდროს არ არის ადგილი —

არც პანთეონებში არ არის ადგილი, არც სამსახურებში არ არის ადგილი, არც ეკლესიებში არ არის ადგილი, არც სტადიონებზე არ არის ადგილი, არც კინო-თეატრში არ არის ადგილი — კარგი ქალისთვის, კარგი კაცისთვის არსად და არასდროს არ არის ადგილი... ...ჰო, იქ, სამოთხეში ყოფილა ადგილი, მაგრამ ის — სამოთხეც — არ არის ადგილი...

ვენაცვალე, ღმერთო, შენს ავდარს და დარს ახლობლისთვის ღიად დატოვებულ კარს თავის დროზე მოსულ იაქეს და ჩარს ვენაცვალე შენგან მოძღვნილ მთას და ბარს ზუსტად თავის დროზე ჩამორეკილ ზარს შენს მზესა და მთვარეს, შენს შორეულ მარსს შენს როიალს, ჩელოს, გიტარას და თარს შენს ნიავს და გრიგალს, უქარობას, ქარს შენს ვარდსა და იას შენს ეკალს და ნარს ყარსს, ჩემი რომ იყო — ახლა სხვების ყარსს დედამიწის მთას და დედამიწის ბარს ტიპებს — მეცნიერს და ტიპებს — უმეცარს პოლემიკას კამათს თანხმობას და შარს დღეს — წაგებულ პოკერს, ხვალ — მოგებულ ზარს ვენაცვალე, ღმერთო, მაგ შენს უკვდავ არსს... ...ჩემსას — თუნდ დროებითს — არსებობას... არს...

— კარგია, თუ მოკვდები! — ყველას შეეცოდები! განსვენებულს — იქნებ შენც დაგინერონ ოდები! ერთის ნაცვლად, შენს საფლავს დააყარონ ლოდები! შენც — ინვეები, და ახალ სახელს დაელოდები! კარგია, თუ მოკვდები — რჩეულებში მოხვდები! — შენც მზესავით ჩახვალ და მზესავით აღმოხდები! ...ისე, რეკლამისათვის სიკვდილი, რა, ცუდია? — თავი სიკვდილისათვის რამდენს გადაუღია...

იმ დღეს

...და გაისმა უცებ სიტყვა — თითქოს ჩამოვარდა ცით ქვა! — მძიმე სიტყვა! თბილი სიტყვა! ბრძნული სიტყვა! რთული სიტყვა! მე არ ვიცი, რატომ ითქვა! ...უცაბედად ითქვა სიტყვა — ჩამოვარდა თითქო ცით ქვა... ოდნავ ცივი, ოდნავ თბილი, ოდნავ მწარე — ტკბილი სიტყვა...

ბაბუ

— ნერვებაშლილს, გადალლილს და საჩხუბრად ალესილს რა იოლად გამშვიდებს შვილთამვილის ალერსი...

— გული, ეს უპატრონო, გადამექცეს ლამის კლდედ: იმის ბედიც არა მაქვს — გული მაინც გამისკდეს!

ჰოიტი?

ჩალიჩობს! ფუსფუსებს! — ანებებს ფულს ფულზე... როდისღა იფიქროს ლექსზე და ბულბულზე...

— როგორ უნდა მოვიკლათ — იცით ალბათ — დარდი: ეგერაა კარტი და აგერაა ნარდი!

— აქეთ — რუსთველი, იქეთ — ფშაველა, იქეთ — აკაკი, აქეთ — ილია... — როგორც არ უნდა გვეწყინოს, ძმებო, უკვდავების გზა ჩაკეტილია...



რომ მივხედო, ლევან ბრეგაძის ყველაფერი მქონდა ნაკითხული, ერთ მშვენიერ დღეს ქსელში ჩემთვის მანამდე უცნობ მის ტექსტს გადავანწყდი ჩვენს საერთო მეგობარზე, მიხეილ ქურდიანზე.

სწორედ იმ წერილიდან გავიგე შიუთელრაიმის ამბავი. შიუთელრაიმი სიტყვათა თამაშია ერთგვარი — როცა სარიტომო სიტყვა ან სიტყვები ერთმანეთში თანხმონენებს ცვლიან და ამით კომიკურ ეფექტს ქმნიან.

ტერმინი გერმანული ყოფილა და რითმათა ნჯღრევას ნიშნავს — დაახლოებით ისეთს, კამათლებს რომ მოაქცევს მუჭებში და კარგად რომ შეანჯღანჯლარებ გაგორებამდე.

ეს ხომ გავიგე და გავიგე, მერე მიმოვგუგლე ეს შენი შიუთელრაიმი და აღმოჩნდა, რომ გერმანელების გარდა სხვებსაც ჰქონიათ ასეთი ფიგურა, კარგადაც შეუსწავლიათ და მაგალითებიც ბლომად დაუხვავებიათ. ოღონდ ეს არის, მაგალითები უმეტეს შემთხვევაში სიტყვათა წყვილებია ან მოკლე, ანდაზური ფრაზები, ლექსები — ნაკლებად!

თუ სწორად გავარკვიე, ინგლისურად, იტალიურად, რუსულად, სომხურად და რამდენიმე სხვა ენაზე ამ ფიგურას სპუნერიზმი ჰქვია, ფრანგულად — კონტრეპეტრი, ესპანურად — რეტრუეკანო, პორტუგალიურად — ანტი-სტროფი, ჩინურად — შოინხუხუანი, დანიურად — ბაკი-სანვენდტი, ფინურად — სანანმუუსოსი, ვიეტნამურად — ნიოლაი...

კომიკური არსის გათვალისწინებით, ამათგან მე პირადად ყველაზე მეტად ჩინური „შოინხუხუანი“ მენიანება. ლევან ბრეგაძე გერმანოფილია და, რასაკვირველია, „შიუთელრაიმის“ აძლევს უპირატესობას, თუმცა იმთავითვე „თანხმონენაცვლებით რითმა“ შემოგვთავაზა ქართულ შესატყვისად. სხვამ იქნებ სულაც სპუნერიზმი დაარქვას — ოქსფორდის უნივერსიტეტის ახალი კოლეჯის ხელმძღვანელის, ფილოსოფოსისა და ლექსმეტყველის უილიამ სპუნერის პატივსაცემად, რომელიც სიტყვათა და ასო-ბგერათა ამგვარი გადანაცვლებით ყოფილა ცნობილი. თავდაპირველად უილიამ სპუნერს ეს თურ-ელ უნებლედ მოსდოდა ნამოცდენების სახით — ძირითადად ადელეგების დროს, მერე და მერე კი საგანგებოდაც დაუნყია სპუნერიზმების თხზვა.

ადრე თუ გვიან ალბათ რომელიმე ამათგანი დამკვიდრდება, ან სულაც ახალი ტერმინი მოინახება. მაგრამ ამჯერად მთავარი თავად მოვლენის არსია.

თუ თავიდან, უილიამ სპუნერის სიცოცხლეში, ასობგერების ან მარცვლების უნებლედ გადანაცვლება უფრო ფსიქოლოგიური თუ ლოგოპედიური მოვლენა იყო, მერე და მერე — ასეთი წყვილების სპეციალურად შექმნის კვალდაკვალ — პოეტურ ფიგურად ქცეულა.

სპუნერული წყვილები მართლა ძალზე სახალისო რამ არის. სხვენოვანი მაგალითები სხვა დროს იყოს, ახლა რამდენიმე ქართულ მაგალითს ამოვიჩინო ვიკიპედიიდან: ჩანა-დანგალი, ხაჭარული აჭაპური, ჟეტროს მეტონი...

მართალია, ვიკიპედიაში (ჯერ) არ წერია, მაგრამ საკმაოდ პოპულარულია აგრეთვე ერთი რთული სპუნერული სინტაგმა: იგავ-არაგ ორბელიანის სულხან-საბაკები. ამას წინათ ლევან ბრეგაძესთან და გია მურულუასთან ერთად სულხან-საბაკების გარდა ორ სპუნერულ წყვილზეც ვიხალისეთ, რომელთა გადანაცვლებული ვარიანტები საკმაოდ უხამსად ჟღერს და ამიტომ მე მათ აქ მხოლოდ საწყისი ფორმით გავიხსენებ: შექსპირის ტრაგედიები და ჭაფავაძის პროსაპეტი. ცნობისმოყვარე მკითხველს თავად შეუძლია გადაადგილოს ამ სიტყვებში პირველი ორი-სამი ასო და თუ რამ არ მოეწონება ან ყურს მოსჭრის, მე ნუ დამაბრალებს! ხოლო რუსულის მცოდნე მკითხველს ამასთან ერთად შეუძლია გადაადგილოს საწყისი ასოები კომუნისტებისდროინდელი რუსული გაზეთის სახელწოდებაში: Пионерская звезда. რაკი რუსულ სპუნერიზმებზე მივლა საქმე, აქ ვალაბუევისა და მისი ხმლის ამბავიც მახსენდება, რომელიც ახალსხლებს არ ეცოდინებათ, მაგრამ ჩემი თაობის ხალხმა კარგად იცის...

ვერ დავინყებ მტკიცებას, არის თუ არა ეს ყველაფერი სპუნერიზმის რაიმე სახეობა, მაგრამ ახლა იმასაც ვიხსენებ, რომ ერთი ხანობა, სკოლის ბოლო კლასებში და პირველ-მეორე კურსზე, პოეტების გვარ-სახელებს ვუყვლიდი ადგილს: რუსთა შოთაველი, გურამ დავითიშვილი, ბარათოზ ნიკოლაშვილი, ჭაფჭა ილიავაძე, ფშავა ვაჟულა, წერეთი აკაკელი; მერე — აქეთ: ევდოონ იროდიშვილი, გროში იოსებაშვილი, ტაბიქტიონ გალაძე, ტაბიან ტიციძე, ნოდაუ კალირაძე, გაფერიათ ვალრინდაშვილი; უფრო მერე — სულ აქეთ, თანამედროვენი: აბაში ირაკლიძე, აბაშ გრიგოლიძე, ლებან მურმანიძე, ჭილარ ოთაძე, სულაქ არჩილაური, მაჭავ მუხრანარაიანი, ბერუ ხუტალავა, ფოცხის მორიშვილი, სტია ლურუა, ხარსიკ ბუანაული, ჩარსულ ჯანკვიანი, გეგე გვიციკორი, ჯავახ ვახტანგაძე, ჭანტიელ ტარურია...

მკითხველს მოცალეობის ჟამს შეუძლია თავად გააგრძელოს ეს რიგი. და თუ ქართველი პოეტები გამოელევა, უცხოელებზე გადავიდეს, ან უკვე მხატვრებზე, მსახიობებზე, მომღერლებზე, მეცნიერებზე, სპორტსმენებზე და ბოლოს სულაც პოლიტიკოსებზეც ცდადოს შესაქრებთა ამგვარი მიმონაცვლებანი. დამერწმუნეთ, არაერთი მიმონაცვლებული გვარსახელი დიდად სახალისო რამ გამოვა.

ეს წერილი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როცა „რუსთავი-2“-ის 9-საათიან „კურიერში“ ნათია ტრაპაიძის ნამყვანმა — ნატო, მიმართა, მაგრამ მყისიერად გაასწორა თავისი მოსპუნერო ნამოცდენა: „ნათია, რატომ დააკავეს“... და აღარ მახოვს, ვისი გვარი დაასახელა. კითხ-



პაატა ნაცვლიშვილი ქეზვის თონი

პოეტურ მიმონაცვლებათა მიმოხილვა
ანუ ეკზერსისები ვერცხლისფერი მერცხლისა და დემოკრატიის თემაზე

ვიდან გაირკვა, რომ თურმე მეორე სიტყვის, „რატომის“ ბრალი ყოფილა ყველაფერი. და რომ არა ნამყვანის მაღალი პროფესიონალიზმი ეს „ნათია რატომ“ კინალამ ორიგინალურ ნიმუშად ჩამოყალიბდა: „ნატო რათიამ“.

ამ ყველაფრის შემდეგ ისეთი მაგალითიც შემიძლია გავიხსენო, სადაც ასოთა გადანაცვლება ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება: არა ერთხელ და ორჯერ გაგიგონია ტელევიზიით თუ პირად საუბრებში „რეამინაცია“ „რეან-ინაციის“ ნაცვლად. ერთი ცნობილი პიროვნება კი ათეული წლებია, „პრესპექტივას“ ამბობს „პერსპექტივის“ მაგივრად.

მაგრამ აქ მხოლოდ სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებია, ან უცოდინარობა ან კომიკური ეფექტი, მეტი არაფერი. გაცილებით საინტერესოა სპუნერიზმები, როცა ასო-ბგერების ტრანსპოზიციის შემთხვევაში წყვილი უაზრობად არ იქცევა და შინაარსს კი იცვლის, მაგრამ არ კარგავს, უფრო სწორად — ახალ შინაარსს იძენს. სწორედ ასეთი სპუნერიზმები შეიძლება მოინახლოს შიუთელრაიმად, გნებავთ — თანხმონენაცვლით რითმად ან შოინხუხუანად.

ახლა კი — შიუთელრაიმთან დაკავშირებული ფრაგმენტი ლევან ბრეგაძის იმ წერილიდან, ამ ოპუსის დასაწყისში რომ ვახსენებ (წინასწარ ვიტყვი, რომ ავტორი მაშინ სიტყვა „შიუთელრაიმის“ ორი თანით წერდა):

: გერმანულ ლექსმცოდნეობაში არსებობს ცნება „შიუთელრაიმ“ (Schüttelreim), რომელიც ზუსტად ძნელი გადმოსათარგმნია ქართულად, მისი არსი კი შეიძლება ამ სიტყვებით გადმოიცეს — „თანხმონენაცვლით რითმა“. იგი გულისხმობს გარიტმის ნებს, რომელიც სარიტომო სიტყვების ან მათი მარცვლების საწყის თანხმონენათა ურთიერთჩანაცვლებას ემყარება. ამ ნესით გარიტმული სტრიქონების უმეტესობა იუმორისტული შინაარსისაა (მუქად მონიშნულია ის თანხმონენები, რომლებიც ერთმანეთს ადვილებს უცვლიან):

Man diskutiert, ob Schottenmützen die Haare vor den Motten schützen.

(შინაარსი: „კამათობენ, იცავს თუ არა შოტლანდიური ქუდები თემებს ჩრჩილებისგან“).

ან კიდევ თითქმის ანდაზა: Verrichte nie am Morgen Sachen, die dir am Abend Sorgen machen.

(შინაარსი: „ნუ ხაიფენ დილით ისეთ საქმეებს, რომლებიც საღამოს შეგანუხებენ“).

ჩვენს მდიდარ, მრავალსაუკუნოვან და მრავალფეროვან ლექსნობაში მსგავსი არაფერი მეგულებოდა და ძალიან განვიცდიდი ამას. ვცადე, თვითონ შემეხზა, მაგრამ არ გამოვივიდა — ძნელი გამოდგა! რა უნდა იღონო ამ დროს?

რა და... მიშას უნდა მიმართო, ქურდიანს. დაველაპარაკე: ასე და ასეა-მეთქი საქმე, ქართული ვერსიფიკაციის პრესტიჟის გადასარჩენად „შიუთელრაიმის“ შექმნა-მეთქი საჭირო.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს მომანოდა: ისე ირწევა ბალი ქარში, როგორც ნასვამი ქალი ბარში.

ცოტა ხნის შემდეგ კი — ესეც: სიკვდილს ასობით მოჯახედინის მოთქმით დასტირის ხოჯა შედინის.

ლექსმცოდნეობის ისტორიკოსთა გასაგონად ვამბობ: პირველი ქართული „შიუთელრაიმები“ (თანხმონენაცვლით რითმებით შესრულებული სტრიქონები) მიხეილ ქურდიანმა შექმნა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს! :

აი, ასე! მაღლობა მიშას და მაღლობა ლევანს ქართული ვერსიფიკაციის პრესტიჟის გადარჩენისათვის!

მართლა მშვენიერი შიუთელრაიმებია! მეორე — განსაკუთრებით!

მე კი, ჩემდა სამარცხვინოდ, ეს ყველაფერი არ ვიცოდი, არავითარი წარმოდგენა არ მქონია შიუთელრაიმზე და, ბუნებრივია, არც ქართული ვერსიფიკაციის პრესტიჟზე მიზრუნია. მე შესაქრებთა გადანაცვლებებს

თავშესაქცევად ვაკეთებდი. ჯერ სიტყვებში ასოების გადანაცვლებით ვერთობოდი, მერე — წინადადებაში — სიტყვების მიმონაცვლებით.

პირველს არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, სრულიად ჩვეულებრივი რამ მეგონა, ისეთი, როგორცაა, მაგალითად: „ტიფლისი-ტიფლისი“ ან „შეკაზმვა-შეკაზვა“. ბავშვი რომ სანუნს კამფეტს „გაღაზავებს“ პირში, წლების განმავლობაში ისე ვათამაშებდი სიტყვებს ძილის წინ ან მოცალეობის ჟამს და ხანდახან მართლა რაღაც გამოდიოდა. მეორეს კი — წინადადებაში სიტყვების მიმონაცვლებას — შედარებით სერიოზულად ვამუშავებდი და ერთ მშვენიერ დღეს გამოვაქვეყნე კიდევ უცნაური, უფრო მათემატიკური, ვიდრე პოეტური თხზულება „შესაკრებთა გადანაცვლება“, რომელიც „ლიტერატურული გაზეთის“ სამხანგვარ გვერდში ძლივს ჩაატია კეთილმა და გამოცდილმა რედაქტორმა („ლიტერატურული გაზეთი“, 16, 2015).

მერე აღმოჩნდა, რომ პირველიც — სიტყვებში ასოების გადანაცვლება — ძალზე მნიშვნელოვანი პოეტური ფიგურა ყოფილა. ლევანმა ისიც კი მითხრა, რომ თურმე გერმანელები ამ საქმეში პირველები არიან, ჩვენ კი მეორენი ვართო. მოხსენებას ვამზადებ ამ თემაზე და რაკი შენც გქონია მსგავსი რამეები, გამომიგზავნეო.

გამოვკრიბე ძველი რეგულებიდან ეს ჩემი შესაკრებთა გადანაცვლებანი და გავუგზავნე. მერე დამირეკა და მუხრან მაჭავარიანის მინიატურული ლექსების კონკურსზე წარადგინე გინდა ესენი და გინდა სხვებიო. სამი შიუთელრაიმი წარვადგინე.

კონკურსს რა სჯობია, მაგრამ ლევანის მოხსენება, გასული წლის 3 ნოემბერს ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ კონფერენციაზე რომ წარადგინა, მართლაც უაღრესად საინტერესო იყო. მოხსენებას „თანხმონენაცვლით რითმა“ ერქვა და ავტორს სხვა ქართულ თუ გერმანულ მაგალითებთან ერთად ჩემი ლექსებიც ჰქონდა დამონმებული. მაგრამ მე განსაკუთრებით მისი ქალშვილის — რუსუდან ბრეგაძის ლექსი მომეწონა.

აბა, ნახეთ, რა მაგარია:

ამ ქვეყნად უკვე ვადაგასული იმ ქვეყანაში გადავა სული.

ბოდიში მოიხადონ გერმანელებმა. პირველები არა, ისა! ლევან ბრეგაძე წარმატებით ცდილობს შიუთელრაიმის შესწავლა-შეფასებასა და გაანალიზებას, ქართულ ნიადაგზე მის დამკვიდრებას. ამადაც დასჭირდა ჩემი ლიტერატურული ეკზერსისები. მერე ლევან ბრეგაძემ ჩემი მოკდალბული წვლილი ქართულ ვერსიფიკაციაში თავისი იმ მოხსენების ბეჭდურ ვერსიაშიც აღნიშნა, რომელიც „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“ დაიბეჭდა 2017 წელს (1-9-10).

ხოლო მე ძველ რეგულებში ქექვა განვაგრძე. თანაც სწორედ ამ პერიოდში ახალ ბინაში გადავდივარ ჩემი ბიბლიოთეკიდან და გადაბარების განვილი, რთულ და აღმოჩენებით სავსე პროცესში ხელთ ზოგჯერ ისეთი რეგული, ბლოკნოტი თუ ჩანაწერი მოხვდება, ათეული წელი ხელი რომ არ მომიკიდია.

„ანაგრამები და ნაგრამები“ — ასეთი საერთო სათაური დავარქვი ასზე მეტ ლექსს, რომლებიც „ლიტერატურული გაზეთში“ დაიბეჭდა ამ რამდენიმე კვირის წინათ (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 15, 2018). იმ ლექსების დიდი უმეტესობა წინა საუკუნეში, წინა ათასწლეულშია დაწერილი.


შეიძლებოდა, ეს პუბლიკაცია ყოველგვარი კომენტარის და უკან მიდევნებული ტექსტის გარეშე დამეტოვებინა, მაგრამ წინა შემთხვევაში, როდესაც პირველად გამოვაქვეყნე „შესაკრებთა გადანაცვლებანი“ და განმარტება ზედმეტად ჩავთვალე, მათ არს ისეთი სახელოვანი მწერალი, განსწავლული ლიტერატორი და დაკვირვებულ მკითხველიც კი ვერ ჩასწვდა ბოლომდე, როგორც როსტომ ჩხეიძე გახლავთ. ამას ჩვენი მეგობრული და საქმიანი პოლემიკა მოჰყვა „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე, რომელშიც მერე პოეტი და მათემატიკოსი შალვა საბაშვილიც ჩაება და რომელიც პოლემიკის წამომწყებმა როსტომ ჩხეიძემ დიდად სასარგებლო ლიტერატურულ მოვლენად შეაფასა — პოეტის ლაბორატორია წარმოვიდგინაო.

მერე ავტორთა თანხმობით მე მთელი ის პოლემიკა, უფრო — დისკუსია, ერთად შევკარი და წიგნად გავამზადე. ჩემი აზრით, უაღრესად საინტერესო, უნიკალური რამ გამოვიდა. მალე იხილავს დაინტერესებული მკითხველი.

მართლა კარგი რამ არის პოეტის ლაბორატორიაში შეხედვა, მით უფრო, როცა უამისოდ ზოგიერთი რამის გაგება მართლა ძნელდება ან მისი არასწორი ინტერპრეტაცია ხდება. განსაკუთრებით სასარგებლოა პოეტის ლაბორატორიის გაცნობა მაშინ, როცა მეგზურობას თავად ის პოეტი კისრულობს, ვის ლაბორატორიასაც ეხება საქმე.

იქნებ ჩემი გამოცდილება და ეს ჩემი მონათხრობიც გამოადგეს ვინმეს. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის და არც არასოდეს ყოფილა ლიტერატურის ინსტიტუტი (სასწავლო დაწესებულებას ვგულისხმობ), სადაც მომავალი ან უკვე შემდგარი მწერლები თეორიული თუ ისტორიული ცოდნითა და შეიარაღებულნი და უფროს კოლეგათა გამოცდილებასაც გაიზიარებდნენ. ამიტომ არის ქართული ლიტერატურა ბევრ შემთხვევაში სამოყვარულო დონეზე, კრიტიკა ხომ — განსაკუთრებით.

ერთადერთი შემთხვევა მახსენდება: როცა დღეს გაუქმებულ კულტურის ინსტიტუტში მისი რექტორის თემურ ჟღენცისა და პრორექტორის ნუგზარ შავგულიძის ინიციატივითა და მონაწილეობით ვახტანგ ჯავახაძეს



რამდენიმე წლის განმავლობაში პოეტური ხელოვნების ერთმანეთს დასაბრუნებელი პრაქტიკული კურსი მიჰყავდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტთათვის. შეიძლება იყოს სხვა შემთხვევაც და მე არ ვიცი, შენდობას ვითხოვ.

თუმცა არავითარი პრეტენზია არა მაქვს პოეტური ხელოვნების ლექტორობისა და საზოგადოებრივ მენტორობისა, გადავწყვიტე, სანამ იგივე როსტომ ჩხეიძე ან სხვა რომელიმე დაკვირვებული და მოკირკიტე მკითხველი თუ კრიტიკოსი პოლემიკაში გამომიწვევდეს, თავად ავხსნა ზოგიერთი რამ ამ ჩემი მიმონაცვლებებისა. მით უმეტეს, რომ ერთი ჩემი მეგობარი ქალბატონი, სხვათა შორის — მშვენიერი მწერალი და მთარგმნელი, მიკიჟინებს, ულიპოს მსგავსი სახელოსნო ჩამოაყალიბებ, რაკი ასე ღრმად შეტოპე და აღარ ხუმრობო.

უღიპოზე სხვა დროს მოგახსენებთ, ახლა კი — ლაბორატორია.

სიტყვებში ასოების და მარცვლების, ანუ შესაკრებთა მიმონაცვლებით, აკი ვთქვი, ბავშვობიდანვე ვერთობოდი.

ეს მიმონაცვლება სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს: მხოლოდ თანხმოვნების გადანაცვლება: მიზანი — ნიზამი.

მარინა — რამინა.

მხოლოდ ხმოვნების ჩანაცვლება-გადაცვლება:

მერანი — მარანი — მორენა — მარინა.

მერინოსია — მარინასია — მერე ნისია — მურანოსია.

უცვლელი თანხმოვნების პირობებში ხმოვნების ამგვარ მონაცვლებას მე „თანხმოვ(ა)ნებანი“ დავარქვი და წლების წინ გამოვაქვეყნე კიდევ რამდენიმე ათეული ასეთი „თანხმოვ(ა)ნება“ ჯერ როსტომ ჩხეიძის „ჩვენ მწერლობასა“ და მერე ლევან ბრეგაძის „ქართულ მწერლობაში“.

არის კიდევ საყოველთაოდ ცნობილი ფიგურა — ანაგრამა, ანუ თანხმოვნებისა და ხმოვნების „უთავბოლო“, უსისტემო მიმონაცვლება, როცა წინა სიტყვისგან კვალიც არ რჩება, თუმცა იმავე ასოების ახალი კომბინაციის შედეგად მთლიანად იცვლება თავდაპირველი სიტყვის შინაარსი, ხოლო ზოგჯერ — რადიკალურადაც კი!

აი, მაგალითი:

მარინა — ამირან.

„ლიტერატურულ გაზეთის“ წლებიდან მე-5 ნომერში დაბეჭდილი ლექსების ნაწილი ანაგრამული რითმითაა განწყობილი. თუმცა, ტრადიციული გაგებით, ძნელია, რითმა უწოდო სიტყვათა წყვილს, რომელთაც სრულიად განსხვავებული აკუსტიკა აქვთ, თუმცა, მეორე მხრივ, ამ სიტყვებში შემავალი ასო-ბგერები ერთმანეთის იდენტურია და სიზუსტის თვალსაზრისით ანაგრამულ რითმას მხოლოდ მაჯამა თუ შეედრება! დანამდვილებით არ ვიცი, აქვს თუ არა ვინმეს ანაგრამული რითმებით განწყობილი სტრიქონები, ის კი ვიცი, რომ ჩემი ძველი რეგულაციის გადასინჯვისას მე ასეთი რამდენიმე ასეული ლექსი აღმომაჩნდა. ამ ბოლო დროსაც ვამატებ ხოლმე ხანდახან.

(ჩემს 100 ანაგრამულ ლექსს საერთო სათაურით „ანამარინას გული“ შოთა იათაშვილი ბეჭდავს თავისი „ახალი საუნჯის“ ბოლო, მე-5 ნომერში, რომელიც, მგონი, ჯერ არც გამოსულა ჯიხურებში. იქ ეს საზგასმით არ არის აღნიშნული და აქ უნდა ვთქვა: პუბლიკაციის ქვესათაური „ასი ანაგრამული“ თავადაც ანაგრამა გახლავთ იმ საერთო სათაურისა — „ანამარინას გული“.)

პოლისემიაზე არაფერს ვიტყვი, თუმცა ამის ნიმუშებიც ბლომად მაქვს. ეს რამდენადმე განსხვავებული მოვლენაა და ამაზე — სხვა დროს.

ხოლო სიტყვასობა, ანუ სიტყვებისა და ასოების ჩემულ მიმონაცვლებებს უნდათ პოეტური ეკვილიბრისტიკა დაარქვან ვერსიფიკაციის სპეციალისტებმა, უნდათ — ტექნიკა, უნდათ — კომპინატორიკა, პოეტური ლიტერატურა თუ კოგნიტური ავანგარდი. ეს მათი საქმეა.

„ლიტერატურულ გაზეთის“ წლებიდან მე-5 ნომერში მრავალთა შორის ჩემი ერთი ლექსია დაბეჭდილი — „სრა-სასახლეების ბინადართ“, რომელიც ლევანისული გერმანული შიუთელრაიმის ერთი ჩვეულებრივი მაგალითია. ჩვეულებრივი იმიტომ, რომ ამავვე ნომერში გაცვლილებით რთული და რთულზე რთული შიუთელრაიმებია დაბეჭდილი, სადაც სამი და ოთხი თანხმოვანი ენაცვლება ერთმანეთს. აქ კი სტრიქონის ბოლო, სარითმო სინტაგმაში მხოლოდ ორი ასო-ბგერა ენაცვლება ერთმანეთს: „მ“ და „ვ“:

ვერცხლისა მყოფნი
მერცხლისა ვყოფნი

ახლა ძნელია, ზუსტად აღვადგინო მრავალი წლის წინანდელი პროცესი, და ველარც გამომივა, რადგან ამ ყველაფერის გაკეთება უკვე დღევანდელი, ახალი ცოდნით შეიარაღებულს მიხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ ლექსის დანერგვას პირველად ორი სიტყვა — „მერცხალი“ და „ვერცხლი“ — გაჩნდა ნათესაობით ბრუნვამ: **მერცხლის — ვერცხლის**. თითო ასოს გადანაცვლებით სრულიად სხვა სიტყვა გამოვიდა. ხმოვანზე ამჯერად არაფერს ვიტყვი, თითო თანხმოვანი ასოს შეცვლით ახალი სიტყვის შექმნა ჩვეულებრივი რამ არის თითქმის ყველა ენაში, განსაკუთრებით ქართულში: გადი — ნადი, ველი — ხელი, ბაზარი — ბანარი. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ ეს გადანაცვლება ორმაგი იყოს და თანაც ერთი სიტყვიდან მეორეში გადასმული ასო ახალ შინაარსს ჰქმნიდეს თავისი ძველი და ახალი პოზიციების შეერთებით.

ამის მაგალითია თბილისური ბარბაროზი „ცივა პივია?“ არაფერ იცის, — მე ყოველ შემთხვევაში, არ ვიცი, — როდინდელია და ვის ეკუთვნის ეს მშვენიერი კალამბური. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია უქეიფო ადამიანი, ლუდის დუქანს რომ მიადგება და ცივი „პივია“ ნახევარ სახელმწიფოდ უღირს და უნდა, იკითხოს, „პივა“ ცივი თუ არისო, მაგრამ ისე აქვს რამსები არეული, თავი უსკდება და კითხულობს „ცივა პივია?!“

ეს უნებლიე ბავშვურ ნამოცდენას ჰგავს. ერთხელ, პატარაობისას „თევზის ქონის“ ნაცვლად „ქევზის თონი“ მიუქვამს. მანამდე თუმე „თევზის თონს“ ვამბობდი. იმდენი მეძახეს „თევზის თონი“ კი არა, „თევზის ქონი“, რომ ბოლოს „ქევზის თონი“ ვთქვი!

მოკლედ, „ვერცხლის“ და „მერცხლის“ კი მქონდა, მაგრამ ახლა მჭირდებოდა კიდევ ორი სიტყვა, რომლებიც ამ ორ სიტყვას „ვ“-სა და „მ“-ს გაუცვლიდნენ, ახალ შინაარსს შეიძენდნენ და იმ ორ სიტყვასთან წყვილშიც უაზრობად არ იქცეოდნენ.

ფუტურისტული ლექსების დარად, შეიძლება მხოლოდ ბგერაზე გამეკეთებინა აქცენტი — „ბადე ბაიდებს ბუდე ბაიდებს ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს“ — მაგრამ მუხლებზე დადებული ცირას გულფილტვი მე არ მაკმაყოფილებდა, შინაარსი მინდოდა მიმელო და მერე ეს შინაარსიანი წყვილები შინაარსიანი ლექსის ნაწილებად მექცია.

შინაარს(ებ)ი ამ ორი სიტყვის ხსენებისას თავისთავად მოდიოდა. რაკი ფორმისმიერი საფიქრალი და თავსატეხი



მეტი მქონდა, შინაარსზე თავი დიდად არ შემინუხებია — სტერეოტიპები, გაქვავებული შესიტყვებები ავიღე:

ოქრო-ვერცხლი.

იისფერი მერცხალი.

კუდმაკრატელა მერცხალი.

გაფრინდი, შავი მერცხალი.

ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

„მე პანია მერცხალი ვარ, მიჭიკჭიკე, მოალერსე, ნეტავი რა დაგიშავე, ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე“ (შიო მღვიმელი).

„ბრძნად მეტყველები ვერცხლი არს ნმიდაი, ხოლო დუმილი — ოქროი რჩეული“ (გიორგი მერჩული).

სახლი — მერცხლის ბუდე.

ოქროს გალია.

ვერცხლის გალია.

ვახტანგ ჯავახიძის ის ცნობილი სიტყვებიც ყურში მედგა: „გაზაფხული მოიყვანა ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა“. ან კიდევ: „რაც უნდა იჩალიჩო, / რაც უნდა იბოროქო, / მაინც იელვებს თმებში თითო-ოროლა ვერცხლი...“

ამჟამად იყო, „მერცხლის“ მომდევნო სიტყვა „ვ“-თი უნდა დაწყებულიყო, „ვერცხლის“ მომდევნო — „მ“-თი, ხოლო ყველა დანარჩენი ასო ერთნაირი უნდა ჰქონოდათ — მთავარი სიტყვების ანალოგიით — „ვერცხლის“ — „ვერცხლის“: მაგალითად: „მალი“ — „ვალი“, ან „ვარდი“ — „მარდი“. ასეთი წყვილი ათობით შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ მთავარია მათ შინაარსობრივი წყვილები შეადგინონ წინა სიტყვებთან — „მერცხლის“ და „ვერცხლის“, რომ მერე სალექსო მასალად გამოდგენ.

„მერცხლის ვალი“ და „ვერცხლის მალი“ — დიდი ვერაფერი სალექსო მასალაა, თუ ცირას მუხლებზე დადებულ გულ-ფილტვის გზას არ გავყვებით. არც „მერცხლის ვარდი“ და „ვერცხლის მარდი“ გამოდგება.

აკი ვამბობ, ახლა გამიჭირდება, ზუსტად აღვადგინო ჩემი მაშინდელი ფიქრების მდინარეობა, მაგრამ ფურცელზე გადატანილი ვარიანტების თანმიმდევრობა საშუალებას მაძლევს, თვალის გავადევნო მათი შექმნის დინამიკას და დღევანდელი გადასახელები კომენტარები გავუკეთო თითოეულ მათ შინაარსს. ამიტომ ეს კომენტარები ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გარეშე პირის თვალსაზრისი უფრო იყოს, ვიდრე საკუთარი გამოცდილების გადმოცემა, თუმცა მგონია, რომ ესეც არანაკლებ საინტერესოა.

როგორც ჩანს, ვა-მა, ვე-მე, ვი-მი, ვო-მო და ვუ-მუ წყვილებით ათასგვარად გასინჯვის შემდეგ, თავდაპირველად ორი სიტყვა შემირჩევია: ვიყიდე — მიყიდე.

„მერცხლის ვიყიდე“ მშვენიერი წყვილია პოსტპოზიციური წყობისათვის, ისევე როგორც „ვერცხლის მიყიდე“. მერე ალბათ გაჩნდა ფრაზები:

ბუდე მერცხლის ვიყიდე
გალია ვერცხლის მიყიდე.

მერცხლის ბუდისა და ვერცხლის გალისა დაპირისპირება ბუნებრივად ქმნის კოლიზიას თავისუფლებასა და გალიას შორის — გალიაში მერცხალი წარმოუდგენელია, გალია კანარის ჩიტისთვის არის. ხოლო მერცხლისა და კანარის ჩიტის შედარება სხვადასხვა ტიპის ქალბებთან პოეტიკის ანბანია.

რა მივიღეთ?

აი, რა:

მერცხლის ბუდე და ვერცხლის გალია

თურმე კანარის ჩიტი ყოფილხარ!

თუმცა მე ბუდე მერცხლის ვიყიდე,

შენ მთხოვ, — გალია, ვერცხლის გალია,

მხოლოდ გალია ვერცხლის მიყიდე!

სათაური აქ სულაც არ არის საჭირო, სამი წერტილიც საკმარისია, მაგრამ რაკი ამ რკალის სხვა მრჩობლები მაშინვე თუ მოგვიანებით აღუჭურვე სათაურებით, არც ეს დამიტოვებია უსათაუროდ.

სათაურით თუ უსათაუროდ, მაგრამ ამ ლექსში მე არც მაშინ მომწონდა და არც მითუმეტეს დღეს მომწონს — უმარტივესი და უპრიმიტიუესი — **ვიყიდე — მიყიდე** — ზმნური ფორმები, მხოლოდ პირის ნიშნებით განსხვავებული. თუმცა პოეტური ეკვილიბრისტიკის შემთხვევაში ეს ალბათ მეტად ასატანია, ვიდრე ჩვეულებრივ ლექსში. ამიტომ ხელნაწერში ეს ვარიანტი გადამიხაზავს და ვა-მა, ვე-მე, ვი-მი, ვო-მო და ვუ-მუ წყვილების ტრიალი გამიგრძელებია. აქედან, როგორც ჩანს, **ვაჭარი და მაჭარი** შემირჩევია.

და თუმცა „მერცხლის ვაჭარი“ და „ვერცხლის მაჭარი“ ცირას მუხლებზე დადებულ გულ-ფილტვს დაემსგავსა, რალაც შინაარსის მსგავსი მომიხლაფორთვებია და ახალი მრჩობლებისთვის სათაურიც დამირქმევია:

მაჭრის ვაჭარი

ყველის ვიცით, ღვინის ვიცით,

მაგრამ მერცხლის ვაჭარი?

ოქროდ როდის დაღვინდება ნეტა ვერცხლის მაჭარი?

როცა ღვინოს ოქროდ წარმოვიდგენთ, მაჭარი შეიძლება ვერცხლისა იყოს, ხოლო ყველის ვაჭრის ხსენებისას მერცხლის ვაჭარი სულაც აღარ ჟღერს ისეთ პიტალო სისულელედ, როგორც ცალკე აღებული წყვილი.

მას მერე, რაც წინასწარ მონიშნული სტერეოტიპებიდან ჩიტის ბუდე და გალიაც გავათამაშე და ოქრო-ვერცხლიც, შიო მღვიმელისეული ბიჭო სესეს ჩართვა მოვიწოდებ ჩემს მიმონაცვლებებში, უდანაშაულო მერცხალს ქვებს რომ ესვრის და მერცხალი რომ საყვედურობს, ნეტავი რა დაგიშავე, ქვებს რომ მესვრიო.

ხოლო ვა-მა, ვე-მე, ვი-მი, ვო-მო და ვუ-მუ, ხმოვნიანი წყვილებიდან თანხმოვნიანებზე გადავსულვარ და, ეტყობა, ჯერ-მწარე-ჭამე-კვლავ-ტკბილის პრინციპით, ანბანის რიგს ბოლოდან მოვყოლივარ, რაკი **ვჭირობდი და მჭირობდი** შემირჩევია. აქ ყველაფერი რიგზეა, გარდა იმისა, რომ ორივე სიტყვა ხელოვნური და ნაძალადეგია — როგორც ვჭირობდი (სიტყვიდან „ჭირო“, — „ვლხინობდი“-ს ანტონიმი და „ვგლოვობდი“-ს სინონიმი), ისე მჭირობდი (მჭირდებოდი). ლექსში კი გიორგი მერჩულის სიტყვებიც მიგულისხმია! სათაური გვიანდელია, პუბლიკაციის მომზადებისას დავარქვი:

არა დუმილი, — ვერცხლი ნმიდაი

როცა მოვთქვამდი, როცა ვჭიროდი, როცა

დაღუპვას მერცხლის ვჭირობდი,

ოქროს დუმილი არ მჭირდებოდა,

მაშინ სიტყვებად ვერცხლის მჭირობდი!

ავტორი, რომელიც სესეს თუ ვინმე სხვა აბეზარი ბიჭის მიერ განწირული მერცხლის დაღუპვას შეესწრო, არა ჩუმ თანაგრძობას, არამედ ნუგეშისცემას, „ბრძნულ სიტყვას“, ელის აბსტრაქტული და ნაგულისხმევი რომელიმე კეთილი გიორგისგან, რომელიც მერჩულის რჩეულ ოქროზე წინ ამ შემთხვევაში ვერცხლს აყენებს.

განწირული მერცხლის თემა და გიორგი მერჩულის სიტყვები, როგორც ჩანს, ისევე მიტრიალებდა თავში და მომდევნო მრჩობლები ასეთი გამოვიდა (სათაური მაშინვე დამირქმევია):

სესეს მონანიება

მეც ჩამომადგეს, მგონია,

როცა იმ მომლოდ ბუდეს მერცხლის ვიხსენებ,

ოქროს დუმილი არ დაივინყო,

როდესაც სიტყვებს ვერცხლის მიხსენებ!

როგორც ჩანს, ფორმაზე დიდად არ მიფიქრია, თუმცა „ვიხსენებ—მიხსენებ“ წყვილი, რამდენიმე საფეხურით მაღლა დგას, ვიდრე „ვიყიდე—მიყიდე“, რადგან მას ერთგვარი პოლისემიურობაც ახლავს — ერთ შემთხვევაში „გახსენება“ და მეორე შემთხვევაში „ხსენება“. თუმცა ფაქტია, რომ ჯერჯერობით ამ მარტივ წყვილებს ვერ გავცდი, ვერც ზმნური ფორმები და პირის ნიშნების მიმონაცვლებანი ავიცილე და მერცხლის — ვერცხლის წყვილის ადექვატურიც ვერაფერი მომიძებნია.

როგორც შემდეგი მრჩობლებიდან ჩანს, საკუთარ თავზეც გავბრაზებულვარ, ზმნურ რითმებს რომ ვერ გავცდი, და იმ ბიჭ სესეზეც, ქვებს რომ ესვრის უდანაშაულო მერცხალს. ჰოდა, ჩემს თავზე გაბრაზებულს უკეთესი წყვილი მომიძებნია, სესეზე გაბრაზება კი ლექსის შინაარსად და განწყობილებად ქცეულა. სათაური აქაც გვიანდელია:

ქვებს რად ესვრი, ბიჭო სესე!

რაგინდ გაკოჭოთ ჩემი სხეული,

რკინის ჯაჭვო და ვერცხლის მუარო,

მე ბიჭი სესე უნდა ჩავექოლო,

მე უნდა ბუდე მერცხლის ვუარო!

ეს ლექსი შინაარსითაც და ფორმითაც დიხაბაც სჯობს ყველა მანამდელს, თუმცა საცოდავი და უბრალო ბიჭი სესეს ჩაქოლვა დიდი ვერაფერი მოსაწონი საქციელია პოეტობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანისგან.





დასასრული

პაატა ნაცვლიშვილი

ქეზის თონი

პოეტურ მიმონაცვლებათა მიმოხილვა
ანუ ეკზერსისები ვერცხლისფერი მერცხლისა და
დემოკრატის თემაზე

აქ მერცხლიანი წყვილი პირველად ჩამომიტანია მეორე სტრიქონად. მანამდე ის — ერთგვარი წარმართველი, ლიდერი იყო და განმსაზღვრელ როლს ასრულებდა არა მარტო შინაარსობრივად — განლაგებითაც. რაც შეეხება სიტყვას „მუარი“, რომელიც შეიძლება რამდენადმე გაუგებარი იყოს ფართო მკითხველისათვის, მისი საქმე ასე გახლდათ: სტამბის მემონტაჟე, ქალბატონი ნანული, როცა ჟურნალ „მართვეს“ ნომერს გვიმონტაჟებდა, ხშირად გვეტყობოდა ხოლმე რომელიმე დაბინდულ სურათზე მე და ჟურნალის პასუხისმგებელ მდივანს გოგა ქორქიას, ეს ფოტო არ ვარგა, მუარი აქვსო. თავიდან არ ვიცოდი, რა იყო ეს „მუარი“ და მეგონა „ვუალს“ ამბობდა და ან მკაფიოდ ვერ გამოთქვამდა, ან მე მესმოდა არასწორად. ფოტოს ვუალს სწორედ იმ დაბინდულობად აღვიქვამდი. მერე ჩავეხედე ლექსიკონებში და ვნახე, რომ თურმე „მუარი“ ფრანგულიდან მოდის, რუსულშიც ასევე დამკვიდრდა და ერთგვარი აბრეშუმის ქსოვილი ყოფილა, მზინავე და ტალღოვანი ზედაპირით. ხოლო პოლიგრაფიაში მუარი ფოტოზე, უფრო ზუსტად — რეპროდუქციაზე, პოლიგრაფიული წერტილების ბუნდოვან კვალს აღნიშნავს. ლექსში „ვერცხლის მუარი“ უბრალოდ მატერიალს აღნიშნავს, რომლითაც ვაჭვისებურ შეიძლება ადამიანის გაკოჭვა.

(გვიან ვნახე, რომ სიტყვა „მუარი“ მურმან ლებანიძეს ჰქონია ნახმარი თავის ძველისძველ ციკლში „თეთრი ლექსები ფიქრისა“:

„მე თუ გავმდიდრდი,
გავმდიდრდები შენი გულისთვის!
შენი გულისთვის შემოვივლი
ჩინსა და მაჩინს:

შინდუსტრიალიანი
ჩამოგიტან ფენჯაბურ სტავრას,
საფრანგეთიდან,

შოტლანდიიდან — ბროლსა და მუარს“...

დიდი მადლობა ბატონ ვახტანგ ჯავახიძეს, რომელმაც გამახსენა მურმანის ეს ლექსი.)

კი, გეთანხმებით, მუარით გაკოჭვაც რამდენადმე ნაძალადეგია, მაგრამ არც ისეთი, როგორც ცირას მუხლებზე დადებული გულ-ფილტვი გახლავთ.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ჩავთვალე, რომ დაუნდობელი სესე-ბიჭისა თუ დუმბილ-სიბრძნის ოქრო-ვერცხლის თემა ამოწურე და კვლავ მერცხლის ბუდეს დაეუბრუნდი. ამჯერად იგი გუგულის ბუდე დაფიქრისპირე. სტერეოტიპულად მერცხლის ბუდე — ოჯახური სიტბოს სიმბოლოა, ხოლო გუგულის ბუდე — სადაც თავად გუგულიც კი არ დებს კვერცხებს, — პირიქით, ოჯახური გაუცხოებისა და გარეგარეობისა. გუგულის ბუდის ვაი-ვიშის ფონზე მერცხლის ბუდით აღფრთოვანებული ავტორისა თუ მისი მკითხველისათვის ფაიფურის ფინჯნითა და ვერცხლის მაშით დამშვენებული ჩაის სმა ნამდვილ ოჯახურ იდილიად აღიქმება. აქ სათაური ძალზე მნიშვნელოვანია, იგი ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს და დაკვირვებული მკითხველი ალბათ ადვილად დაინახავს, როგორ იღებს ვერცხლის მაშით მოსიყვარულე ცოლი შაქრის ნატეხს საშაქრიდან და როგორი სინახით უდგებს ფაიფურის ფინჯანში მეუღლეს, რომელიც ამდროს შეიძლება აივანზე მერცხლის ბუდეს უყურებდეს! შინაარსით სრულიად საპირისპირო და ფორმით მსგავსი „ვაი-ვიშისა“ და „ვაშას“ ალიტერაციაზე აღარაფერს ვიტყვი:

ოჯახური ჩაისმა
გუგულისას ვაი-ვიში, ბუდეს მერცხლის ვაშა!
მოუხდება ფაიფურის ფინჯანს ვერცხლის მაშა!

შემდეგი მრჩობლედი კი ამ ცოტა ხნის წინათ შემომენერა. გუგულზე და მის ბუდეზე ყბადაღებული გუგული დეიდა გამახსენდა — ანუ გუგული, ყველაფერი რომ იცის და უმარტივეს წესმარტებებს და უნიკალურ ფაქტებსაც ერთნაირი სერიოზულობითა და სკრუპულოზურობით რომ გვაუწყებს. ალიტერაცია აქაც შენარჩუნებულია:

დაგუგლე და გაიგებ!
გუგლის ბუდე ვაი-ვიში, ბუდეს მერცხლის ვაშა!
გუგლი გვირჩევს —

უბრალოს სჯობს კოვზი ვერცხლის! მაშა!

ამ ახალ ლექსში წინა პლანზე ირონიული ინტონაცია მოდის, რაც იმ ადრეულ პერიოდში, სიტყვებს რომ ვაგლახავებდი სანუნნი კამფეტებით, ჩემთვის ნაკლებად იყო დამახასიათებელი. მაშინ ჩემში უფრო დრამატული, ტრაგიკული რომ არ ვთქვამ, განწყობილებები ჭარბობდა. ამის დასტურია კიდეც ორი ადრინდელი ლექსი:

გაფრინდი, შავ ვერცხ(ა)ლო!!!
მარქვი, რას ნიშნავს სიზმრად ნანახი
გამაფრეება ვერცხლის, მკითხავო,
არ მითხრა ახლა, მე რომ დაგხოცე,

იმ ბარტყებს შავი მერცხლის ვკითხავო!

ერთი შეხედვით, აქაც ზმნური ფორმები და პირის ნიშნები მიმონაცვლებულ-გართობული — „მკითხავო — ვკითხავო“, მაგრამ პირველი სტრიქონის ბოლო მძიმე ყველაფერს თავის ადგილას აყენებს: პოლისემიური „მკითხავო“ ამ შემთხვევაში არა ზმნაა სხვათა ენის „ო“-თი, არამედ არსებითი სახელია ნოდებით ბრუნვამი. ხოლო გამაფრებული ვერცხლი, მკითხავური ტრადიციის თანახმად, ყოველთვის ითვლებოდა თილისმად, ერთგვარ ავგაროზად თუ კეთილგაროზად.

ამის მერე კიდევ უფრო გამირთულდება ამოცანა — ერთი სინტაგმა დამიძლია და მესამე სიტყვა გამიჩენია:

ერთი მერცხლის გაზაფხული
მაშინ დაზამთრდა, როს გაზაფხული
იმ ერთადერთი მერცხლის ვინამე,
გულს დამეყარა თოვლის მინა და ოქროს მინა
და ვერცხლის მინა მე!

ბოლო ორივე მრჩობლედის სათაური გვიანდელია, ამ პუბლიკაციისათვის დარქმეული. თუმცა ვიქრობ, რომ სათაურების გარეშეც სათქმელი ამ ლექსებში უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე ზოგიერთ წინა ვარიანტში. წყვილებს რაც შეეხება, აქ, აკი უკვე ვთქვი, ამჟამად უკეთესობისკენ არის საქმე: თვალსაჩინოდ პოლისემიური „მკითხავო“ წყვილში „მკითხავო-ვკითხავო“, რასაკვირველია, სჯობს „ვისხენებ-მისხენებ“ წყვილის „მისხენებ“-ს, სადაც ეს პოლისემიურობა რამდენადმე ეფემერულია.

ხოლო მეორე ლექსის წყვილი „ვინამე — მინამე“ ნამდვილად თამამად ამოუდგება გვერდში „მერცხლის — ვერცხლის“ იმ პირველად და ნამყვან წყვილს. „ვერცხლის მინის“ ერთგვარი ბუდოვანება რომ არა, შეიძლება ეს ლექსი საუკეთესოდ ყოფილიყო ყველა ამ ვარიანტიდან.

მაგრამ მაშინ მე მომდევნო ლექსი გამომირჩევია, ცალკე ამომიწერია და უნდა ვთქვა, რომ დღესაც ამავე აზრისა ვარ. ამიტომაც, სწორედ იგი შევიტანე ლექსების ამ ახალ (ძველ) კოლექციაში, რომელიც „ლიტერატურულ გახეთში“ გამოქვეყნდა და რომელსაც ეს ოპუსი მივაღვენე. მკითხველისა და კრიტიკოსებისა, გინდაც ლევან ბრეგაძისა არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან, ძალიან-ძალიან მომწონს წყვილი „მყოფნი-ყოფნი“. სხვათა შორის, ლევანმა ეს ლექსი იმ თავის მოხსენებაშიც დაიმონმა.



ამ თითქმის ანდაზური თუ აფორისტული მრჩობლედის დახვეწილ და ყოველგვარ ბუნდოვანებას მოკლებულ შინაარსსა თუ წყობაზე არაფერს ვიტყვი, დაე, სხვებმა თქვან. წარმოდგენა არა მაქვს, რატომ არ გამახსენდა ეს ლექსი აქამდე. ახლა მგონია, რომ მე მას აუცილებლად შევიტან ჩემს რჩეულში, თუ მისი გამოცემა ოდესმე გადავწყვიტე:

სრა-სასახლებების ბინადართ
თქვენ ვით გაიგებთ, სრა-სასახლეთა ოქროსა,
გინა ვერცხლისა მყოფნი,
მე როგორ მყოფნის მერცხლის ბუდე და
მე რარაც ბუდეს მერცხლისა ვყოფნი!

ეს ლექსი, პირველ ყოვლისა, იმიტომ შევარჩიე, რომ იგი მთლიანად მოკლებულია კომიკურ ეფექტს, რომელიც, თორეტიკოსთა დასკვნით, თითქოს თანხმომავნაცვლითი რითმის უცილობელი დამახასიათებელია. მე კი ვფიქრობ, რომ პოეტურ ფიგურად ქცეული სპუნერიზმი ისევე შეიძლება იყოს კომიკური, ნეიტრალური თუ ტრაგიკული, როგორც ნებისმიერ სხვა პოეტური ფიგურა. ამის დასტურია წინა ორი მრჩობლედიც. და თუმცა პირველ მათგანში შავი იუმორის ნიშნებიც შეიძლება დავინახოთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ შავი იუმორი სხვაა და კომიკური ეფექტი — სხვა.

იმ პერიოდში, როცა ინტენსიურად ვთამაშობდი შესაკრებთა მიმონაცვლებებით, რამდენიმე გოგო მიმწონდა ერთდროულად, მათგან ორი — განსაკუთრებით. რასაც ახლა მოვყვები, ეს ყველაფერი ზუსტად მახსოვს: ერთ მშვენიერ დღეს ეს ორივე ერთად ვნახე. ერთს უაკეტზე თუ მაისურზე მერცხალი ეხატა, მეორეს კი — ვერცხლის პეპელა-ბროში ეკეთა. ვერცხლისფერი მერცხლის ეკზერსისების სასიამოვნო ვარჯიშში ეს ამბავი ნამომავონდა და გავლექსე კიდევ.

ლექსი საინტერესო გამოვიდა, ორპლანინი, ორადრესატინი: პირველ სტრიქონში ერთ გოგონას მივმართავ, მეორე სტრიქონში — მეორე გოგონას პეპელა-ბროშს, ემანდ, იმ პირველი გოგონას გულ-მკერდზე დახატულმა მერცხალმა თავისი ბარტყებისკენ არ ნაგანიალოს-მეთქი.

გულ-ფილტვს არა და, გულ-მკერდს კი მივაღვეი! როგორც ყველა მისი წინამორბედის, მაშინ არც ამ ლექსის გამოქვეყნება მიფიქრია. ასეთებს კი არა, მაშინ „ნორმალურ“ ლექსებსაც არ მიბეჭდავდნენ გველუშაპებთან ლიტერატურულ ჟურნალში და ამიტომ ლექსის გაფორმებაზე აღარ მიზრუნია. ახლა კი, ამ ოპუსზე

მუშაობისას, ზემოთმოყვანილი ამბავი უნდა დაგარქვას სათაურად:

ერთ გოგონას მაისურზე მერცხალი ეხატა,
მეორეს კი ვერცხლის პეპელა-ბროში ეკეთა
მაგ შენს გულ-მკერდზე შემოფრენილის
მე უნდა ხოტბა მერცხლისა ვწერო,
ფრთხილად იყავი, ბარტყებისაკენ არ გაგაქანოს,
ვერცხლისა მწერო!

ამის შემდეგ, რაკი შედეგით ასე თუ ისე კმაყოფილი ვიყავი, უკვე სალალოდ სამი მრჩობლედი კიდევ დამინერია. წინა ორი ლექსის გარდა, ისინი ყველა წინამორბედზე უკეთესი მგონია, ყოველ შემთხვევაში არცერთი არცერთს არაფრით ჩამოუვარდება. სამივეში ხატვა, მოხატვა ან ხატი გახლავთ წინა პლანზე.

პირველში ოქროსფერი ცა მერცხალმა ვერცხლისფრად მოხატა, მეორე ლექსი კი ანის ეძღვნება. თუმცა მაშინ არავითარი ანი არ ყოფილა, უბრალოდ რითმამ მოითხოვა ამ სახელის მქონე გოგოს გაჩენა ლექსში, თორემ სინამდვილეში სხვას ვგულისხმობდი, რომელსაც ანისგან ძალიანაც განსხვავებული სახელი ერქვა. ამ ლექსში მერცხლის მონანილეობით დაწერილ ამდენ ლექსს შორის პირველად ვახსენე მერცხლის მუდმივი ბავშვური მეტაფორა — კუდმაკრატელა. სამივე ამ ლექსში ძალიან მომწონს, რომ ყველა წინა ვარიანტისაგან განსხვავებით, ბოლო სიტყვების პირველი ერთი ან ორი ასო, წინა სიტყვას ერთვის. ერთადერთი, რაც შეიძლება ყურს უსიამოდ ხვდებოდეს — მესამე ლექსის ბარბაროზში აბრევიატურაა — მხატი, თუმცა მაშინ თბილისშიც ყველა ასე ეძახდა ამ თეატრს. დღეს კი ალბათ ეს ბარბაროზშიც აღარ სჭრის ყურს.

პირველ ორში ერთი და იგივე სიტყვებია: ვცანი — მცანი, მაგრამ სხვადასხვანაირადაა განაწილებული, ხოლო თითქოს აუცილებელი ფორმა „ვცანი“ საერთოდ არ არის გამოყენებული.

მესამე ლექსი კი, იმ ორგოგონიანი ლექსისა არ იყოს, ორადრესატინია — პირველ სტრიქონში ავტორი მერცხალს მიმართავს, მეორეში კი — თეატრს. ძალიან მომწონს პირველი და მესამე ლექსის სათაურებში სიტყვა „მომერცხლილი“. ეს სიტყვა მაშინდელია, იმდროინდელი, როცა ლიტერატურულ ჟურნალს, აკი ვთქვი, ვინც იყვნენ დაპატრონებული!

„მომერცხლილთან“ ერთად ძალიან მომწონს „მც“ ნატურის ნაწილაკის გამოყენება მეორე ლექსში — „ვერცხლისამც“.

აი, ეს სამი მრჩობლედიც:

მომერცხლილი
ანუ მერცხლის ფრთებით მოვერცხლილი ცა

მოხატე, ფრთათ მერცხლისავე, ცანი,
ოქროსი ვიყავ, ვერცხლისა მცანი!

ანის ცისფერი საყურეები

მოხატე, ფრთათ კუდმაკრატელა მერცხლისავე, ცანი,
შენც დაგხატავდა საყურეები ვერცხლისამც, ანი!

მომერცხლილი ფარდა
მოსკოვის სამხატვრო თეატრისათვის

შენ უნდა ცაზე ორნამენტები,
ჩამოქროლებავ მერცხლისავე, ხატო,
მე შენ გიბოძებ მერე ამ ნახატს,
როგორც რომ ფარდას ვერცხლისა, მხატო!

აქ რკალში კიდევ არის ერთი მრჩობლედი. ვფიქრობ, ჩავრთო თუ არა ამ ჩემს ოპუსში. არ ვიცი, მიჭირს გადაწყვეტა. ხოლო მანამდე, სანამ ვფიქრობ, მოდი, დემოკრატის მიგხედოთ, უფრო სწორად — დემოკრატის ანაგრამებს.

ხოლო კიდევ უფრო მანამდე ერთი ყოვლად არალირიკული გადახვევა უნდა გავაკეთო.

ზემოთ ჟურნალი ვახსენე. რაც არ უნდა მიგეტანა ამ ჟურნალში — „შემოღამება მთანმინდაზედ“ თუ „მთანმინდის მთვარე“ — ან „ჩვეულებრივი რიტორიკა“ აღმონდებოდა, ან „ათასჯერ გადაღეჭილი“. თვეობით ივლიდი და ბოლოს ჟურნალთმთავარი სხვათა შორის ან ხუმრობით გეტყვოდა, ნიჭიერი ბიჭი ხარ, მშვენიერი ლექსებითა, მომდევნო ნომერშივე დაგვებეჭადე, ოღონდ ერთი „პარავოზიც“ ნაშუქლავარეო, ლენინი თუ არა, კომკავშირი მაინც ახსენო! „პარავოზი“ — ლენინურ-კომუნისტურ-კომკავშირული იდეოლოგიის სახოტბო ლექსს ერქვა, რომელიც თითქოს სხვა ლექსების „გასათრეველ“ იყო საჭირო.

არა და ვერ ვწერდი ასეთ ლექსებს. ერთ მშვენიერ დღეს კი თვითონ შემომენერა. ბათუმში მივდიოდი. მატარებელი ქობულეთის სადგურს რომ გასცდებოდა და კინტრისის ხიდს გადავივლიდა, ზღვა მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე პირველად. იქვე, მდინარის პირას ვეება ფარი იყო, დღეს ბანერებს რომ ვეძახით, ასეთი წარწერით: „დიდება ლენინურ კომკავშირს!“ თბილისის მატარებელი ბათუმში დილის მსაათზე ჩადიოდა. ქობულეთში უკვე ფეხზე ვიყავი ხოლმე და კუპის წინ დერეფანში ვიდექი. მაშინ ჯერ კიდევ აუხდენელ ოცნებად მქონდა მეზღვაურობა და ზღვის ხედს არასოდეს ვუშვებდი ხელიდან!

ბათუმში ჩემი მაშინდელი მისვლა-მოსვლებისას არის დაწერილი ჩემი ერთი შიუთელრაიმი, რომელიც ლევან ბრეგაძეს ძალიან მოსწონებია და თავის ზემოთხასხენებ პუბლიკაციაშიც იმონებეს:

: და ბოლოს სუპერ-შიუთელრაიმი — თანხმომავნათა ორი წყვილის გადაადგილება ერთი სიტყვის ფარგლებში:



მანინჯაური

კონდუქტორი, მაგ სასტვენში იქნებ ერთიც ჩაგებერა, რალა დარჩა! გავიარეთ ბოლოსნინა გაჩერება!

ამგვარი რითმის ეფექტი, მიმზიდველობა იმიტაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი თითქმის ომონიმური ანუ უზუსტესი რითმისა და არაზუსტი კონსონანსური რითმის ერთ-ერთი სახეობის ნაჯვარია: ომონიმთან მას ის ანათესავებს, რომ სარიტმოდ სიტყვები ზუსტად ერთი და იმავე ბგერებისაგან შედგება, ხოლო კონსონანსური რითმისა ის გამოჰყოლია, რომ თანამოვანთა თანმიმდევრობა არ არის დაცული. :

ლექსის სათაურს რაც შეეხება, ახალგაზრდა თაობის გასაგონად ვიტყვი, რომ იმ დროს მატარებელი ბათუმის ცენტრში შედიოდა და მანინჯაური ბოლოსნინა გაჩერება იყო. ბანერზე მოგახსენებდით. თბილისიდან ბათუმში მატარებელით მგზავრობისას ვინ იცის, რამდენჯერ გადამივლია მაშინ კინტრიშის ხიდზე და რამდენჯერ მომხვედრია თვალში ის ბანერი. შევხედავდი და მაშინვე მავინწყდებოდა. იმ დღეს კი — ეტყობა, გველესაპებიან ჟურნალში ახალი ნამყოფი ვიყავი — როგორღაც ამეკვირა და რითმებიც თავისით გაჩნდა. მთელი ლექსი არა, მაგრამ პირველი სტროფი დღემდე მახსოვს:

კინტრიშთან უკვე გამოჩნდა ზღვა,
ნარნერაც — „დიდება ლენინურ კომკავშირს!“
კოკიდან არარა გადმოვა სხვა,
თვინიერ იმისა, რაცა დგას კოკაში...

მერე მოდიოდა რამდენიმე სტროფი იმის შესახებ, რომ კოკაში გინდაც ზღვის წყალი ესხას, მონდომებული და მიზანსწრაფული ადამიანი მისგან ღვინოს ჩამოსახამს! მოკლედ, დიდი აბაღა-უბაღა რამე გახლდათ. მაგრამ რაკი მასში ლენინიც იყო ნახსენები და კომკავშირიც, პარავოზად მივიტანე სხვა რამდენიმე ლექსთან ერთად. აბა, ეს სადაური პარავოზია, თვითონ ამ ლექსს სჭირდება პარავოზიო, ერთმა მითხრა! მაგას რა პარავოზი უშველისო — მთავარმა! და საბოლოოდ ამომიკვეთეს ფეხი ჟურნალში. თუმცა „მოვიკლათ ნარსულ დროებზე დარდი“ და ანაგრამებს დავუბრუნებდი.

იმ პუბლიკაციაში, რომლის ერთგვარ განმარტებად თუ დანართად იწერება ჩემი ეს ტექსტი, ერთი ლექსი მთლიანად ანაგრამაა — ფფიქრობ, საკმაოდ ორიგინალური, ფორმითაც და შინაარსითაც:

დემოკრატია — მშვიდობის მტრედ
დემოკრატია —
აა! მტრედი? ოკ!

ამ ანაგრამას რამდენიმე „თანამომე“ ჰყავს, ანუ რამდენიმე ვარიანტი აქვს. არა მგონია, რომელიმე ამაზე უკეთესი იყოს, მაგრამ მთლად დასაკარგავადაც არ მემეტება. და რაკი „ვერცხლი—მერცხლის“ ვარიანტები ასე დანერვილებით განვიხილეთ(თ), ალბათ ღირს, დემოკრატის ანაგრამების ვარიანტებიც გავსინჯო(თ).

ეს რკალი შედარებით გვიანდელია და არც ერთბაშად დანერვილა. ყველა მათგანი, იმ ერთის გარდა, რომელიც გაზეთში უკვე დაიბეჭდა, ჯერჯერობით უსათაუროა. ყველაზე ძველი მაშინ უნდა იყოს შეთხზული, როცა საქართველომ საბჭოთა დიქტატურას ზურგი აქცია და, როგორც ამბობ(დ)ენ, დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა:

დამსეტყვე, ცაო! მოდი, რაკეტა!
თავს დამატეხე დემოკრატია!

რაკეტა და რაკეტები მაშინ მეტად აქტუალური თემა გახლდათ. ჩვენი მაშინდელი წარმოდგენით, დასავლეთს უფრო მეტი და უფრო მაგარი რაკეტები ჰქონდა და ვფიქრობდით, რომ დემოკრატიაც მერცხლის ფრთებით კი არა, რაკეტების ფრთებით უნდა შემონარნარებულიყო ცაფირუზხმელეთურმუხტოში.

ამის მერე ეს მრჩობლენი უნდა იყოს:

მოვიდა დემოკრატია —
ტირანის მკერდი აოტა!

ეს „მკერდი აოტა“ ძალიან მომწონს. თუ სიტყვა „დემოკრატიაში“ „რაკეტა“ როგორღაც იგულისხმება „რ“, „კ“ და „ტ“ თანხმოვნების სიახლოვის გამო, „მკერდი“ ძნელად ივარაუდება. „აოტა“ — მით უმეტეს. ძალიან არიან დაშორებულნი საყრდენი თანხმოვნები. ის კი ნამდვილად აღარ მახსოვს, რომელ ტირანს ვგულისხმობდი კონკრეტულად. შეიძლება, ვიღაც კრებსითი ტირანი მქონდა მხედველობაში, რომიკო სტურუას დრაკონის თუ იმ გველესაპებიანი ჟურნალის მსგავსი.

ამის მერე ორი სრული ანაგრამა დამინერია. ერთი ის, უკვე გამოქვეყნებული, ზემოთ რომ დავიმონწმე და მეორე — ეს:

დეკრეტი ამოა:
ე, დემოკრატია!

ეს ის პერიოდი, როცა დემოკრატის დამკვიდრებას ჩვენში დეკრეტებით ვცდილობდით და როცა ის ხმამაღლა დეკლარირებული ქიმერა იყო, მეტი არაფერი. იქვე, იმავე დღეებში, დემოკრატის დეკრეტებით დამკვიდრების არარეალურობაში დარწმუნებულს, ამ მრჩობლენის რიმიქტიც გამიკეთებია. ესეც სრული ანაგრამაა:

ვა! ამო დეკრეტი:
ავე, დემოკრატია!

აქ პოლიტიკური ანალიზის დრო და ადგილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ნლევის მერე მეც სხვებთან ერთად დავინახე, რომ დემოკრატია ერთგვარი დეკორაცია

ყოფილა შიშველი მეფეების და მათი ნაზირ-ვეზირების მოთმითიმე ხორცების დასაფარავად და ეს მრჩობლენიც მაშინდელი უნდა იყოს:

სალამი, დემოკრატია!
მოდი, დეკორი მაიტა!

მომდევნო ორი ანაგრამა კი საზღვარგარეთის ქვეყნებს უკავშირდება. დემოკრატის ქიმერულობა და დეკორაციულობა მართო საქართველოსთვის როდია დამახასიათებელი. არც დეკრეტებით დემოკრატის დამკვიდრების მცდელობაა მსოფლიოსთვის უცხო და არც ყოველგვარ დემოკრატიაზე უარის თქმა უფრო ნათელი მიზნებისათვის.

ერთი საზღვარგარეთული ანაგრამა კარიბის ქვეყნებში მოგზაურობებიდან ჩამომყვა. 2007 წელს კარიბის ზღვის აუზის რამდენიმე კუნძული-ქვეყანა მოვიარე და იქაურ დემოკრატებსაც შეძლებისდაგვარად გავეცანი. ანტი-გუა-ბარბუდასა და დომინიკის რესპუბლიკის (დედაქალაქი — სანტოდომინგო) დემოკრატები განსაკუთრებით დამამახსოვრდა. მეორე დომინიკასაც (დედაქალაქი — როსო) კარგი გამოცდილება დავეროვებინა დემოკრატისა. რომელი დომინიკა იგულისხმება ჩემს ლექსში, ახლა აღარ მახსოვს. ლექსი კი ასეთია:

უნდა ითქვას, რომ დემოკრატია
დომინიკისთვის მძლე დემოკრატია!

დემოკრატია ალბათ ბევრ სხვა ქვეყანაშიც არის მძლე დემოკრატია, მაგრამ დომინიკამ ეს ანაგრამა ალბათ „დ—მ—კ“ ალიტერაციის გამო დაისაკუთრა. თუმცა „დომკრატს“ „დემოკრატის“ სრულ ანაგრამობამდე ერთი ასო დააკლდა და ეს ერთი ასო — „ე“ — ნინა სიტყვიდან შეიამხანაგა. ეს ლექსი შეგულბული მაქვს კარიბის ქვეყნებში ჩემი მოგზაურობის ამსახველი მულტიკონტენტური და მრავალჟანრობრივი ნიგნისათვის „კარიბობა“.

მეორე „საზღვარგარეთული“ ლექსი სინგაპურულ დემოკრატისა ეხება, უფრო სწორად — სინგაპურულ მერიტოკრატისა და მასში სინგაპურული პოლიტიკოსი ჯოზეფინ ტეო ანუ ტეო ლი მინი ფიგურირებს — მომხიბვლელი ქალბატონი, რომელმაც ქვეყნის რამდენიმე სამინისტროს უმაღლესი თანამდებობები გამოიცვალა და ახლა სინგაპურის პარლამენტის წევრია.

„დომინიკა—დომკრატისგან“ განსხვავებით ეს ლექსი მოგზაურობიდან არ ჩამომიტანია — მე როცა სინგაპურში ვიყავი, ჯოზეფინ ტეო მაშინ იწყებდა აღმასვლას და მე მისი არსებობა არ ვიცოდი. ტეოს სახელი მოგვიანებით გავიგე და მყარად ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რაკი ჩემი ქალიშვილის სახელს ჰგავდა. თანაც იმ პერიოდში სინგაპურული მერიტოკრატით ვიყავი დაინტერესებული და ამ ყველაფერმა ლექსშიც გამოჟონა, რომელიც ვითომ რომელიმე სინგაპურული მერიტოკრატის პირით არის დანერვილი და — ოღონდ მერიტოკრატია დადამკვიდრე ქვეყანაში და ისევე გიქნია, დემოკრატიაზეც უარი გითქვამს და, თუ დაგჭირდება, როგორც უღირსი სინგაპურელი, მეც ზედ მიგიყოლებივარო — ტეოს მიმართავს. რატომ მაინცდამაინც ტეოს, ის ხომ ჯერ არ არის პირველი პირი ამ გაუთოებულ ქალაქ-სახელმწიფოში?! რატომ და იმიტომ, რომ სწორედ მისი სამასობიანი გვარი მითითება ანაგრამამ! ტეო ამ შემთხვევაში ზოგადი სინგაპურული ლიდერია და იგი ერთდროულად შეიძლება იყოს ონ ტენჩონიც, სელაფან რამანათანიც, ტონი ტანიც, გო ჩოკტონიც, ლი სიანლუნიც, აგერ სულ ახლახან არჩეული სინგაპურის პირველი პრეზიდენტი ქალი ჰალიმა იაკობიც



და, რასაკვირველია, თავად ჯოზეფინ ტეოც! სათაური არც ამ ლექსს აქვს, მაგრამ რაკი მერიტოკრატია, როგორც დემოკრატის ალტერნატივა, ლექსში საერთოდ არ არის ნახსენები, რალაც საამისო მინიშნება ნამდვილად მოუხდებოდა. ვთქვათ, ასეთი:

მერიტოკრატია დემოკრატის ნაცვლად
არავითარი დემოკრატია!

თუ საჭიროა, დამკარი, ტეო!

დავანებოთ თავი ქალბატონ ტეოს, რომელიც მომავალში სინგაპურის არათუ პრემიერი, იქნებ პრეზიდენტიც კი გახდეს და ჩვენს ბატონ კოტეს მივხედოთ, რომელიც ერთ ჩემს ანაგრამაში დამკვიდრდა ლამის ჩემს უკითხავად:

ვერ დაენევა დემოკრატია —
რადგან ძალიან მარდია კოტე!

ეს კოტე, მე არ ვიცი, ვინ არის, რა უნდა, აქ საიდან გაჩნდა. იქნებ მკითხველთაგან იცოდეს ვინმემ? სულაც ვიქტორ დოლიძემ ხომ არ გამოავაზვნა ნეტა?! კომპოზიტორზე მოგახსენებთ. ახლავა შევამჩნიე — ეს სალალობო ანაგრამა იმდენად არის დაცლილი ყოველგვარი კონკრეტული შინაარსისაგან, რომ უკანა რიცხვით ლეგენდის შექმნა აღარ შეეძლოს. ვისაც რომელი მოეგონება, ის კოტე იგულისხ-

მოს — მარდი და სმარტი, დემოკრატია რომ ვერ ვნევა, ისეთი. და საერთოდ, რატომ უნდა დაენოს დემოკრატია რომელიმე კოტეს, ან ვინმე სხვას, ესეც არ მესმის! შენ მოგენია დემოკრატიაო — წყევლასავით არ გამოვიდეს!

ამ სალალობო ანაგრამაში კი, მგონი, მართლა ძალიან ახლოს მივედი ცირას მუხლებზე დადებულ გულ-ფილტვთან — შინაარსი მთლიანად რომ ენირება ფორმას.

და სულ ბოლოს — ის გადანახული „მერცხალ-ვერცხლიანი“ მრჩობლენი, ზემოთ რომ ვერ გადავწყვიტე, შემომეყვანა თუ არა ამ ნარატივში.

15-ოდე წლის წინათ, მაშინ უკვე იმ ძველ ლექსებს რომ გადავხედე, ისე, სახალისოდ, აბა, ერთი, დღეს თუ რამეს შევმატებდი ამ ვარიანტებს-მეთქი, ძველისძველი ამბავი გამიხსენებია, ერთი ლექსით კიდევ გამიზრდია ვერცხლისფერი მერცხლის რკალი და ცალკე ფურცელზე ჩამინერია.

ცოტა ეროტიკული რამ გამოვიდა, იქნებ ცოტა უხამსიც, რამდენადმე უნმანურიც, მაგრამ სრულიად გამართული ფორმითაც და შინაარსითაც. თუმცა რჩეულში ამ ლექსს, რასაკვირველია, არ შევიტან:

სექსისშემდგომი ძვირფასი ტროპის
კატეგორიული დანუნება

მერცხლის მზერა, მერცხლის ფრენა,

ბოლოს — მერცხლის ვაგინა,

არ ევასა ოქროს ტროპი. გინა — ვერცხლის. მაგინა!

ყველაზე მეტად აქ წერტილი მომწონს, უადგილო ადგილას გამოჯგომული წერტილი. არც კი ვიცი, სადმე, რომელიმე ენაში თუ არის მსგავსი შემთხვევა წერტილის ასე გაჯგომულებას! რა ესაქმება წერტილს თანხმოვნადანაცვლელ წყვილებს შორის?! ეს ხომ იმას ჰგავს, შევარებულნი ონავარი ბიჭუნა ჩაუხტეს შუაში გახურებული სექსის დროს. სექსს და ლექსს, უფრო სწორად — ერთის მიმდინარეობას და მეორის შინაარსს რაც შეეხება, აქ ალბათ სათაურშივე ყველაფერი განმარტებული: მერცხალივით გოგოს არ მოსწონებია ოქროსა თუ ვერცხლის ტროპი „მერცხლის ვაგინა“! უყურე შენ! არადა, რას იზამ! გოგოებს ხშირ შემთხვევაში არ მოსწონთ ხოლმე, როცა ყველაფერს თავის სახელს არქმევ, თუნდაც ეს სახელი ისეთი პოეტური იყოს, როგორც ამ შემთხვევაშია. რომ მაგინა, კარგი იყო?! არ მოეწონა და ნუ მოეწონა! ვერაფერს იტყვი! მე მომწონა. ახლაც მომწონს. ვაგინაზე არა, ტროპზე ვამბობ! თუმცა ვაგინაც კარგი იყო, რასაკვირველია! ვერ დაინუნებდი! უბრალოდ აქ ამის თქმა მეზედმეტება და მეუხერხულება კიდევ! იყო და იყო, მერე რა! რავინდ მერცხალივით ქალის ვაგინის სიმერცხლე არც ჩემს მერცხლისფერ ლექსებს შემატებს რამეს და არც ამ ლექსებზე დანერილ ჩემსავე ამ გაურკვეველი ჟანრის ოპუსს.

მე კარგად ვიცი, ამ ბოლო პასაჟით უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებ გაზეთის რედაქტორს, რაკი თავად არაერთხელ ვყოფილვარ მომსწრე, როგორ ამუნათებდნენ მას ჩემი თუ სხვისი სკაბრეზული ლექსების ან გამონათქვამების გამო. თუმცა იმ დამმუნათებლებს ტყე-თი სავსე ტელესერიალები, ვგონებ, არასდროს გაუღიარებდნებოდათ. კარგად მესმის — დაბეჭდილი სიტყვა დიდად განსხვავდება ნათქვამი სიტყვისაგან. მაგრამ მე მაინც მინდა შევასხენო ყველა ასეთ აქტიურ მკითხველს, რომ ლიტერატურული გამოცემის რედაქტორი დღეს არც ცენზორია და არც ზნეობის დამცველი პოლიციელი. ხელები შორს რედაქტორისაგან! მე არც ისეთი ახალგაზრდა ვარ და არც იმდენად გამოუცდელი, რომ თავად არ ვაგო პასუხი ნებისმიერ ჩემს ტექსტზე. ან არ ვიცოდე, სად რა და როგორ ვთქვა. არც იმდენად სუსტი ვარ, საკუთარი პოზიცია ვერ დავიცვა და, მადლობა ღმერთს, იმის უნარიც შემწევს, თუ რამ შემეშალა, ბოდიში მოვიხადო. ასე რომ, ყველას შეუძლია თავისი საყვედურები თუ რისხვა ჩემსკენ მომართოს. ან სასამართლოს მიმართოს! მით უმეტეს, რომ არის ხალხი, ვისაც უნდა, რომ სასამართლოს მიეცეს უფლება გააკრკვიოს, რამდენად შეურაცხყო, ვთქვათ, ჩემმა ტექსტმა მავანი პატიოსანი მოქალაქის გაფაქიზებული გრძნობები. ერთი ლიტერატურული პროცესი — პლაგიატის გამო — უკვე მოგებული მაქვს და ეს ამ ტიპის პირველი პროცესი იყო საქართველოში. ჰოდა, არ გამიკვირდება, თუ რომელიმე ჩემი ტექსტი კვლავ მიმიყვანს სასამართლოს კართან...

სიტყვა გამიგრძელდა. ტექსტ(ებ)ის სასამართლოში განხილვა და დაცვა, მოდი(თ), სამომავლოდ გადავდოთ. ეს ოპუსი კი აქ უნდა დავამთავრო.

P.S. დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩემს ლექსებს „ლიტერატურულ გაზეთში“ ჩემივე ფოტოები ერთვის ხოლმე. მართალია, ეს ამჯერად ლექსები არ არის, მაგრამ რაკი კეთილმა და მკაცრმა რედაქტორმა კატეგორიულად მომთხოვა, თავად მოძებნე 4-5 ფოტოო, უარი ვერ ვუთხარი. ყველაზე მეტად ამ ტექსტს მერცხლების ფოტოები მოუხდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი მერცხალი ჩემს ფოტოებში არ აღმოჩნდა. ინტერნეტის მერცხლები კი არ ვისურვე. ისევე ჩემი თოლიები ვამჯობინე. ისინი ბევრნი მყვანან ფოტოარქივში. რაც მე მათთან ერთად და მათ ჩემთან ერთად ზღვევზე გვიმოგზაურია! მკითხველის ფანტაზიის იმედი მაქვს: ვუყურებთ თოლიას — ვგულისხმობთ მერცხალს! ორნითოლოგები ნუ აღშფოთდებიან — კარგად ვიცი, რომ მერცხალი სხვაა და თოლია სხვა, როგორც, ვთქვათ, შველი და მგელი. დიას, ისიც ვიცი, რომ თოლია მტაცებელი ფრინველია, მაგრამ პოეზიაში მას აკი უწყინარი მერცხლის გვერდით უკავია ადგილი. თუ ფანტაზიაა, ფანტაზია იყოს!

მე მგონი, აქ აღარ არის საჭირო ტრადიციული წარწერა: **ფოტოაქტი ავტორისა.**



დასასრული

სალამოებს ზოგჯერ სახლში ატარებდნენ, ზოგჯერ კი თეატრსა და კინოში დადიოდნენ. ხან პარკში ისხდნენ, ხან ქუჩაში სეირნობდნენ და ერთად ცხოვრების სამომავლო გეგმებს აწყობდნენ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მალე ისევ ერთ ჭერქვეშ იცხოვრებდნენ ნათელ, ბედნიერებით სავსე სახლში, ეყოლებოდათ შვილები, აუცილებლად „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელებით და მათაც სიყვარულსა და ხევსურულ მელოდიაზე პოემის სტრიქონების ოთახიდან ოთახში გადაძახილსა და ნამღერებაში გაზრდიდნენ.

მაგრამ სულ უფრო და უფრო ხშირად ცივდებოდა პატარა მაგიდაზე დიდი ხის ტაბაკით მდგარი და ტაბაკზე ქვაბიდან ამოყრილი კიდე უფრო დიდი და უსაზღვრო სიყვარულით მოხვეული ხინკალი. მამია დაპირებას ვეღარ ასრულებდა, ყოველი კვირის ბოლოს ვეღარ ჩამოდიოდა თბილისში. მისი ერთი ჩამოსვლიდან მომდევნო მუშაულობა იყო ორ კვირამდე, მერე სამამდე, მერე კი რამდენიმე თვემდე გაიზარდა. მაგრამ ცუდზე არცერთი არ ფიქრობდა. საკონტაქტოდ ახალი საშუალება მოძებნეს: გაკვეთილების შემდეგ მამია თითქმის ყოველ საღამოს ახლა ფოსტისკენ მიიქაროდა დედუკასთან დასარეკად. შეუკვეთავდა თბილისის და დედუკაც ტელეფონთან ახლოს მდგარ ტუმბოზე ჩამომჯდარი ზოგჯერ მთელი საათით ადრე ელოდა მის ზარს. მერე და მერე კი, ვეღარც რეკავდა მის ხანს ხშირად, და ერთხელაც, იმდენი ხნით დაიკარგა, რომ აღიარა ცრემლად დაღვრილმა დედუკა ბექაურმა თავის თავთან, დაეძარცხა, კალანდადის ქალმა სიყვარულზე გაიმარჯვა. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო მიზეზი: მამიას საფეხში დარჩენას წინ უძღოდა მათი ორი უძველესი შვილის დაბადება, ერთმანეთის მიმართ წაყენებული გულსატკეპნი ბრალდებები და საყვედურები. ასე ნელ-ნელა, ერთმანეთის გარეშე დარჩენილმა, ნატანებსა და თბილისის შორის გახლეჩილი, მაგრამ მაინც ერთმანეთის სიყვარულით სავსე გულში შეაბიჯა წყვილმა უერთმანეთო, ახალ რეალობაში.

ერთ დღეს დედუკამ, მამიას დისგან, რომელსაც დედისგან განსხვავებით, ყოველთვის უყვარდა რძალი, გაიგო, რომ მამიამ სოფელში სხვა ცოლი მოიყვანა. ქმრის ტყუპი ბიჭების ამბები კი ერთი წლის შემდეგ ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილმა მამიას თანაკურსელმა გოგომ უთხრა. გულწრფელად უსურვებდა ბედნიერება ბავშვებს, სახლში მისულმა კი კომოდის უჯრიდან თავიანი უიღბლო შვილებისთვის დაქსოვილი წინდები ამოიღო, გულში ჩაიკრა და, „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონების ცრემლიანი ღილით, როგორც ეს ბებიას ემართებოდა ხოლმე ზოგჯერ, როცა რომელიმე ტკივილიანი ამბავი ახსენებოდა, თავისი სიყვარული საბოლოოდ გამოიტრია:

ვა, სოფელი, რას შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოველი შენი მონდობილი
ნიადგამცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწორავს კაცსა,
შენგან განანირსა.

ტირლით რომ გული იჯერა, ჯვრებიანი საღიაცოს კალთით ამოიწმინდა თვალეები, გამაგრდნენ შამში ბექაურის ქალო, თავს შემოუძახა, უსმინა კიდევ თითქოს, და გააგრძელა ცხოვრება. მაგრამ რამდენ ხანს გაიქვავებდა ძალით გულს, როდემდე დაემალებოდა თავისი ნანდაურის მონატრების სურვილს, ან თავის თავს სად გაექცეოდა?! არ იცოდა, მართლა არ იცოდა დედუკამ, როგორ უნდა ეარსება მამიას გარეშე, და ეს იყო მის ცხოვრების ყველაზე რთული კითხვა, რომელზეც მიახლოებითი პასუხიც კი არ ჰქონდა.

მეორე დღეს, ერთხანს რომ სკოლიდან სახლამდე მიაცილა, დედუკა, მართალია, ექიმთან არ წასულა, მაგრამ აუცილებელი საქმეები და სკოლა დროებით სასწავლო ნაწილს და ერთმანას ჩააბარა, შეგებულმა აიღო და თიანეთში წავიდა. ფიქრობდა, ცოტა ხნით დასვენება ძალეებს აღმიდგენს და ისევ მალე დაუბრუნდები სკოლას და ბავშვებს. გულის არეში ეს გაუმდებელი წინა



ინა არჩუაშვილი

დედუკა ბექაური

და ტკივილი ისევ მამიას მონატრება და იმ უსაზღვრო ამბების სახსოვარი ეგონა, რაც მისმა დაკარგვამ, შვილების გარდაცვალებამ და მარტობამ უსახსოვრა.

უკეთესობა მართლა იგრძნო მშობლიურ გარემოში ყოფნით. დალილობაც მოეხსნა თითქოს და ჩხვლეტიც შეუმცირდა, მაგრამ ათ დღეში ისევ თბილისში დაბრუნდა. დაბრუნება და უარესად გახდომა ერთი იყო. დილა-საღამოს დაბალ სიციხეს აძლევდა, ოფლიანობდა. შეგრძნებაც უსაზღვრო ჰქონდა. ყველაფერზე ღიზანდებოდა. არ ჭამდა. გულს ვერაფერს უდებდა — წიგნის კითხვასაც კი. თან ყელში სულ ცრემლის ბურთი ჰქონდა მოზვენილი.

მამინ კი მართლა გაბრაზდა ერთხანს. ჩაჰკიდა ხელი და თვითონ წაჰყვა ექიმთან. ჩივილების მიხედვით ერთი ექიმიდან მეორესთან გაგზავნილმა დედუკამ, ბოლოს, როგორც იქნა, მამოლოვამდე მიაღწია. ანალიზები დადებითი აღმოჩნდა მარცხენა ძუძუს სიმსივნეზე. ოპერაცია სასწრაფოდ გაუკეთეს, დიაგნოზის დასმისთან ერთად დღესვე. თავზე ერთხანს ადგა და სახლში დაბრუნებულსაც ის უვლიდა. დედაც კი ვერ დაიტრია დედუკამ, სავადმყოფოში რომ დანჯა, მამინ გარდაიცვალა მზექალა. ვერც დედამ გაიგო შვილის ტკივილი, მშვიდად წავიდა შავეთში ტკბილი მოხუცი და კარგი მშობელი. დილა-საღამოს მოდიოდა ხოლმე ერთმონა, საჭმელი მოჰქონდა, ურეცხავდა, დაბანაშიც ეხმარებოდა. ნელიც მოვიდა რამდენჯერმე სანახავად, ხან ტელეფონზე ურეკავდა. დედუკა არაფერს ეკითხებოდა მამიასზე, მაგრამ მაინც უყვებოდა ნელი ძმის ამბებს, იცოდა, რომ აინტერესებდა. მასწავლებლებიც მოდიოდნენ სანახავად, მშობლებიც, მოსწავლეებიც. თავისი სადამრიგებლო კლასიდან თითქმის ყველა ბავშვმა იხახულა. გაუჩერებლად მოლაპარაკე ნურკი სიხარულით ახლა თითქოს ენა გადაეყლაპა ცვილისფერი დედუკა მასწავლებლის დანახვაზე. დადუმებული იჯდა სავარძელში და ზედ გადაფარებული ფარდაგის გამოფიქრებულ ბოლოებს ნერვიულად წინკინდა. გამომშვიდობებისას, თავს ძალა დაატანა და საყვარელ მასწავლებელს მაინც გაეხუმრა:

— მას, გაგახსენებთ, რომ „ქაცვია მწყემსზე“ დავალება რომ მოგვეცით, დაგწერეთ და გელოდებით.

დედუკას გული აუჩუყდა, ტუჩები სატირლად აუთამამდა, მაგრამ სანამ ბავშვები მისი ცრემლების დანახვას მოასწრებდნენ, ორივე ხელი სახისკენ წაიღო, ვითომ გადაპარსულ თავზე წაკრული თავსაფრის შესასწორებლად.

ერთხელაც შემოუძახა თავს დედუკამ, ოღონდ ახლა მცირე იმედიც კი აღარ ჰქონია იმისა, რომ ამ შემოძახებას რაიმე აზრი ჰქონდა მისთვის. ისევ გაგრძელდა ცხოვრება მაგრამ ახლა არა მხოლოდ მამიას, უკვე დედის, სკოლის, მოჭრილი ძუძუს, მისი ლამაზი, ნოთური თმისა და ყველაწიანი იმედის გარეშე. მართლა არ იცოდა დედუკამ, რილასთვის სჭირდებოდა სიცოცხლე, მაგრამ თავს ვერ მოიკლავდა შამში ბექაურის ქალი. უბრალოდ, იქნებოდა, სანამ იქნებოდა, და იმაზე ფიქრში გაატარებდა დარჩენილ დროს — რა დაამავა საიმისო, რომ ასე დაისჯა.

დაიფანტნენ მეგობრებიც. ერთხანს შემოურბნდა ხოლმე ისევ ყველაზე ხშირად სკოლის ახალი ამბებითა და გულწრფელი ბოდიშებით, რომ ვერ აკეთებდა მისთვის იმდენს, რამდენის სურვილიც ჰქონდა. თან ყველა მოსვლაზე შეაპარებდა ხოლმე, იქნებ აიღო მოკირობო და რამდენიმე საათი ისევ აიღო სკოლაში, გულს გადაეყოლებ, ბავშვებთან ურთიერთობა გაგახალისებს, თავს უკეთ იგრძნობო. მაგრამ დედუკას თითქოს არ ესმოდა მეგობრის ნათქვამი. მის სიმარტოვეს ვერავინ და ვერაფერი ვეღარ ამოავსებდა. სასთამბოლოდ დადებული „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა იყო ერთადერთი რამ, რასაც მცირე ნუგეშისა და შვილის მოტანა შეეძლო მისთვის.

მამია ერთფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობდა ნატანებში. დილით სკოლაში წავიდოდა, გაკვეთილებს ჩაატარებდა, უკან მობრუნებული კი მთელი დღე ეზოში დაფუსფუსებდა. ბოსტანს, ხეხილს, ახალჩაყრილ თხილის ნერგებს უვლიდა. უმეტესად მარტო იყო სახლში, ცოლ-შვილის გარეშე. მისი ექიმი, მაგრამ იმ დროისთვის მხოლოდ ბავშვების აღზრდით დაკავებული მსოფლიო ხშირად ოზურგეთში რჩებოდა დედასთან, ბავშვებისთვის იქ უკეთესი პირობები მაქვსო. არ ეწინააღმდეგებოდა მამია ცოლს, არც საყვედურობდა. ცხოვრობდნენ ისე, როგორც მდგომარეობამ მოითხოვდა. ხალხს სალაპარაკო მიზეზს არ აძლევდნენ. სოფლის თვალში მაინც ღირსეული ცოლ-ქმარი იყვნენ, ოჯახს ინარჩუნებდნენ. სასურველ რძალს ვერც დედამთილმაც უყურა დიდხანს. ასაკში ყვავილი შეხვდა და მალე მოინელა დაწყლულებული და სახეამოჭმული.

მიეჩია მამია მარტობას. მოსწონდა კიდევ უკვე უკვე ასეთი ყოფა. ბავშვების მონატრების სურვილს შაბათ-კვირას იკლავდა, როცა ხან ცოლ-შვილი მოჰყავდა სახლში, ხან კი თვითონ წავიდოდა მათ სანახავად ოზურგეთში. ჰყოფნიდა ოჯახთან ერთად გატარებული ერთი ან ორი დღე-ღამე. მეტს ვერც შეძლებდა. სკოლაშიც იქ შეიყვანეს ბიჭები, უკეთესი სკოლაო, ცოლმა. უცნაური ბედი დაჰყვა მამიას — ეს ცოლიც, ჰყავდა და არ ჰყავდა. ბიჭები კი უყვარდა, მაგრამ თითქოს მაინც უცხო იყო მათთვის. ამის მიუხედავად, მამიას არაფრის შეცვლა არ უცდია. უბრალოდ, აღარ შეეძლო ამის გაკეთება, აღარ ჰქონდა ვინმესთან ან რამესთან შეწინააღმდეგების თავი — არც ძალა, არც სურვილი.

თვითონ ირეცხავდა, იუთოვებდა, იცხობდა მჭადს, ძროხას უვლიდა, ყველი ამოჰყავდა, წინაკას და ჯონჯოლს ამწმინებდა, ლობიოც ბევრი მოჰყავდა და სიმინდიც. ხმელ ფულად კი მასწავლებლის ხელფასი ჰქონდა, რომელსაც მთლიანად ცოლს აძლევდა. უსაქმოდ არასდროს რჩებოდა, რომ დედუკაზე არ ეფიქრა, მაგრამ ხანდახან მაინც გაჰყვებოდა მასზე ფიქრს და სიმწრისა და უძლურებისგან კბილებს აღრქიალებდა. ავადმყოფურად ენატრებოდა თავისი წვრილმაჯვება, ნოთური და ჭორფლიანი გოგო. ასეთ დროს საგულდაგულად შენახულ დედუკას ნაჩუქარ, მისივე ხელით გადანიღებულ „ვეფხისტყაოსნის“ გადმოიღებდა. თუ მზიანი ამინდი იყო, ეზოში ამოჩემებულ ადგილას, ბებერი ხეჭჭურის

ძირში დაჯდებოდა, ალაღებდებოდა გადაშლილ და სქელ რვეულს, პირთან მიიტანდა, ფროსილად შეახებდა ტუჩებს მონდობით გამოყვანილ მრგვალ, თანაბარ ასოებს და ცოტა ხანში მსხლის ძირში ფუტურის ბზულის მსგავსი, ძლივს გასაგონი ხმა გაისმებოდა. მამია ნაკაშიძე ხევსურულ მელოდიაზე „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს ღილინებდა. უფრო კი, ალბათ, მოთქვამდა:

შხედავ, ჩემო ვით გაგყვარნა
სოფელმან და ჟამმან კრულმან?
ვეღარ გნახე საყვარელი
მხიარული მხიარულმან,
ნეტარ რა ქნას უშენომან
გულმან, შენგან დალახვრულმან!
გაგიცხადა დამალული,
გონებამან დაფარულმან.

...შენი სიცოცხლე მეყოფის
ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ ნყლულისა
და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე გახსოვდე,
მე შენგან დაკარგული სად;
ვზი მზრდელად სიყვარულისა,
მის ჩემგან დანგრეულისად...

თვალეებს რომ ცრემლები დაუბინდავდა, რვეულს დახურავდა და ახლა საკუთარ, გულიდან ამოსულ სიტყვებს გაუთავისუფლებდა გზას — მიყვარხარ, ისევ ძველებურად მიყვარხარ ჩემო ცაე, ჩემო თინათინო და ნესტან-დარეჯანო, დარც არასოდეს გამწვანებია შენი სიყვარული — ღმუღოდა მინაში ძირში პირქვე ჩამოხილი მამია ნაკაშიძე და მდულარე ცრემლებით რწყავდა იმ ხის ფესვებს, რომლიდანაც, ერთხელაც, ჩამოვარდებოდა და ბედისწერითა თუ განგების ნებით, სიკვდილთან შესახვედრად წავიდოდა.

ისევ დამძიმდა დედუკა. ისევ ერთხანს გაჰყვა საავადმყოფოში. ოპერაციაზე უარი უთხრეს ექიმებმა — დაგვიანებულიაო. სახლში იწვავდა დაინაზრებული, ჩამომჭნარი დედუკა და დილით დღე სულ უფრო მეტად დაპატარავებული ხელებით და გაფართოებული თვალეებით ებრძოდა სიკვდილს...

— ერთხანს, მამია როდის ჩამოვიდა, ვერ გავიგე, შენ გაუღე კარი? — მოესმა ერთ დილით სამზარეულოში გასულ ერთმონას დედუკას უცნაურად შეცვლილი, ენერგიული ხმა.

— არა, დედუკა, აქ არავინ არის, — იქიდანვე გამოეპასუხა შემკრთალი ერთმონა.

— როგორ არა, ეს-ესა გავიდა ოთახიდან, ჩანთიდან მსხალს ამოვალავებო. შენი საყვარელი ხეჭჭურის და ჩემი ამოყვანილი ყველი ჩამოგიტანეო. ეშოება ახლა მაგას, ნამგზავრია. ჩემი და თუ ხარ, შეუბრანე ხინკალი. ხომ იცი, როგორ უყვარს, თან ჩემი ხელით მოხვეული...

— არა, დედუკა, მამიას აქ რა უნდა, მარტო მე და შენ ვართ სახლში, — კანკალმა აიტანა ერთმონა.

— გეყო ხუმრობა, თუ და ხარ!.. კარგი მამინ, რადგან არ იშლი, მე მივხედავ. ახლა მაგას ჩემთან ჩახუტება უნდა და შენი ერიდება. ხომ იცი, როგორი ზრდილი გურულია. ნადი თუ გინდა შენ, დაგვტოვებ და კარი გაიხურე... აი, მოდის!.. მოდი, მამია, მოდი, მაგრამ ჩემს დასერილ სხეულს, ჭრილობებს არ გაწვენებ იცოდე, ისეთი მინდა გახსოვდე, როგორც ოპერაციამდე ვიყავი. მარჯვენადან შემომიწევი, მარცხენა მხარე მტკივა... მოდი, მომხედე... სად არის შენი იელისფერი ქორი? — საბნიდან წვალეებით ამოყოფილი მარჯვენა ხელი ჰაერში აასავსავა დედუკამ...

საძინებლის კარამდე მოსული ერთმონა დაბნეული იდგა და დედუკასთან ახლოს მისვლა ვერ გაუბედა. აქედან უყვავებდა მეგობარს:

— ნუ მამინებ, დედუკა, გთხოვ. ალბათ, მაღალი სიცხე გაქვს, ახლავე პირსახოცს დავასველებ ცივ წყალში და შუბლზე დავდებ. — არა, არაფერი არ მინდა, ერთმონა, სახლში ნადი, მამია დარჩება დღეს ჩემთან... ჩემო იელისფერთმინაო, მაინც მოხვედი, ისევ აქ ხარ, ჩემთან ხარ, ჩემ გვერდით... ყველაფერი ისევ ისეა, როგორც თავიდან იყო, როგორც ყოველთვის გვინდოდა, რაზეც ვოცნებობდით... და უცებ, ლაპარაკი შეწყვიტა დედუკამ, ჩაყურდა, თითქოს ძალას იკრებოდა და წყნარი, ხმით აღილინდა:

მზე უშენოდ ვერ იქმნებოდა,
რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ
მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა განახო, მადვე გსახო,
გამინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა,
სიკვდილი-მცა მქონდა ტკბილი!

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს,
შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული
ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორებება,
მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ,
ჩემო, შენთვის დაკარგულსა!

— ხელი არ გამიშვა, ხელი არ გამიშვა,
გახსოვს, რომ შემპირდი, არ გაგიშვებო...
ჩემო.....

კართან ჩაკრეფილმა, ტირილით
თვალბდასიებულიმა ერმონამ, როგორც
იქნა, მოიფიქრა წამოდგომა. შემქნარი ტუ-
ჩების კუთხეებში ღიმილჩარჩენილ
დედუკასთან მივიდა და ხელში ჩაბლუჯული
სველი პირსახოცი დაუხუჭა თვალეში. შიმ-
ველი ხელი ვერ მიაკარა, შეეშინდა რაღაც-
ნაირად.

იმ დილით უთენია ადგა მამია. ნალიაზე
მიყუდებული, ჯოხზე დამაგრებული ხილის
საკრეფი მიიტანა ხეჭეჭურთან და ხეზე მი-
აყუდა. ჯერ ძირს ჩამოცვენილი მსხალი
წამოკრიფა, ერთად მოაგროვა, მერე გიდე-
ლი მოიკიდა ზურგზე, ყველაზე დაბალ ტოტს
ჩაეჭიდა და ტანი მსუბუქად აიტანა. ხეზე
სიარულის არასოდეს შინებია. ბავშვობიდან
მტკიცე მუხლი ჰქონდა და ხეებზე თავისუ-
ფლად დაძვრებოდა. ხის წვერში ასვლა და
ზევიდან ქვემოთ ჩამოკრეფა ჯობიაო,
გაიფიქრა. ფეხი რომ კარგად გამართა, ზურ-
გი უკნიდან მსხვილ ტოტს მიაბჯინა და შეის-
ვენა. ერთი მსხალი პირის გასასველებლად
მონყიჭა. დილით მსხალი, გულის შხამიო —
გაახსენდა ანდაზა, მაგრამ ისე ეგემრიელა
მომჭაო-მოტკბო გემო, სისულელეაო, ჩაცი-
ნა. მსხლის ნარჩენი გვერდულად გაისროლა
და მკერდის გასწვრივ, ერთად ჩამოკონ-
წიალებული რამდენიმე მსხლის მოსაწყვეტად
გადაიხარა. მომხდარის გააზრებაც ვერ
მოასწრო, ისე სწრაფად დაეშვა მინისკენ. მარ-
ტო ჩამოტეხილი ტოტის ხლინინის ხმა მო-
ჰყვებოდა ქვემოთ წამოსულს. გულბოყვით
დაეცა. არ ახსოვდა, რამდენი წუთი იწვა ასე
— ხუთი, ათი თუ თხუთმეტი, იქნებ მთელი
საათიც... გონება არა, მარტო დროის შეგ-
რძნება დაკარგა. სუნთქვა უჭირდა. ნეკნებთ-
ან და მკერდში ერთად გრძობდა მწვავე და
ყრუ ტკივილს. როგორღაც, ძალა მოიკრიბა
და ოდამდე წვალეებით მიფორთხდა. კიბე-
ებზე ასვლაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი
იყო. არ ახსოვს, რამდენი ხანი იწვა ასე. ბე-
დად, მეზობელმა დაიძახა ჭიშკართან რამ-
დენიმე საათის შემდეგ. ძახილ-ძახილით სახ-
ლისკენ წამოსულს, ეს ამბავი დახვდა. შეი-
ყარა სოფელი.

ნატანების საავადმყოფოში რემონტი
იყო და ბავშვობის მეგობარებმა — ოლეგ
გიგინიშვილმა და თენგი ნიკოლეიშვილმა
— პირდაპირ ოზურგეთში წაიყვანეს მისივე
მანქანით. უკანა სალონში ძლივს შეაწვინეს
ერთიანად დაღვნილი მამია. ცოლს ფოს-
ტიდან დაურეკეს, საავადმყოფოში დაგვხვ-
დით. წასვლის წინ ვიღაცამ მოიფიქრა და
ტკივილგამაყუჩებელი გაუკეთა. მაინც საშ-
ინლად უღმუროდა გულ-მუცელი განაცრ-
ისფრებულ მამიას.

— თენგიზა, ძამა, — დაუძახა მოულოდ-
ნელად მძლოლის გვერდით მჯდარ მე-
გობარს.

— გისმენ, მამო, — სხარტად შემოუ-
ბრუნდა თენგი, — გიჭირს რამე?

— ვინ არის ეს ლამაზი ხევსურულკაბი-
ანი ქალი, მანქანას რომ მოჰყვება, რაც წამ-
ოვედით, ასე მოგვედევს გზა-გზა სირბილით.

— მგონი, ცუდადაა ჩვენი საქმე, — გული
გადაუქანდა თენგოს დასაჭესთან მჯდომ გაფი-
თრებულ ოლეგ გიგინიშვილს გადახედა.

— არავინ მოგვეყვება, ძამია, — ყოველი
შემთხვევისთვის მაინც გადაყო თენგიმ ფან-
ჯრიდან თავი, — აგერ მანქანაში კი მარტო
მე და ოლეგი ვართ, და შენ.

— როგორ არა, თენგი, გააჩერეთ. მორ-
ბის ის ქალი, უხერხულია. გააჩერეთ, ჩემს
დედუკას ჰგავს თან... ის არის, ხო, ის არის,
ვიცანი... — სიხარული შეეპარა მამიას ხმაში.

— კარგი, შენი ჭირიმე, კარგი, — ლამის
ხმამალა იბღავლა შავ დღეში ჩავარდნილ-
მა თენგი ნიკოლეიშვილმა.

— ჩემო ცავე, ჩემო ნესტან-დარეჯანო,
ნეტავ იცოდე, როგორ ველოდი ამ დღეს,
ნეტავ იცოდე!.. მომეცი შენი პატარა ხელი,
მომეცი, მოგვეფერო... როგორ მომენატრე,
ცავე, როგორ... — აღარ ჩუმდებოდა მამია.
მერე კი, „ვეფხისტყაოსნის“ ლილინით კითხ-
ვა რომ დაიწყო, საბოლოოდ გაუხეთქა თენ-
გი ნიკოლეიშვილს გული, რომელიც ორივე
ხელს თავში ირტყამდა და ბავშვივით ატირე-
ბული ეხვეწებოდა მეგობარს: მამო, ცოტაც
მოითმინე, შენი ჭირიმე, არ მოკვდე, მამო,
მალე საავადმყოფოში ვიქნებით და გიშ-
ველით, ძამია.

ოლეგ გიგინიშვილი კი უმატებდა და
უმატებდა სიჩქარეს, მაგრამ ლამის ფრენით
მიმავალ მანქანის ხმაურში მაინც ისმოდა
სახეზე უცნაურად გაცისკროვნებული მამია
ნაკაშიძის მოღიღინე ხმა:

შენი სიცოცხლე მეყოფის
ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა
და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე
მე შენთვის დაკარგული სად;
ვზი მზრდელად სიყვარულისა,
მის ჩემგან დანერგულისად...

— მამია, ბიჭო, აქეთ მოიხედე, რასაა რომ
აბდლობ... — ღრიალებდა გამწარებული
თენგი, მაგრამ მამიას აღარ ესმოდა მისი ხმა,
დედუკასთან ხელჩაკიდებული დიდი ხნის
საოცნებო გზაზე მიაბჯებდა.

— ნელი, გენაცვალე, სიყვარული იყო
მათი წერა, სიყვარულმა მოკლა და გამო-
ასალმა ორივე წუთისოფელს, — შესტირა
ერმონამ წყვილის სიკვდილიდან თითქმის
ერთი წლის შემდეგ, მასთან სახლში მისულ
მამიას დას.

— დედაჩემს ედოს იმ ქვეყნად მათი სიყ-
ვარულის ცოდო! — წასკდა ქეთინი ნელ-
ისაც. დიდხანს ისხდნენ იმ საღამოს მეგო-
ბრები და იხსენებდნენ მამიას და დედუკას
სიყვარულის ამბავს, მათი ცხოვრების ბოლო
დღეებს და ერთმანეთისთვის აქამდე უცნობ
გარდაცვალების დეტალებს. ასე აღმოა-
ჩინეს, რომ, თურმე, სიცოცხლის ბოლო
წუთამდე ერთმანეთზე შეყვარებული დედუ-
კა და მამია, ერთსა და იმავე დღეს გარდა-
იცვალენ; ხოლო, როდესაც ამ დღის ყველა
წვრილმანი უამბეს ერთმანეთს, ლამის
ჭკუაზე შემოიღებმა, თან კი, რაღაცნაირ-
ად, ბედნიერებმა, დასკვნეს, რომ არა მხ-
ოლოდ გარდაცვალების დღე, მათი გარ-
დაცვალის საათიც კი ერთი და იგივე
ყოფილა და, სავარაუდოდ, წუთებიც.
ოლონდ, ასეთი დაკონკრეტებისგან მეგო-
ბრებმა მაინც თავი შეიკავეს.

დედუკას, ანდერძის თანახმად, მამიას
სტუდენტობისდროინდელი პერანგი ჩაა-
ტანეს:

აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა!
გარდმიკვეთია ალაში,
ჩემო, ერთისა კიდისა,
ესელა დაგრჩეს სანაცვლოდ
მის იმედისა დიდისა.
რისხვით მობრუნდა ბორბალი
ჩვენ ზედა ცისა შვიდისა;

მამიას კი — დედუკას ხელით გადანერ-
ილი „ვეფხისტყაონი“, რომლის სახედაო
ასოებშიც ხევსურული ორნამენტები იყო
გამოყვანილი.

ასეთი იყო სააქაოში მათი ცხოვრების
ეპილოგი. საიქიოში კი, ალბათ უკვე სულ
ერთად არიან, ისევ თამაშობენ თავიანთ საყ-
ვარელ თამაშს — „შესიტყვება-ვაბაასებას“,
და დაალივილებენ ხევსურულ მელოდიაზე
განყობილ „ვეფხისტყაოსანის“ სტრიქონებს
იმ უბოროტო, უსაზღვრებო და სამართლიან
ქვეყანაში:

ესე ასეთი სოფელი,
არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა
და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ?
ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია,
ორისავ იყოს მხლებელი.

ელიზბარ გაბუნია

ფოსტალიონი კუ

კუ გაზეთებს დაატარებს,
ფოსტალიონია.
ტყეში ფოსტალიონობა
განა იოლია?

კუ მუშაობს პატიოსნად,
მაგრამ არის ნელი.
ამიტომაც მისთვის შრომა
მძიმეა და ძნელი.

კურდღელი კი სწრაფი არის,
მაგრამ სისწრაფეში
წერილები სხვასთან მიაქვს,
გზა ერევა ტყეში.

მართა

პიანინოს ძლივს წვდება,
ჩვენი ცელქი მართა.
წამოსკუპდა სკამზე,
წელში გაიმართა.
ყველას გამოგვიცხადა:
— რა დაგიკრათ, მართლა?

პრინცესა

მე დედიკომ მიყიდა
ეს ლამაზი კაბა.
განა არ ვარ პრინცესა?
შემომხედეთ აბა!

კარნავალი დაიწყო.
და მე მჯერა, ვიცო,
საცეკვაოდ ზეიმზე
მოვა ჩემთან პრინცი.

მოვა და შემომახვევს
გარს ჯადოსნურ ალს;
რას ვიცეკვებთ, თუ იცით?
რა თქმა უნდა, ვალს!

საილო

გააჩერა სპილომ
მოდრობა გზაზე,
დააბიჯებს ურცხვად
მანქანების თავზე...
ირგვლივ ამტყდარ პიპინს
სულ არ უგდებს ყურს
და ჯიუტად სპილოს
კატკობს სურს...
— უნდა ივარჯიშო,
რომ დაიგდო წონა —
მიაძახა სპილოს
მძლოლმა ერთმა, ორმა:
— რომ დაგეკლო კიდევ
ერთი ასი კილო,
გაგასივრებდით,
ჩვენო ძმარ სპილო!

ყურა

— ყურმა, თუ არ მატყუებ,
მაშინ რატომ იცინი?
— მე ასეთი ჩვევა მაქვს
და ასეთი სიცილი;
ერთგულების დასტურად,
მიყვარს კუდის ქიციანი.

ბაბო

ძაან გაგვბრაზე,
ბებო, ამას წინად.
მაინც მეფერება,
მეხუტება თბილად.
ხან კი, მიბრაზდება,
მაგრამ უფრო ხშირად,
მლოცავს, მლოცავს, მლოცავს,
მკოცნის, მკოცნის ტკბილად.

განცხადება

დამეკარგა ფისო,
ფუმფულა და ჭრელი;
თუ იპოვით, თავზე
გადაუსვით ხელი.
უთხარით, რომ სახლში
მოუთმენლად ველი.

ფისო

ფისო, ჩემი ნაყინიც
ჭამე, არ მეწყინება,
მაგრამ ბევრი ნაყინით
ყელი გაგეყინება!
და თუ ყელი აგტკივდა,
როგორ დაგეძინება;
შენს ჩახლენილ კნავილზე
თაგვსაც გაეცინება!

ფანქარზე ბაბრახაშული

გავებუტე ჩემს ფანქარს,
რადგან კარგად ვერ ხატავს,
ვერც სახლს, ვერც ძაღლს, ვერც კატას...
არა, თხა და კვატია
კარგად დაუხატია!

— დედი, წვიმა სად არის?
— წვიმა, შვილო, ცაშია.
— მერე რატომ არ მოდის?
— მოდის, უკვე გზაშია!

ჩემი პატარა ბეკეკა

ჩემი პატარა ბეკეკა
დახტის, ორფენზე დგებო,
ჯერ რქები არ ამოსვლია
და უკვე ირქინებო.





7 ივნისი. 19.00 საათი

მანაბლის 13-ში, მწერალთა სახლის შესასვლელთან, ხალხი იკრიბება. ზოგი მოლოდინით აღსავსეა, ზოგსაც თავიდანვე ეტყობა, გამარჯვების იმედი დიდად არა აქვს, თუმცა არ იმჩნევს — ცალკეად იღიმის და ზოგადი, ჰაერში ალაგ-ალაგ გაფანტული ფრაზებით შემოიფარგლება. წინასწარი პირველადი პროგნოზები აქვე კეთდება. გულშემატიკვრებით ნაქეზებულები იმორცხვებენ და, თითქოს წარმატება დანაშაული იყოს, სვლას თავჩაქინდრულნი განაგრძობენ. არიან ისეთებიც, თავი ამყარებენ რომ აუნევი და საზოგადოების ყურადღებას არა მწერლური ნიჭით, არამედ ცხოვრებისეული პერფორმანსული სტილით იქცევენ. მოკლედ, ხალხი ჭრელია, მათ შორის — მწერლებიც.

პროლოგი

„ლიტერას“ მფლობელთა ვინაობას ხუთკაციანი ჟიური წყვეტს. ორგანიზატორები ცდილობენ, მათი ვინაობა, სხვა ბევრი კონკურსის წესისამებრ, გასაიდუმლოებული იყოს. ასე რომ, მხოლოდ დაჯილდოების დღეს ხდება ცხადი, ვინ ვის და რატომ არგუნა ლიტერატურული პრემია. „ლიტერა“ იმითაც არის გამორჩეული, რომ ჟიურის წევრები ვალდებული არიან, ჯილდოს გადაცემისას დაასაბუთონ — რამ განაპირობა მათი არჩევანი.

დავით წერეთლიანი, ლევან ბრეგვაძე, ნინო სადღობელაშვილი, ირაკლი ლომოური და ლევან ცაგარელი — ამ ადამიანებმა ექვს ნომინაციაში საუკეთესოთა შორის საუკეთესოები დაასახელეს.

წლის საუკეთესო დებიუტი

შორენა ხუხუა — „შემოვალ ეტლით“ (გამომცემლობა „პალიტრა L“)

წლის საუკეთესო დებიუტში გამარჯვებული ლევან ცაგარელმა დაასახელა, რომელმაც სოციალურ მარგინალიზაციასა და წარსულზე, ავთენტურ ხმებსა და გამომცემლობებზე ბევრი ილაპარაკა, საბოლოოდ კი გამარჯვებულის ვინაობაც გაგვიმხილა — შორენა ხუხუა.

ეს სახელი და გვარი ლიტერატურული წრეებისთვის ახალია. ქართულის მასწავლებელს მწერლის სახელის მოსპოვებლად ბრძოლა შარშან დაუწყო, როცა პალიტრა L-ის კონკურსში — „გახდი ბესოსელერის ავტორი“ — მონაწილეობა განუზრახავს. მისი წიგნის ყდის დიზაინის შექმნა პირველ ლედის, მაკა ჩიჩუას უთავია, თავად ავტორი კი, აი, რას წერდა:

„განათლებით ფილოლოგი, 90-იანი ეპოქის შვილი ვარ, საქართველო-სომხეთის საზღვარზე 10 წელი ვიმუშავე ქართულის მასწავლებლად აზერბაიჯანულ სკოლაში.

უბედური შემთხვევის შედეგად გავხდი ეტლით მოსარგებლე, 7 წლიანი რეაბილიტაციის პროცესში აქტიურად ჩავერთე საინფორმაციო მოძრაობაში.

ორ ფეხზე მოსიარულედან ნამსხვრევებად დაცვნილი ცხოვრებას ხელახლა აწყობილი და განსხვავებული სხეულით დავუბრუნდი. ვფიქრობ, საკუთარი „მე“ სიძნელეებთან ჭიდილში ვიპოვე, შესაძლებლობის შეუზღუდაობა ჩემს ტყავზე გამოცადე, დავინახე სამყარო განსხვავებულად, ვისწავლე სიცოცხლე. 7 ოპერაცია გავიკეთე და დღეს სირბილი არ შემიძლია, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით დავდივარ.

წერა ყოველთვის მიყვარდა... ლექსებსაც ვწერ, ნოველები უფრო მიზიდავს, მოკლე, მინიმალისტური სტილი.

მიუხედავად ფეხზე სიარულისა, მუდამ დავრჩები შშმ პირის ტყავში.

ჩემი გმირი მეც ვარ და რამდენიმე პროტოტიპიც ჰყავს.

ის არაა წუნუნა ან სანყალი. ძლიერი გაცოცხლებული ვარ, ერთად გავიმარჯვებთ რომანსა თუ ცხოვრებაში.“

და შორენა ხუხუამ გაიმარჯვა... გაიმარჯვა და ბოლო სიტყვებიც წარმოსთქვა: „შემოვალ ეტლით, რომელიც ყველა კარს ადებს!“

მწერლები, პოეტები, ლიტერატორები, კრიტიკოსები, უბრალოდ, ქართული ლიტერატურის დამფასებელ-შემფასებელნი წლიდან წლამდე ელიან ხოლმე იმ ლიტერატურული პრემიების გადაცემის ცერემონიალებს, რომელთა სიმრავლითაც ეს საზოგადოება ნამდვილად არ არის განებივრებული. ჩვენში „ლიტერატურულ მოსავალს“ წელიწადის ოთხივე დროს იმკიან ხოლმე, ამჯერად ზაფხულის სეზონის „ნაყოფიერებაზე“ მოგახსენებთ.

მესამე წელია, მწერალთა სახლი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ლიტერატურულ პრემია „ლიტერას“ გასცემს.

მესამე წელია, ლიტერატურულ წრეებში ჯერ გრძელ სიას, შემდეგ — მოკლეს, საბოლოოდ კი, ჟიურის წევრთა გადაწყვეტილების შესაბამისად გამოვლენილ გამარჯვებულებს განიხილავენ. ბუნებრივია, აქაც, ისევე როგორც სხვა მსგავს კონკურსებზე, არის ვნებათაღელვა, ჟიურის წევრთა სუბიექტურ-ობიექტურობაზე ლაპარაკი და ნაღდი თუ ყალბი მილოცვების კორიანტელი.



7 „ლიტერა“ 6 ნომინაციისთვის



წლის საუკეთესო პოეტური პრაზული სოსო მეშველიანი — „Arboles Altos“ (გამომცემლობა „ინტელექტი“) ლელა სამნიაშვილი — „37“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)

ამ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოცხადების მისია ნინო სადღობელაშვილს ერგო. არაერთხელ აღნიშნა, ფინანსისტების კრებულებიდან გამომდინარე, როგორი რთული იყო გადაწყვეტილების მიღება და საბოლოოდ ამიტომაც არჩევანი არა ერთი, არამედ ორი პოეტის კრებულზე შეაჩერეს.

საუკეთესო პოეტურ კრებულებად სოსო მეშველიანის „Arboles Altos“ და ლელა სამნიაშვილის „37“ დასახელდა.

ლელა სამნიაშვილს არ დაუმალავს, რომ მოულოდნელი სიხარული ეწვია და დაუფარავად განაცხადა — რა კარგია, რომ საქართველოს ეწერება, ერომანება, ელექსება...

სოსო მეშველიანი კი, რომელიც სულ ახლახან დაბრუნდა უცხოეთიდან, სიხარულთან ერთად ერთგვარ უხერხულობას გრძნობდა. ვერც მას წარმოედგინა, რომ „ლიტერას“ რჩეულთა შორის აღმოჩნდებოდა.

წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა გიგი ხორნაული — „ჩემი საწუთრო-სამზუო“ (გამომცემლობა „არტანუჯი“)

წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზის ნომინაციაში გამარჯვებულის და-

სახელება დავით წერეთლიანი ითავა და საუკეთესო წიგნად გიგი ხორნაულის „ჩემი საწუთრო-სამზუო“ გამოაცხადა, რომელზეც აღნიშნა, რომ შესანიშნავადაა წარმოდგენილი ვრცელი პანორამა ჩვენი ყოფისა.

ემოციური იყო თავად ავტორის სიტყვა. გიგი ხორნაულს არ დაუმალავს, რომ მისთვის დაუჯერებელი რამ მოხდა და რომ ამ ფაქტით ცხადი გახდა — საქართველოში მარტო მწერლები კი არა, კულტურის მოღვაწეებიც სიკეთეზე ფიქრობენ.

წლის საუკეთესო პროზაული პრაზული ბექა ქურხული — „სკანდარა და სხვა მოთხრობები“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)

გიგი ხორნაულზე არანაკლებ დელავდა „ლიტერას“ ჟიურის კიდევ ერთი წევრი, რომელიც ამ ამბულაში პირველად აღმოჩნდა და წლის საუკეთესო პროზაულ კრებულზე უნდა ელაპარაკა.

ირაკლი ლომოური ბექა ქურხულის „სკანდარა და სხვა მოთხრობებს“ უწოდა ადამიანური ლიტერატურა, რომელიც ირეკლავს ჩვენი ერის ხასიათს. „ბექა წერს ისე, როგორც ცხოვრობს და ცხოვრობს ისე, როგორც წერს. ეს იშვიათი შემთხვევაა. ჩვენ მომავალი გვექნება იმდენად, რამდენადც ბექასნაირი მწერლები გვეყოლება“ — დასძინა ირაკლი ლომოურმა.

გამარჯვებული კი... გამარჯვებულმა აღნიშნა, რომ ირაკლიმ ამ წიგნის წარდგენის დროსაც ბევრი

საქებარი სიტყვა თქვა და როგორც მაშინ, ახლაც გაიპარება...

და ბექა ქურხული სიგარეტის მოსაწევადა „გაიპარა“.

წლის საუკეთესო რომანი

ნაირა გელაშვილი — „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ (გამომცემლობა „კავკასიური სახლი“)

დადგა ლიტერატურული პრემიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნომინაციის — წლის საუკეთესო რომანი — დროც.

საზოგადოების წინაშე ჟიურის წევრი ლევან ბრეგვაძე წარსდგა:

„თანამედროვე კაცობრიობის უმწვავეს გამოწვევებს განეკუთვნება გამაღებელი ინდუსტრიალიზაციისაგან ბუნების დაცვა, აგრეთვე მიმართებანი მეცნიერულ აზრსა და რელიგიურ რწმენას, პოლიტიკასა და მორალს შორის.

ერთი რომანის ფარგლებში ამ პრობლემეტიკის წარმატებული თემატიკებისთვის პრემია „ლიტერა“ ნომინაციაში „წლის საუკეთესო რომანი“ ჟიურის გადაწყვეტილებით მიენიჭა ნაირა გელაშვილს ნიგნისთვის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“.

ნაირა გელაშვილს არ დაუმალავს, რამდენად რთული აღმოჩნდა ამ წიგნზე მუშაობის პროცესი, არა — ტექნიკური, არამედ არსობრივი თვალსაზრისით. ამას გარდა, აღნიშნა ისიც, რომ არაფერს აქვს აზრი, თუ ადამიანს სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი არ აქვს; ბოლოს კი დასძინა: „მინდა, ყველას გისურვოთ — არ ვიყოთ ის თაობები, ვის ხელშიც საქართველო გაქრება.“

წლის საუკეთესო ნიგნის ყდის დიზაინი

მაქსიმე მაჩაიძე — ზურა ჯიშკარიანის „სალექი განთიადები უშაქროდ“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“)

ამ ნომინაციაში, რომლითაც ეს ლიტერატურული პრემია გამორჩეული და ერთადერთია, საუკეთესოს არჩევასას ჟიურის წევრები აზრს მოწვეულ სპეციალიტს ეკითხებიან ხოლმე. ამ თვალსაზრისით, არც წლევანდელი „ლიტერა“ იყო გამონაკლისი და, შესაბამისად, გამარჯვებულის დასახელების მისია პროფესიონალ შემფასებელს, მარიამ ნატროშვილს ერგო.

აღნიშნა, რომ ყდა ის პირველი ზღურბლია, რომლის გადაბიჯების შედეგადაც მკითხველმა სხვა, შემოქმედებით სამყაროში უნდა შეაბნავოს. სწორედ ამ თვალსაზრისით გამოარჩიეს ნიგნი, რომლის ავტორი და ყდის დიზაინის შემქმნელი წლებია, თანამშრომლობენ.

მუსიკალური ექსპერიმენტებისა და ურბანული თემატიკით გაჯერებული ტექსტების სინთეზით შექმნილი KayaKata ზურა ჯიშკარიანისა და მაქსიმე მაჩაიძის ერთ-ერთი მუსიკალური პროექტია. სხვადასხვა დროს მუსიკის მოყვარულებს ისინი „Kung Fu Junkie“-ის, „ზურმუხტისფერი ბედის ორდენისა“ და სხვა ჯგუფების შემადგენლობაში ხვდებოდნენ.

ასე რომ, ამჯერად ამგვარი თანამშრომლობა იღბლიანი აღმოჩნდა და ზურა ჯიშკარიანის ნიგნის „სალექი განთიადები უშაქროდ“ ყდის დიზაინისთვის „ლიტერა“ მაქსიმე მაჩაიძეს ერგო, რომელიც, მწერლებისგან განსხვავებით, სიტყვაძუნწი აღმოჩნდა და მხოლოდ მადლობის გადახდით შემოიფარგლა.

ვაილოგი

ასე დასრულდა „ლიტერას“ დაჯილდოების ოფიციალური ნაწილი. გახარებული თუ იმედგაცრუებული ავტორები, მათი გამომცემლები, ჟიურის წევრები, გულშემატიკვრები ჭიქა ღვინით უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.

მწერალთა სახლის ეზოში იბადებოდა ახალი იდეები, ისახებოდა სამომავლო გეგმები, რომელიც იმედია, მხოლოდ დიონისეს მითოლოგიურ სამყაროში არ დარჩება და მალე განხორციელდება.

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004